პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— შეერთ. შტატების სენატის კომისია ადასტურებს, რომ ხერსტის საგაზეთო ტრესტის „დოკუმენტები" ყალბია.
— გერმანიაში უმუშევართა რიცხვი არაჩვეულებრივად გაიზარდა.
— გაფიცულ მემაღაროეთა ქლეტა კოლორადოში.
— მაქსიმ გორკი ბულგარეთში გამეფებული ტერორის შესახებ.
— შვეციის ქაღალდის მრეწველები ლოკაუტის გამოცხადებას აპირებენ.
— შეწყდა რუმინეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.
— წყალდიდობა ბრაზილიაში.—დანგრეულია 1.000 სახლი.

კვირა, 15 იანვარი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 12 (2055)

პან-ამერიკული კონფერენცია

16 იანვარს გავანაში (კუბის რესპუბლიკის დედა-ქალაქი) უნდა გაიხსნას პანამერიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის ყველა სახელმწიფოები.

გავანის კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ამერიკის ქვეყნების ურთიერთი დამოკიდებულებისათვის, არამედ აგრეთვე ჩრდილოეთ-ამერიკა-ინგლისის ურთიერთობისათვისაც. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ეს კონფერენცია სწორედ ეხლა იკრიბება, როცა ჩრდილოეთ-შტატების იმპერიალიზმი მედგრად და ნიღაბ-აუფარებლად აწარმოებს შეტევას დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ. გავანის კონფერენცია ამ იმპერიალიზმის აქტივობის ერთი თვალსაჩინო გამოხატულებათაგანია.

ბოლო დროს ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ დოლარის რესპუბლიკის იმპერიალიზმის მიზეზების და მისი ობიექტების შესახებ. ძირითადი მიზეზებია: საქონლის გასაღების კრიზისი და ნედლეულის საჭიროება მრეწველობისათვის და სიჭარბე ფულადი კაპიტალისა, რომელიც ბაზარს ეძებს. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატები მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრების პირველ წლებში ევროპის ხარჯზე საარაკოდ გამდიდრდა ეკონომიურად და ფინანსიურად, მისი საწარმოო ძალები არაჩვეულებრივად გაიზარდა. ამერიკის შტატების შინაური ბაზარი არ იტევს მის კაპიტალიზმის საქონლის და ფულად ფინანსიურ რესურსებს. თუ მსოფლიო ომის და მის მომყოლ პერიოდში ამერიკის სამრეწველო პროდუქცია შეუფერხებლად გადიოდა ევროპაში და სხვა ქვეყნებში, დღეს ამ მხრივ მდგომარეობა ძალზე გართულებულია: ევროპის ქვეყნებმა იწყეს ომის დროს დაკარგულ ეკონომიურ პოზიციების დაბრუნება და მსოფლიო ბაზარზე ამერიკას სასტიკ კონკურენციას უწევენ. აქედან აუცილებელია ამერიკის მეურნეობის კრიზისი, რომლის წინასწარი ნიშნები უკვე სჩანს მის ეხლანდელ დეპრესიიდან.

ამერიკის იმპერიალიზმი ისწრაფვის, რათაც არ უნდა დაუჯდეს, დაიპყროს ბაზრები და გაანადგუროს ყველა ისინი, ვინც ამ გზაზე მას წინააღმდეგობას გაუწევს. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების იმპერიალიზმს პირველ ყოვლისა ნიშანში აქვს ამოღებული ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა, ე. ი. ლათინური ამერიკა. ჯერ ერთი, უკანასკნელი ტერიტორიულად მასთან ახლო[illegible] ბანკირებს მისი დამორჩილება, მასთან ეკონომიური „თანამშრომლობა" უფრო ადვილად შეუძლიათ. შემდეგ, ლათინური ამერიკა „გემრიელი ლუკმაა" თავისი უხვი ბუნებრივი სიმდიდრით და გასაღების ბაზრით.

საკმაო ხანია, რაც შტატების კაპიტალიზმი შეიჭრა ლათინურ ამერიკის ქვეყნებში. აქ ის აბანდებს უამრავ ფულს, იღებს უდიდეს კონცესიებს, ყიდულობს მიწებს სამრეწველო ნედლეულის საწარმოებლად. მრავალ ფაქტებს შორის საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამას წინად ფორდმა ბრაზილიაში შეიძინა ოთხი მილიონი აკრის (1.300.000 დესეტინა) სივრცის კონცესია კაუჩუკის პლანტაციებისათვის. თუ რომელიმე ქვეყანა აღუდგება დოლარის იმპერიალიზმს, უკანასკნელი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს ასეთი ურჩობის გასატეხად. მაგ., მექსიკის მთავრობა, რომელსაც ნავთიან ადგილებზე სახელმწიფო მონოპოლია აქვს გამოცხადებული, დიდ ხანს ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების ცდას, მიმართულს ამ ადგილების ხელში ჩაგდებისაკენ. ბოლოდროინდელი ცნობებით, მექსიკა ვერ უძლებს მასზე მიტანილ იერიშებს და იძულებულია დათმობაზე წავიდეს. ყველამ ვიცით პატარა ნიკარაგუას ბედი; ამერიკის წინააღმდეგ აჯანყებულ ნიკარაგუას ხალხს სისხლის მორევში ახრჩობენ ამერიკის ჯარები და კრეისერები.

ასეთი მტაცებლური პოლიტიკა ულრმეს აღშფოთებას იწვევს ლათინურ ამერიკის ხალხებში, რომელთა სხვადასხვა ორგანიზაციებს და აგრეთვე ზოგიერთი მათგანის მთავრობებსაც პროტესტები გამოაქვთ მის წინააღმდეგ. ისინი ემზადებიან გავანის კონფერენცია გამოიყენონ ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. წამოიჭრა იდეა შექმნან ლათინურ-ამერიკის ქვეყნების კავშირი, რომლის მიზანი იქნება ვაშინგტონ-ნიუ-იორკის უღლისაგან მათი განთავისუფლება. უკანასკნელი თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ყოველ ზომას ღებულობს ამ თავის საწინააღმდეგო მოძრაობის ჩასახშობად და კერძოდ ცდილობს გავანის კონფერენცია გადააქციოს იარაღად ლათინურ ამერიკაზე თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის განსამტკიცებლად. ამიტომაა, რომ მაგ., მექსიკას ვაშინგტონიდან აფრთხილებენ, რომ მან კონფერენციაზე არ გაბედოს შტატების წინააღმდეგ ხმის ამოღება.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ლათინურ ამერიკაში ერთმანეთს ეჩეხებიან ინგლისის და ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების ინტერესები. ინგლისის კაპიტალი ბოლო დრომდე გაბატონებული იყო სამხრეთ ცენტრალურ ამერიკის ქვეყნებში. ეხლა კი მას იქიდან სდევნის დოლარის სამფლობელო. ამასთან, ის ეუფლება ინგლისის ამერიკულ დომინიას—კანადას. ყველაფერი ეს წარმოადგენს ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა ერთ-ერთ უმთავრეს კვანძს.

აღსანიშნავია, რომ ერთა ლიგას გადაწყვეტილი აქვს გავანის კონფერენციაზე თავისი „მეთვალყურე" გაგზავნოს. ლიგის ზურგს უკან, რა თქმა უნდა, ინგლისი იმალება. ეს მეთვალყურე ალბად შეეცდება კონფერენციაზე შექმნას მტრული განწყობილება ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების მიმართ. საერთოდ ინგლისი ფარულად აქეზებს და ხელშ[illegible]ლას ნიუ-იორკის წინააღმდეგ. ამიტომაა, რომ უკანასკნელი ეწინააღმდეგება ლიგის წარმომადგენლის დაშვებას კონფერენციაზე: ლიგას არაფერი საქმე არა აქვს ამერიკაში.

ჩვენ არ ვიცით, ამის შემდეგ ლიგა გაბედავს თავის დელეგატის წარგზავნას გავანაში. არც იმის თქმა შეიძლება, ექნება თუ არა კონფერენციაზე ადგილი აშკარა გამოსვლას ვაშინგტონის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში როგორც არ უნდა გათავდეს საქმე, აშკარაა, რომ ბრძოლა ლონდონსა და ვაშინგტონს შორის ლათინურ ამერიკისთვის არ დაცხრება. ამ ბრძოლას აძლიერებს მათ შორის არსებული სხვა გადაულახავი წინააღმდეგობანიც, ყველაფერ ამან ადრე თუ გვიან არ შეიძლება შეიარაღებული შეხლა-შემოხლა არ გამოიწვიოს. ამისათვის ორივე მხარე გაძლიერებულ მზადებას აწარმოებს.

ორი სესხი

იწყება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

როგორც ვიცით, ეს უდიდესი სესხი განაღდებულია დანიშნულ ვადაზე საესებით. ეჭვს გარეშეა, რომ სესხის მთავარი ნაწილი დაფარეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, უმთავრესად, მუშებმა. ჯერ მარტო მოსკოვში მუშების და მოსამსახურეების კოლექტიურმა ხელმოწერამ მოგვცა 24—25 მილიონი მანეთი. სესხის რეალიზაციის კამპანია წარმატებით ჩატარდა უმთავრესად იმიტომ, რომ მასებისათვის გასაგები და მისაღები იყო პარტიის ლოზუნგი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, გასაგები იყო საბჭოთა სახელმწიფოს მიმდინარე ფინანსიური ამოცანები, მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნის აუცილებლობა. საბჭოთა მთავრობის არც ერთ წინანდელ საფინანსო ოპერაციას შინაური სესხის გავრცელების დარგში არ გამოუწვევია მშრომელი მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალაქის) ისეთი აქტივობა, როგორიც გამოიწვია ინდუსტრიალიზაციის სესხმა. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების ყიდვაში მონაწილეობა მიიღო მუშების და მოსამსახურეების რაოდენობა 6 მილიონ კაცამდე აღწევს. ეს უდიდესი ნაბიჯია ჩვენი საკრედიტო ოპერაციების განვითარებაში, მშრომელთა წვრილ დანაზოგების მობილიზაციის საქმეში.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა, რომ დავკმაყოფილდეთ ამ უდიდესი მიღწევებით სესხის რეალიზაციის საქმეში. საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა ამ მიმართულებით. 1927—28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია წინასწარი ვარაუდის მიხედვით, იმ ანგარიშით, რომ შინაურ სესხების რეალიზაცია მიაღწევს, დაახლოებით, 500 მილ. მანეთამდე. კერძოდ, მეტად დიდი მუშაობა უნდა იქნეს შესრულებული სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის.

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში გლეხობა შედარებით სუსტად იყო ჩაბმული. ეს აიხსნება მით, რომ სესხის რეალიზაციისათვის მუშაობა უმთავრესად ქალაქში სწარმოებდა. ინდუსტრიალიზაციის სესხის დაახლოებით 95 პროცენტი განაღდებულ იქნა ქალაქებში. რაც შეეხება გლეხთა მონაზოგებს, დაახლოებითი გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ მათზე მოდის დაახლოებით 10 მილიონი მანეთი. თავის-თავად ცხადია, რომ საგლეხო მეურნეობათა მონაზოგების მობილიზაციას სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს. აქ ამოცანის განხორციელებას ისახავს მიზნად მთავრობის მიერ დასახული საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხი. ეჭვს გარეშეა, რომ ამ სესხის რეალიზაცია უაღრესად აქტუალურად ჩატარდება. საჭიროა, რომ აქ გამოყენებულ იქნეს ის გამოცდილება, რომელიც მივიღეთ ინდუსტრიალიზაციის სესხის გატარების დროს.

უკანასკნელის რეალიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა უმთავრესად იმიტომ, რომ მას მიეცა დიდი საგიტაციო და საზოგადოებრივი პოლიტიკური კამპანიის ხასიათი. ჩვენ სამეურნეო დირექტივების გატარების საქმეში ხშირად ვერ ვაფასებთ საკმაოდ იმ მასიურ ორგანიზაციების ძალებს, რომლებიც სხვადასხვა გზებით აერთიანებენ ჩვენი მშრომელი მოსახლეობის მრავალმილიონიან ფენებს. ამავე დროს კი უკანასკნელ წლების, კერძოდ უკანასკნელ თვეების, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლოა სერიოზული კონტროლის გაწევა იმ მოვლენებისათვის, რომლებიც თითქოს სახალხო სამეურნეო ცხოვრების სტიქიურ პროცესების სფეროში არიან მომწყვდეულნი. ასეთი კონტროლი შესაძლოა იმ პირობით, თუ ჩვენი ორგანიზაციები გამოიჩენენ აქტიობას, მოქნილობას, მანევრების უნარს, თუ დირექტივების გადაცემა იწარმოებს დაუყოვნებლად, აპარატი გაწმენდილი იქნება ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან ამას მოწმობს პურის დამზადების გამოცდილება, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის გამოცდილება, რასაკვირველია, თვითეული სხვადასხვა მხრიდან. ეს აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის დროს. რასაკვირველია, გავლენას ახდენს სტიქიური პროცესიც, მაგრამ მეტად სერიოზული მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე მასების ორგანიზაციულად დარაზმვას და იმ ორგანიზაციების მოქნილობას და მუშაობის უნარს, რომლებიც ანხორციელებენ ამოცანას. ეჭვს გარეშეა, რომ არსებულ სიტუაციაში (სოფლად ნატურალურ და ფულად მარაგის არსებობა, რომლის ბრუნვიდან გამორიცხვა აფერხებს ნორმალურ სამეურნეო განვითარებას) საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია წარმატებით შეიძლება ჩატარებულ იქნეს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ სოფლის მუშაკები (პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კულტურულ და განსაკუთრებით კოოპერაციის ძალები) ისეთივე ყურადღებით მოეკიდებიან ამ საქმეს, როგორი ყურადღებაც გამოიჩინეს ქალაქში ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის მიმართ პარტიულმა, საბჭოთა და პროფესიონალურმა ორგანოებმა.

ცნობილია, რომ ახალი სესხის პირობები ისეთია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ქვედა საფეხურის ორგანოები სოფლად პირდაპირ დაინტერესებული არიან ამ საქმის წარმატებით: სესხის განაღდებულ თანხის 10 პროცენტი რჩება ადგილობრივ, რაიონის (თემის) ფარგლებში, ადგილობრივ ბიუჯეტში. მაგრამ მოიპოვება ზოგიერთი ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები უხალისოდ ეკიდებიან ამ სესხის გავრცელებას. აქა-იქ გაისმის ხმები, რომ ის თანხები, რომლებიც ნავარაუდევია გასანაღდებლად ამა თუ იმ გუბერნიის, ოლქის ფარგლებში, მეტის მეტად დიდია სესხის რეალიზაციის არსებულ შესაძლებლობასთან შედარებით. ჩვენ სრულებითაც არ უარვყოფთ, რომ წინასწარ ვარაუდებში შესაძლებელია ზოგიერთი შეცდომები, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ და მთლიანად საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება დაგმობის ღირსია. ეს ნიშნავს ან დასახულ ამოცანის საერთო სახელმწიფოებრივ ხასიათის დაუფასებას, ან ისევ არაფხიზელ დამოკიდებულებას კერძოდ ჩვენი სამეურნეო ამოცანების გადაჭრის საქმისადმი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი მაგალითები გამონაკლისი იქნება, რომ პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას მიაქცევენ ამ დიდ სამეურნეო ამოცანის გატარებას, შესძლებენ შექმნან საჭირო გარდატეხა და ყველა მათ განკარგულებაში მყოფ ძალების მიხედვით ენერგიულად იმუშავებენ ასეთ მნიშვნელოვან და სასწრაფო საქმისათვის.

„პრავდა", 14 იანვარი.

მოძრაობა შეერთებული შტატების წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში

კელოგი ურჩევს მექსიკას „კეთილგონიერება" დაიცვას პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ფინეთის პრესა აღიარებს „პრავდა"-ს ბრალდებების სრულ საფუძვლიანობას

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვს პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის მოწვევას მოსკოვში

პან-ამერიკული კონფერენციის წინ

მოძრაობა შეერთებული შტატების წინააღმდეგ იზრდება

ვაშინგტონი, 13 იანვარი. ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა განაცხადა: პანამერიკული კავშ. კონფერენცია, რომელიც 16 იანვარს გაიხსნება გავანში არ განიხილავს წმინდა პოლიტიკურ საკითხებს, მაგალითად არ შეეხება ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას ნიკარაგუასთან. გავანში თანდათან ჩამოდიან ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციები. კონფერენციაზე მოვლენ აგრეთვე ნიკარაგუელი ლიბერალების მეთაურის სანდინოს წარმომადგენლები და მექსიკელი კათოლიკების დელეგაცია. ამ ორს დელეგაციას კონფერენციის სხდომებზე არ დაუშვებენ და ისინი გავანში ყოფნას საგიტაციო მიზნებისათვის გამოიყენებენ.

ერთა ლიგის მეგობართა არგენტინის ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ილაშქრებს ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში და მოითხოვს, რომ ნიკარაგუას საკითხი გადაწყვეტად ერთა ლიგას გადაეცეს. ლათინური ამერიკის ყველა მიმართულების პრესას არაჩვეულებრივ მკაცრი პოზიცია უჭირავს ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების წინააღმდეგ და აცხადებს შემდეგს: „ლათინური ამერიკის ვერც ერთი სახელმწიფო ნდობით ვერ მოექცევა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს მას შემდეგ, რაც მან ნიკარაგუაში ჩაიდინა" (ადს).

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. ბუენოს-აირესიდან მიღებული ცნობით, არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ პან-ამერიკულ კონფერენციაზე დაისმება ნიკარაგუას საკითხი, არგენტინის დელეგაცია მოვა „ამერიკული ხალხების თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის მოთხოვნის დეკლარაციით".

კულიჯის გამგზავრება კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი კულიჯი გაემგზავრა ჰავანაში პანამერიკის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად (ადს).

ომი ნიკარაგუაში

აჯანყებულთა ბანაკში

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. ამერიკული პრესის ცნობით, ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებას ნიკარაგუელი ლიბერალების რაზმების წინააღმდეგ.

სანდინოს ჯარში ბევრია მოკლული. რადგან ამერიკის სამხედრო ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ლიბერალების ბანაკს. ამერიკის საექსპედიციო კორპუსის სარდლობამ აუკრძალა ამერიკული ლიბერალური ინტელიგენციის დელეგაციას სანდინოს ბანაკში გამგზავრება (ადს).

მოღალატე მონკადო

ნიუ-იორკი, „ნიუ-იორკ-ტაიმსის" მიერ მანაგუადან მიღებული ცნობების თანახმად ნიკარაგუას ლიბერალების ყოფილმა ბელადმა **მონკადომ** შესცვალა თავისი შეხედულება და მიემხრო ამერიკულ ოკუპაციას. მონკადომ განაცხადა, რომ გენერალი სანდინო, რომელიც განაგრძობს ბრძოლას, დახმარებას იღებს როგორც კომუნისტებისაგან, ისე კონსერვატორებისაგან. კონსერვატორები, თავის მხრივ, ლიბერალებს (მათ რიცხვში მონკადოსაც) ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი მხარს უჭერენ სანდინოს. (ადს).



გენ. სანდინო
ნიკარაგუელ აჯანყებულთა ბელადი

შეერთებული შტატები და მექსიკა

მექსიკა დათმობაზე წავიდა

მექსიკო, 13 იანვარი. მექსიკის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომელიც ცვლის ნავთიან ადგილების შესახებ არსებულ კანონის ზოგიერთ მუხლებს, რომელთა წინააღმდეგ ილაშქრებენ ამერიკელები. ამერიკელი კაპიტალისტები საერთოდ კმაყოფილი არიან ამ შესწორებებით, მგარამ აცხადებენ, რომ მოითხოვენ შემდგომ დათმობებს (ადს).

შეერთებული შტატების მუქარა

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. „ტაიმსმა" გამოაქვეყნა ვაშინგტონელი კორესპონდენტის წერილი, რომელშიაც კორესპონდენტი აფრთხილებს მექსიკას, რომ მოლაპარაკება მექსიკა-ამერიკის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ მხოლოდ მაშინ დამთავრდება წარმატებით „თუ მექსიკა კეთილგონიერებას გამოიჩენს გავანში".

კორესპონდენტი ურჩევს მექსიკას, თავი შეიკავოს და პანამერიკული კავშირის კონფერენციაზე არ სცადოს ნიკარაგუაში ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ინტერვენციის საწინააღმდეგო რეზოლუციის გატარება.

ოსმალეთ-რუმინეთის მოლაპარაკება შესწყდა

ორი საწინააღმდეგო ორიენტაცია

ვენა, 13 იანვარი. ბულგარეთის პრესის ცნობით ოსმალეთ-ბულგარეთის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ ისევ შეწყდა. ეს მოლაპარაკება, უკვე ერთი წელია სწარმოებს.

ბულგარეთის მუშათა გაზეთი „ნოვინი" ფიქრობს, რომ მოლაპარაკების ნელი ტემპით განვითარება აიხსნება არა იმდენად ეკონომიურ წინააღმდეგობებით, რამდენადაც ღრმა გარეშე-პოლიტიკურ ინტერესთა წინააღმდეგობებით ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის.

„ბულგარეთმა—სწერს გაზეთი,— 1923 წლის 9 ივნისის გადატრიალების შემდეგ შეითვისა ინგლის-იტალიის ორიენტაცია. ოსმალეთი კი სწორედ ინგლისსა და იტალიაში ხედავს თავის უბოროტეს მტრებს".

გაზეთი გამოსთქვამს აზრს, რომ ოსმალეთ-ბულგარეთის მოლაპარაკების დაკავშირებით ბულგარეთზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ინგლისი და იტალია. (ადს).

მაქსიმ გორკის წერილი

ბულგარეთში გამეფებულ ტერორის წინააღმდეგ

ვენა, 13 იანვარი. ბულგარეთის მუშათა გაზეთმა „ნოვინიმ" გამოაქვეყნა მაქსიმ გორკის წერილი ბულგარეთის ცნობილ კრიტიკოს—მარქსისტ ბაკალოვისადმი. ერთი წლის წინად ბაკალოვი გაიქცა ბულგარეთიდან და ეხლა იმყოფება პარიზში.

ეხება რა ბულგარეთში პოლიტიკური ამნისტიის საკითხს, გორკი გმობს გაბატონებულ კლასების უმეცრებას და სწერს:

„მათი საქციელი ყველაზე უფრო აშკარავდება სიძულვილში რუსეთისადმი, სადაც ხალხს, რომელმაც განდევნა პარაზიტები, სურს გახდეს თავისი - თავის ბატონი. მე არასოდეს არ მწამდა გაბატონებულ კლასების სულგრძელობა, განსაკუთრებით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, იმ ურიცხვი ბოროტმოქმედებების შემდეგ, რომლებიც მათ ჩაიდინეს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამის გამო მე ბულგარეთის ჯალათებს არ ვთხოვ წამებულთა ამნისტიას".

ამ წერილმა დიდი გავლენა მოახდინა ბულგარეთის მთავრობის წრეებზე. მთავრობის ორგანო „სვობოდნა რეჩ" სწერს, რომ გორკის ლიტერატურული დამსახურება იჩრდილება მისი ბოლშევიკური რწმენით". (ადს).

ფინეთის პრესა გრევენიცის და გირსის მიმოწერის შესახებ

ჰელსინგფორსი, 13 იანვარი. ფინეთის პრესა განაგრძობს კამათს „პრავდაში" გამოქვეყნებულ გრევენიცის და გირსის მიმოწერის შესახებ.

კოალიციონური პარტიის ორგანო „უუსი სუომი" დაწვრილებით იხილავს გრევენიცის წერილებს, ფინეთის პრესის აზრს ამ წერილების შესახებ და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას და აღნიშნავს:

„ფინეთიდან რუს ემიგრანტის გადასახლების შესახებ მიღებულ დადგენილების გაუქმებას აქვს პოლიტიკური ხასიათი. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცნობა, რომელიც გვარწმუნებს, რომ პრეზიდენტ რელანდერის საუბარს გრევენიცთან არ ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი, არ შეეფერება სინამდვილეს".

გაზეთი შიშობს, რომ ეს შემთხვევა გრევენიცთან „საზღვარგარეთ შექმნის ცუდ წარმოდგენას ფინეთზე".

„ჩვენ იმას კი არ მოვითხოვთ, რომ პრეზიდენტს აეკრძალოს სათანადო მინისტრის ნებადაურთველად იმ პირთა მიღება, ვის მიღებასაც ის საჭიროთ სცნობს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული თვითეული ნებართვა პრეზიდენტთან აუდიენციაზე, რომ საუბრების დროს დაცული იქნეს უდიდესი თავდაჭერილობა".

„სვენსკა პრესენი" აქვეყნებს წერილს, რომელშიაც დაწვრილებით იხილავს გრევენიცის წერილს და საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას.

„იქმნება ისეთი შთაბეჭდილება,—სწერს გაზეთი,—თითქოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა თუ ახსნა-განმარტება მიგვითითებს, რომ ამ შემთხვევაში არ ყოფილა დაცული საჭირო სიფრთხილე. თუ სამართლიანია ის ჩვეულება, რომლის ძალით ფინეთის მოქალაქეთ აქვთ უფლება მიმართონ პრეზიდენტს, აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რომ ასეთივე უფლება უნდა მიეცეს უცხოელებს. თუ კი პრეზიდენტი იღებს უცხოელებს და მართავს მათთან პოლიტიკური ხასიათის საუბრებს, ასეთი საუბრები უნდა იმართებოდეს საგარეო საქმეთა მინისტრის დასწრებით და მისი ნებართვით. შემთხვევა გრევენიცთან, ფინეთს არასასურველ მდგომარეობაში აყენებს".

იგივე გაზეთი აქვეყნებს ანონიმურ შეკითხვას ხელმოწერით—„გაკვირვებული მოქალაქენი". შეკითხვა შემდეგი შინაარსისაა:

„ნუთუ უხერხული არ არის ისეთი ტრადიციის დამყარება, რომ სახელმწიფოს მეთაური კერძო აუდიენციაზე იღებს უცხოელებს, თუნდაც უკანასკნელნი არ შეუმდგომლობდნენ ამ აუდიენციის შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრთან, როგორც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ჩვეულებებით. თუ აუდიენცია ნებადართულია, ნუთუ პრეზიდენტს არ მართებს, რომ მნახველის მიერ აძრული პოლიტიკური საკითხები უპასუხოდ დასტოვოს და მიუთითოს მას, რომ პასუხის გაცემა შეუძლია გარეშე საქმეთა სამინისტროს სათანადო ინსტანციას. ნუთუ უხერხული არ არის, რომ პრესაში მოთავსებულ ცნობებს გარეშე საქმეთა მინისტრი ისეთ ფორმებში უარყოფს, რომ მხოლოდ განუვითარებელ მკითხველებს ესმის ეს კომედია, ნუთუ უხერხული არ არის, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის არმიის სარდალი დეპეშით ულოცავს ახალ წელს იტალიის დიქტატორ მუსოლინის და უკანასკნელისგან პასუხის მიღება იმდენად ახარებს, რომ პრესაში იუწყება ამ ბედნიერ მოვლენის შესახებ" (ადს).

მენშევიკები მზად არიან იკისრონ მინისტრობა

ოსლო, 13 იანვარი. ნორვეგიის პარლამენტის გახსნა მოხდება 19 იანვარს, რის შემდეგ ნორვეგიის კონსერვატიული მთავრობა გადადგება. ნორვეგიის გაერთიანებულ მუშათა პარტიის თავმჯდომარემ **ტორნმა**, გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში განცხადა:

„როგორც კი გაიხსნება პარლამენტი, ჩვენი პარტია გამოვა შტრეიკბრეხერების შესახებ შემუშავებულ კანონის და სავალდებულო არბიტრაჟის წინააღმდეგ და დასვამს განიარაღების საკითხს. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ მასებისათვის საკეთილდღეო პოლიტიკის წინასწარ პირობას წარმოადგენს სოციალისტური მთავ. შედგენა. მიუხედავად ამისა, ახლო მომავალში შეიძლება შეიქმნეს მგომარეობა, როცა სიძნელეების დაძლევა შესაძლო გახდება მხოლოდ მუშათა პარტიის ჩადგომით ხელისუფლების სათავეში. ჩვენი პარტია არ გაექცევა ამ პასუხისმგებლობას". (ადს).

მხარს უჭერენ მთლიან ფრონტს

სტოკჰოლმი, 13 იანვარი. ტყის მუშაკთა და დურგლების კავშირის სუნდსვალის (შვეცია) საოლქო ორგანიზაციის წლიურმა კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საჭიროების შესახებ.

მიღებული რეზოლუცია წინადადებას იძლევა აღდგენილ იქნეს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის სათანადო პროფკავშირებთან რეზოლუცია მოითხოვს ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირების ჩაბმას ამ თანამშრომლობაში. თუ ეს წინადადება უარყოფილ იქნება. სუნდსვალის ორგანიზაცია დამოუკიდებლად ითანამშრომლებს საბჭ. პროფკავშირებთან.

ვოლდემარასი მოითხოვს პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის მოწვევას მოსკოვში

პარიზი, 13 იანვარი. „მატენ"-ის ცნობით, ვოლდემარასმა წინადადება შეიტანა, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია მოსკოვში იქნეს მოწვეული.

გერმანიაში უმუშევრობა იზრდება

ბერლინი, 13 იანვარი. 1927 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში უმუშევართა რიცხვი გერმანიაში გაიზარდა ერთი მილიონიდან 1.400.000 კაცამდე, ე. ი. 40 პროცენტით (ადს).

ანტი-იმპერიალისტური ლიგა ინდოეთში

ქაბული, 13 იანვარი. ინდოეთის პრესის ცნობით, სრულიად ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა გამოიტანა რეზოლუცია ანტიიმპერიალისტური ლიგის შექმნის შესახებ ინდოეთში.

დანციგის ახალი მთავრობა

ვარშავა, 13 იანვარი. დანციგში შესდგა მემარჯვენე კოალიციონური მთავრობა ექვსი სოციალ-დემოკრატის, ცენტრის ორი წარმომადგენლის და ორი ლიბერალის შემადგენლობით. (ადს).

ჰესლერის მოადგილე

ბერლინი, 13 იანვარი. თუმცა, სხვათა შორის, პრეზიდენტი ჰინდენბურგიც ცდილობდა დაეთანხმებია ჰესლერი, რომ მას გადაედო თანამდებობიდან გადადგომა რეიხსტაგის ახალ არჩევნებამდე, თავდაცვის მინისტრის გადადგომა მაინც გადაწყვეტილად ითვლება.

პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერს შოლცს სთხოვა დაეკავებია განთავისუფლებული თანამდებობა. შოლცმა უარჰყო ეს წინადადება. შესაძლებელია, რომ თავდაცვის სამინისტროს გამგებლობა დაეკისროს ახლანდელი კაბინეტის ერთ-ერთ წევრს, რომელიც თავის თანამდებობასაც შეინარჩუნებს.

მუშების ქლეტა

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. პოლიცია კოლორადოში თავს დაესხა გაფიცული მემაღაროების დემონსტრაციას. „მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშების კავშირის" ადგილობრივი ორგანიზაციის შენობას, სადაც პროცესიის მონაწილეებმა თავი შეაფარეს პოლიციამ ტყვიის მფრქვევლები დაუშინა. ერთი მუშა მოკლულია, ორი დაჭრილია.

ზავი მრეწველობაში

ბენ-ტერნერს ბაძავენ

ბერლინი, 13 იანვარი. ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ ჰოლანდიის მრეწველთა კავშირმა ჰოლანდიის პროფკავშირთა გაერთიანებას მისცა წინადადება დამყარდეს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და პროფესიონალურ გაერთიანების მდივანი და თავმჯდომარე მიიწვია იმ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც დაესწრებიან კათოლიკურ და ქრისტიანულ-ნაციონალურ პროფკავშირების წარმომადგენლები. პროფკავშირთა გაერთიანებამ მიიღო ეს წინადადება (ადს).

ყალბი დოკუმენტები

ვაშინგტონი, 13 იანვარი. ჩრდ. ამერიკის შერთებული შტატების სენატმა დანიშნა კომისია იმ დოკუმენტების სინამდვილის გამოსარკვევად, რომლებიც გამოაქვეყნა ხერსტის საგაზეთო ტრესტმა და რომლებიც ამტკიცებდნენ, ვითომც ამერიკელი სენატორები ფულს იღებდნენ მექსიკის მთავრობისაგან. კომისიამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, და აცხადებს, რომ ეს დოკუმენტები ყალბია.

5 მილიარდი მანეთი

საზღვაო შეიარაღებაზე

ვაშინგტონი, 13 იანვარი. საზღვაო მინისტრმა ვილბრუმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემების ასაშენებლად 20 წლის განმავლობაში დაიხარჯება 2.570.000.000 დოლარი.

მოითხოვენ ამნისტიას

ვენა, 13 იანვარი. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ რუმინეთის მთავრობამ საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტურ და სოციალისტურ დეპუტატებისაგან მიიღო წინადადება, რომელშიც ისინი მოითხოვენ, რომ ბორის სტეფანოვის საქმე გაარჩიოს ჩვეულებრივმა სასამართლომ და თუ ეს შეუძლებელია, განთავისუფლებულ იქნეს იგი სასამართლოში მისი საქმის გარჩევამდე. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჩჟან-ძო-ლინი ფულს დაეძებს

ტოკიო, 14 იანვარი. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინმა მიმართა იაპონელ წრეებს მანჯურიაში თხოვნით, რათა მათ მისცენ მას სესხი. სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის თანახმაა მისცეს ჩჟან-ძო-ლინს ავანსი 5 მილიონ იენის რაოდენობით გირინ-ხაილუნის რკინის გზის გასაყვანად. (ადს).

ჩან-კაი-შის აღსარება და ცილისწამება

ტოკიო, 14 იანვარი. „ოსაკა ასახი"-ში დაბეჭდილია ჩან-კაი-შის წერილი ურთიერთობის გაწყვეტის გამო ნანკინის მთავრობასა და საბჭოთა კავშირს შორის. თავის წერილში ჩან-კაი-ში აღიარებს, რომ „ბევრმა რუსმა მეგობრებმა წარსულში სამსახური გაუწიეს ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობას", მაგრამ ამასთან ერთად იმეორებს ჩვეულებრივ რეაქციონურ ცილისწამებებს კომინტერნისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ის აცხადებს, თითქოს კომინტერნს „ბოროტი განზრახვები ჰქონდეს ჩინეთში" და საბჭოთა საკონსულოები კი სამხრეთ ჩინეთში თითქოს წარმოადგენენ „კომინტერნის საგენტოებს და კომუნისტურ შეთქმულებათა კერებს". (ადს)

თვალთმაქცობა

ლონდონი, 14 იანვარი. ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების" კონფერენცია წარმოადგენს სრულ თვალთმაქცობას. დეკლარაცია გმობს გენსაბჭოს წევრებს, რომლებიც ხელს უწყობენ მუშების მოტყუების პოლიტიკას, და უწოდებს მათ მუშათა კლასის გამცემლებს. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ სანამ გენერალური საბჭო რაიმე მოლაპარაკებას დაიწყებდეს მწარმოებლებთან, მან უნდა მოითხოვოს, რომ გაუქმებულ იქნას კანონი პროფკავშირთა შესახებ და კანონი მემაღაროეთა რვა საათის სამუშაო დღის შესახებ, მან უნდა მოითხოვოს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს მწარმოებელთა შეტევა საფეიქრო და სხვა მუშებზე, და მთლიანად იქნეს აღდგენილი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

„მშვიდობიანობის მრეწველობაში"

ლონდონი, 14 იანვარი. კუკმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ოფიციალურ ცნობას „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების" კონფერენციის პირველ სხდომის შესახებ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, და მოითხოვა სტენოგრაფიული ანგარიშების გამოქვეყნება. კუკმა აგრეთვე განაცხადა, რომ პროფკავშირების პოლიტიკა ამ საკითხში უნდა გამოარკვიოს კავშირების წევრების მასამ და არა გენერალურმა საბჭომ. (ადს).

მრეწველები ლოკაუტით იმუქრებიან

სტოკჰოლმი, 13 იანვარი. შვეციის მჭარ მოხელეთა კავშირმა გამოაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ 28 იანვრამდი ქაღალდის მრეწველობაში კონფლიქტი არ იქნა მოწესრიგებული, 28 იანვარს ხე-ტყის სახერხ ქარხნებში გამოცხადებულ იქნება ლოკაუტი. ლოკაუტი შეეხება 18.000 მუშას. (ადს).

საბჭოთა გამოფენაზე თავდასხმის გარშემო

პარიზი, 13 იანვარი. „ჰავასის სააგენტო" იუწყება ბრიუსელიდან, რომ პოლიცია ამჟამად ეძებდა საბჭოთა გამოფენაზე მომხდარ თავდასხმის მონაწილეებს. მოხდა ჩხრეკა ახალგაზრდობის ნაციონალურ კავშირის (ფაშისტური ორგანიზაცია) ბინაზე. (ადს).

აფეთქება ნიუ-იორკის მეტროპოლიტენში

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. ნიუ-იორკის ახალ მეტროპოლიტენში მოხდა აფეთქება. მოკლულია ერთი კაცი, დაჭრილია 10. (ადს)

ხუთის მოწოდება

პარიზი, 14 იანვარი. დაპატიმრებულმა კაშენმა, დორიომ, დიუკლომ, ვაიან კუტიურიემ და მარტიმ —აპატიმრების წინ ხელი მოაწერეს მოწოდებას პარიზის მშრომელთა მიმართ. მოწოდებაში ნათქვამია: „იმ ზომების გამო, რომლებსაც მიმართა პუანკარეს მთავრობამ ბურჟუაზიულ კანონიერების წინააღმდეგაც კი, ხუთი კომუნისტი დეპუტატი, რომლებიც წარმოადგენენ 300.000-ზე მეტ მშრომელს, მოკლებული არიან საშუალებას განახორციელონ თავისი სადეპუტატო ვალდებულებანი. დაპატიმრებული დეპუტატები მოუწოდებენ მუშათა კლასს ენერგიულ პროტესტისაკენ ასეთ ძალადობის წინააღმდეგ და „ბრძოლისაკენ საერთო და სრულ ამნისტიისათვის პოლიტიკურ საქმეებზე". ამასთანავე რემედასის საფრანგეთის სექციამ გამოაქვეყნა მოწოდება ამნისტიისათვის ბრძოლის შესახებ. (ადს).

პუტილოველების მოლოდინში

ბერლინი, 14 იანვარი. ვინაიდან პუტილოვის მუშებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ გერმანიაში მუშათა მეორე დელეგაცია, მთლიანობის ბერლინის კომიტეტმა პუტილოვის მუშებს გამოუგზავნა განცხადება, რომლესაც ხელი მოაწერეს გერმანელ მუშათა პირველ მეორე და მესამე დელეგაციის მონაწილე სოციალ-დემოკრატებმაც. განცხადებაში ნათქვამია, რომ მთლიანობის მომხრენი გერმანიაში მიიღებენ ყველა ზომებს, რომ მოუპოვონ გერმანიაში შესვლის ნებართვა საბჭოთა მუშების დელეგაციას. (ადს).

დუმერგი—საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე

პარიზი, 14 იანვარი. სენატის თავმჯდომარედ ხელახლა აირჩიეს დუმერგი. სხვა კანდიდატურები არ ყოფილა. (ადს).

სამხედრო კონტროლი ბულგარეთში

ვენა, 14 იანვარი. ერთა ლიგის სამხედრო კონტროლი ბულგარეთზე მოხსნილია საბოლოოდ. (ადს).

„ლენინის ხსოვნა"-ს კომანდა

შანხაი, 14 იანვარი. პატიმრობიდან განთავისუფლებულმა გემ „ლენინის ხსოვნა"-ს კომანდამ დღეს ცინდაოდან გაემგზავრა ვლადივოსტოკში. (ადს)

მშიერების მოძრაობა

ვენა, 14 იანვარი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობებით, გერცოგოვინის და დალმაციის დამშეულ რაიონების მრავალრიცხოვანი გლეხები გადიან სხვა რაიონებში და გზადაგზა სძარცვავენ მემამულეებს და კულაკების მამულებს, საიდანაც იტაცებენ საქონელს და ხორბალს. (ადს).

ამხ. ლევანდოვსკი ბაქოში

ბაქო, 14 იანვარი. 14 იანვარს ბაქოში სათადარიგო მეთაურთა მრავალრიცხოვან კონფერენციაზე ფართო მოხსენება თავდაცვის ამოცანების შესახებ გააკეთა კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სათადარიგო მეთაურთა შემადგენლობა აღუთქვამს სრულ დახმარებას საბჭოთა კავშირის მთავრობას და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და მოსახლეობის გასამხედროების საქმეში. კონფერენციამ [illegible] მიღებული დეპეშები გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას. კონფერენციამ დაადგინა სთხოვოს ამხ. ლევანდოვსკის, რათა მან გადასცეს სალამი კავკასიის მთელ წითელდროშოვან არმიას. (ადს).

ვერაგულად მოკლულთა ხსოვნისათვის

სამგლოვიარო კრებები გერმანიაში

ბერლინი, 13 იანვარი. გერმანიის კომპარტია, წარსულ წლების მაგალითის მიხედვით, უახლოეს კვირაში გერმანიის ქალაქებში აწყობს სამგლოვიარო კრებებს და დემონსტრაციებს ლენინის, როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის ხსოვნის აღსანიშნავად.

„როტე ფანე" აქვეყნებს ახალ საბუთებს, რომლებითაც მტკიცდება, რომ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი მოკლეს ნოსკეს დამქაშებმა—და რომ მკვლელებს მფარველობას უწევდა შეიდემანის მთავრობა (ადს).

რეაქციის თარეში

ბულგარეთში

ვენა, 13 იანვარი. ბულგარეთის გაზეთების ცნობით, მთლიანი ფრონტის პროპაგანდისათვის დააპატიმრეს სამხრეთ ბულგარეთის გლეხთა კავშირის ორგანიზატორი—ტაფრევსკი. გლეხთა კავშირის ორგანოს ცნობით, ოხრანკის ერთ-ერთმა შოფერმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად იპოვეს მკვდარი, თავი მოიკლა სინდისის ქენჯნის გამო. თვითმკვლელობის წინ შოფერმა თავის ნაცნობებს განუცხადა, რომ მას მუდამ ელანდება იმ პოლიტიკურთა გვამები, რომლებიც მას გადაჰყავს ოხრანკიდან სიკვდილით დასჯის ადგილზე. ეს მხილება ოხრანკის საიდუმლოებათა შესახებ აქამდის არ არის უარყოფილი. (ადს).

სხვადასხვა

უმუშევრობა რუმინეთში

ვენა, 13 იანვარი. ბუქარესტის გაზეთ „ადევერულის" ცნობით არადში (სემიგრადიე) უმუშევრებმა პრეფექტურის შენობის წინ მოაწყვეს დემონსტრაცია. ასტრის ფირმის ვაგონების სააშენებლო ქარხნის დახურვის გამო არადში უმუშევრად დარჩა—5.000 კაცი. (ადს).

მფრინავის დაღუპვა

ლენინგრადი, 14 იანვარი. მიღებულია ცნობა, რომ ატლანტის ოკეანეზე გადაფრენის დროს დაიღუპა ცნობილი მფრინავი ოსკარ ომდალი, რომელიც თავის დროზე იყო ამუნდსენის და ნობილეს თანამგზავრი მათი გაფრენის დროს ჩრდილოეთ პოლიუსზე.

საჰაერო მიმოსვლა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის

პარიზი, 13 იანვარი. მადრიდიდან იუწყებიან, რომ შემუშავებულია შეთანხმების ტექსტი საჰაერო ხაზის მოწყობის შესახებ. ტექსტი განსახილველად გადაეცემა ორივე მთავრობას (ადს).

წყალდიდობა ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. რიო-დე-ჟანეიროდან (ბრაზილია) მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქ დიამანტინაში წყალდიდობამ დაანგრია 1.000-ზე მეტი სახლი. 5.000 კაცი დარჩა ულუკმაპუროდ და უსახლ-კაროდ. (ადს).

გაფრენა ჩრდ. პოლიუსზე

ლენინგრადი, 14 იანვარი. დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენისათვის. გადაფრენაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მეცნიერები. გადაფრენას აწყობს იტალიის გეოგრაფიული საზოგადოება გენერალ ნობილის ხელმძღვანელობით. გადაფრენა მოხდება ახლათ აშენებული იტალიის დირიჟაბლით № 4

გემის დაღუპვა

ოდესა, 14 იანვარი. რადიო - სადგურმა მიიღო ცნობა ნორვეგიის გემის „ნორა"-ს ავარიის შესახებ. „ნორა" ბათომიდან გასვლის შემდეგ სინოპის ახლო დაეჯახა ქვას. წყალი შევიდა ტრიუმში. ბათომიდან და სტამბოლიდან დასახმარებლად გავიდნენ დამხმარე გემები (ადს).

თათბირი აღმოსავლეთის ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ

მოსკოვი, 14 იანვარი. აღმოსავლეთის ქალის შრომის და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის საღამოს სხდომაზე 13 იანვარს დამთავრდა აზროთა გაცვლა-გამოცვლა ამხ. პახომოვის მოხსენების გარშემო საბჭოს წევრ-ქალების მიმდინარე მუშაობის შესახებ. რეზოლუციის დასამუშავებლად გამოყოფილ იქნა კომისია.

ყოფა-ცხოვრებრივ დანაშაულობის კანონმდებლობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. შიგაევმა. მომხსენებელმა განმარტა რუსეთის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებების პროექტი სისხლის სამართლის კოდექსისათვის იმ „დანაშაულობათა დამატების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთებს".

ეს დამატებები შეეხება სისხლის აღებას, ყალიმს, ქალის ძალდატანებით დაქორწინებას, მცირე-წლოვანთა გათხოვებას, ორცოლიანობას, მრავალცოლიანობას და იძულებითი გადასახადის რელიგიურ—ყოფა-ცხოვრების მიზნებისათვის. კამათი ამხ. შიგაევის მოხსენების გარშემო გაიმართება 14 იანვარს დილით (ადს).

ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ

სპეკულიანტების დაპატიმრება

ხარკოვი, 14 იანვარი. ამ ბოლო დროს, უკრაინაში გაძლიერდა სპეკულაცია მანუფაქტურით. უკრაინის მთელ რიგ ოლქებში პროკურატურამ დააპატიმრა სპეკულიანტი კერძო ვაჭრები. მაგალითად, ხარკოვში დაპატიმრებულია 50 სპეკულიანტი. კერძო ვაჭრები ყოველგვარი უკანონო გზებით იძენდენ მანუფაქტურას და შემდეგ ყიდდენ ნამდვილ ფასზე 500—600 პროცენტით მომატებით. მანუფაქტურის საყიდლად და შემდეგ გასაყიდად კერძო ვაჭრებმა უკრაინის ზოგიერთ ქალაქებში შექმნეს მთელი „ტრესტები" კანტორებით, აგენტებით და სხვ. ყველა აღნიშნული პირები პასუხისგებაში არიან მიცემული (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება უცხოეთში

გერმანიის „კომერციული იმპერატორი"

სეიმურ პარკერ ჯილბერტი

სეიმურ პარკერ ჯილბერტი არის სარეპარაციო გადასახდთა გენეოლური აგენტი, რომელიც კონტროლს უწევს გერმანიის მთელს სახალხო მეურნეობას და თვალყურს ადევნებს იმ გადასახდათა წესიერად შეკრებას, რომელიც გერმანიამ უნდა იხადოს დაუესის გეგმის თანახმად. პარკერ ჯილბერტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია (35—36 წ.), მაგრამ ამერიკის კაპიტალის უდიდესი ნდობით სარგებლობს. 25 წლის იყო, როცა შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის ამხანაგის პოსტი ეჭირა. როდესაც მიიღეს დაუესის გეგმა და შეერთებულმა შტატებმა იკისრა გერმანიისათვის სესხის მიცემა, ნიუ-იორკელმა ბანკირებმა მოითხოვს საფუძვლიანი გარანტიები სესხად მიცემულ დოლარებისათვის. ასეთ გარანტიად პირველ რიგში ჩასთვალეს გერმანიის რკინის გზები, რომლის მთელი შემოსავლი სარეპარაციო გადასახადში ირიცხება. გარდა ამისა ამერიკელმა ბანკირებმა მოითხოვეს, რომ გერმანიამ აწარმოოს ისეთი ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველჰყოფს მის მიერ მოკავშირეთა მიმართ ნაკისრებ ვალდებულებებს. იმისათვის კი, რომ გერმანიის პირნათლად შეესრულებია ბანკირების კარნახი. მას დაუნიშნეს მეთვალყურე—პარკერ ჯილბერტის სახით. რომელიც კონტროლს უწევს გერმანიის არა მარტო საქეურნეო, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებას, იმ გავლენისათვის. რომლითაც ჯილბერტი სარგებლობს გერმანიაში. მას გერმანიის „კომერციული იმპერატორი" უწოდეს.

სეიმურ პარკერ ჯილბერტი

ევროპისა და ამერიკის პრესა ამჟამად კვლავ ბევრს ლაპარაკობს პარკერ ჯილბერტზე დაუესის გეგმასთან დაკავშირებით. როგორც გაზეთები იუწყებიან. დაუესის გეგმის გადასინჯვის პროექტი შედგენილია ჯილბერტის მიერ მორგანის საბანკო სახლის დირექტივების კარნახით. გეგმის გადასინჯვის დედა აზრი ასეთია: ვინაიდან რეპარაციების დიდ ნაწილს იღებს საფრანგეთი და ინგლისი და გერმანია ვერ ახერხებს ამერიკაში აღებულ სესხის პროცენტების გადახდასაც კი. ამიტომ, შეერთებული შტატეის მთავრობას განზრახული აქვს გააუქმოს ის ვალი, რომელიც საფრანგეთსა და ინგლისს მართებს მისი.

თავის მხრივ საფრანგეთმა და ინგლისმა უარი უნდა სთქვას გერმანიის ვალის დიდი ნაწილის გადახდევინებაზე. ვალის დარჩენილ ნაწილს გერმანია იხდის შეერთებულ შტატებში მიღებულ სესხით. ამრიგად გერმანიას ექნება მხოლოდ შეერთებული შტატების ვალი. მაგრამ რადგან შეერთებული შტატებისათვის არ არის ხელსაყრელი. რომ გერმანიამ თავისი ვალი გადაიხადოს ხალდ ფულით რადგან ეს გაადიდებდა ამერიკის ოქროს ისედაც დიდ მარაგს ამიტომ ნიუ-იორკელი ბანკირები მოითხოვენ. რათა გერმანიამ ვალი იხადოს თავისი სამრეწველო წარმოებების აქციებით. ამიგად ამერიკელი ბანკირები აპირებენ გერმანიის მთელი მეურნეობის დაპატრონებას. ამისათვის ღირს ინგლის-საფრანგეთის დავალიანების გაუქმება.

როგორც ვხედავთ სეიმურ პარკერ ჯილბერტს არ აკლია გამჭრიახობა და ხოხერხება შეერთებული შტატების ბანკირების სამსახურის საქმეში.

ი. წ.

მუშათა მოძრაობა

გერმანია ახალი კლასობრივი ბრძოლების წინ

უახლოესი თვეების განმავლობაში მოსალოდნელია სერიოზული ბრძოლები გერმანიის მუშებსა და მრეწველებს შორის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობა ახლა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ოდესმე. მაგრამ უკვე გავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა იძულებული გეხადათ გერმანელი მუშა მახორულ ხელფასით ემუშავა 9-10 საათი იმ საბუთით, რომ მეურნეობა კრიზისს განიცდის ომისა და რეპარაციების წყალობით. ამჟამად გერმანიის მრეწველობა აღორძინების პერიოდში იმყოფება, მწარმოებლების საქმე უმჯობესდება და გერმანიის მუშები უფრო და უფრო დაბეჯითებით მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლის განწყობილებათა ზრდის ნიშანწყლად ვითარდება კონფლიქტი რკინის მრეწველობაში. ასეთივე განწყობილება მზადდება და ღრმავდება მრეწველობის სხვა დარგებშიც.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე უთავდება ვადა კოლექტიურ ხელშეკრულებებს გერმანიის უმთავრეს სამრეწველო რაიონებში. ეჭვს გარეშეა, რომ ახალ ხელშეკრულებათა დადებას წინ გაიმართება დიდი ბრძოლები მუშებსა და მრეწველებს შორის.

ქვევით ჩვენ მოგვყავს იმ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასრულების ვადები, რომლებიც აწესრიგებენ შრომის პირობებს მრეწველობის უმთავრეს დარგებში:

1) **სამთო მრეწველობა.** რურის ოლქში, საქსონიაში და ზემო - სილეზიაში შეთანხმებას მემაღაროეთა ხელფასის შესახებ ვადა უთავდება 1928 წლის პირველ აპრილს. დაახლოვებით ამ დროისათვის უთავდება ვადა, აგრეთვე, შეთანხმებას სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესახებ

2) **რკინისგზები.** შეთანხმება რკინისგზელების შრომის ხელფასის შესახებ თავდება 31 მარტს

3) **ლითონის მრეწველობა.** პირველ აპრილს თავდება შეთანხმება შრომის ხელფასის შესახებ მთელ გემების საამშენებლო მრეწველობაში.

4) **ქიმიური მრეწველობა.** კოლექტიურ ხელშეკრულებებს ვადა უთავდება: ბადენში, პფალცში და ბავარიაში — 15 მაისს; შუა გერმანიაში — 1-ლ მაისს; დიუსელდორფში, კიოლნში და ბერლინში — 31 მარტს; ჰანნოვერში—30 მაისს.

5) **ხის დამმუშავებელი მრეწველობა.** კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხება 100 000-მდე მუშას, ვადა უთავდება 15 თებერვალს. ბრძოლა ხის დამმუშავებელ მრეწველობაში ყველაზე მკაცრი იქნება, რადგან ხის დამმუშავებელთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა გაცილებით დიდია, ვიდრე მრეწველობის სხვა რომელიმე დარგში.

6) **საამშენებლო მრეწველობა.** შეთანხმებას შრომის ხელფასის შესახებ ვადა უთავდება 1-ლ მარტს. შეთანხმებას სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესახებ — 15 თებერვალს.

7) **ფეხსაცმელებისა და ტყავის მრეწველობა.** კოლექტიურ ხელშეკრულებებს ვადა უთავდება 31 მარტს.

8) **პოლიგრაფიული მრეწველობა.** მბეჭდავთა კოლექტიური ხელშეკრულების ვადა თავდება 31 მარტს.

მომავალი კლასობრივი ბრძოლების პერსპექტივების შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოახლოვებული არჩევნები რეიხსტაგში. გერმანიის სოციალ - დემოკრატია, რომელსაც ეკუთვნის პროფკავშირებში „ბელადების" უმრავლესობა, იმ მიზნით. რომ არ დაჰკარგოს თავის მომხრე მუშების ხმები, იძულებული იქნება ხელი აიღოს თავის ჩვეულებრივ — საბოტაჟის ტაქტიკაზე და თავისი სურვილის წინააღმდეგ მეტის „გამბედაობით" დაუჭიროს მხარი მუშების მოთხოვნილებებს ხელფასის გადიდების შესახებ. გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატიც შესაფერად ისარგებლებს შექმნილი პირობებით, რომ თავის ეკონომიური მოთხოვნილებების დაცვაში მაქსიმუმ შედეგებს მიაღწიოს.

ვ. ბ.

საბჭოთა კავშირში

საჰაერო მიმოსვლა ტაშკენტ - ქაბულს შუა

მოსკოვი, 14 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ხელშეკრულება საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს ხაზი ისე ამოკლებს ტაშკენტ - ქაბულის გზას, რომ 14 დღის მაგიერ საჭირო იქნება რამდენიმე საათი.

საგლეხო სესხი

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ადგილებზე გადაგზავნა გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის დროებითი ნიშნები 70.000.000 მანეთის რაოდენობით. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა

200 მილიონის მაგიერ გასაღდა 243 მილიონის ობლიგაცია

ინდუსტრიალიზაციის სესხი შეიძინა 6 მილ. კაცმა

მოსკოვი, 14 იანვარი. უკვე გამორკვეულია ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის საბოლოო შედეგები. სესხი დაფარულია მთლიანად 200 მილ. მან. რაოდენობით. დაუკმაყოფილებელი დარჩა მოთხოვნილება 43 მილ. მანეთის ობლიგაციებზე. სესხის ხელმომწერთა რიცხვი 6 მილ. კაცს აღემატება (ადს).

ამხ. ბრიუხანოვი ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ

მოსკოვი, 14 იანვარი საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანიის შედეგების შესახებ განაცხადა:

„სესხის რეალიზაციის შედეგები ბრწყინვალედ უნდა ჩაითვალოს. **საბჭოთა კავშირის მშრომელებმა სესხში მონაწილეობით კიდევ ერთხელ ხმა მისცეს პროლეტარულ დიქტატურას, სოციალიზმს და განახლებულ მრეწველობას** სახელმწიფოს მიერ სესხის საშუალებით მიღებული საშუალებანი მნიშვნელოვანი დახმარებაა ბიუჯეტისათვის ახალ სამრეწველო აღმშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების საქმეში. სესხის რეალიზაციამ მთელს ქვეყანას დაანახვა. რომ საბჭოთა კავშირი, თუ საჭიროება მოითხოვს. საკადრის პასუხს გასცემს ეკონომიურ ბლოკადას და [illegible] სამხედრო მუქარა.

პურის დამზადების კამპანია

მარიუპოლი, 14 იანვარი. ათ იანვრისათვის პური დამზადებულია 23 პროც. მეტი, ვიდრე დეკემბრის უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში. სასოფლო კრებებს გამოაქვთ დადგენილებები პურის ზედმეტი მარაგის ჩაბარების შესახებ კოოპერაციისათვის (ადს).

ხარკოვი, 14 იანვარი. იანვრის პირველი ათი დღის განმავლობაში ხარკოვის ოლქში დამზადებული ხორბლის რაოდენობა 10 პროც. სჭარბობს დეკემბრის უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში დამზადებულ ხორბალს (ადს).

სარატოვი, 14 იანვარი. მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში დიდი ყინვები და ქარბუქი იყო, პურის შემოტანა გაძლიერდა (ადს).

ხარკოვი, 14 იანვარი. ხარკოვის ოლქში დაპატიმრებულია 100 გადამყიდავი და პურის საიდუმლო საწყობების პატრონი. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ 500 ტონა პური, რომელიც შესყიდული ჰქონდათ მაღალ ფასებში (ადს).

ხარკოვი, 14 იანვარი. გაძლიერებულია ბრძოლა პურის დამზადების დირექტივის დამრღვევთა წინააღმდეგ. დაწესებულ ფასების დარღვევისათვის მუშაობიდან მოხსნილია ნოვო - ვორონცოვკის პურის დამზადების პუნქტის გამგე. ხერსონის და მარიუპოლის ოლქში „ხლებოპროდუქტის" და „ვუკოპსპილკის" პუნქტების მთელი რიგი გამგეები დაჯარიმებული არიან 1.000 მანეთით თითეული.

ანალოგიური დანაშაულობისათვის დააჯარიმეს და საყვედური გამოუცხადეს პურის დამზადებელ პუნქტების სხვა გამგეებსაც. პურის დამზადების არა სწორ ჩატარებისათვის გადაყენებულია გამგეობების მთელი შემადგენლობა კამიშევატის, დოროფეევის, ვისოკოპოლის და სხვა სამომხმარებლო საზოგადოებებში (ადს)

ორენბურგი, 14 იანვარი. კამპანიის დაწყებიდან 6 იანვრამდე დამზადებულია 1.333.000 ფუთი პური. ნოემბერში დამზადებულია — 89.000 ფუთი. დეკემბერში—96.000 ფუთი. პურის დამზადების წარმატებას ხელს უშლიდა აპარატის მოუქნელობა, ფასების შეუფარდებლობა ორენბურგსა და მის მეზობელ გუბერნიებში, დაგვიანებული ხნვა - თესვა. და კულაკების და სპეკულიანტების აგიტაცია

მანუფაქტურა ამიერ-კავკასიას

მოსკოვი, 14 იანვარი. **იანვრის პირველათ დღეში საკავშირო საფეიქრო სინდიკატმა ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნა ხუთი ვაგონი მანუფაქტურა. (ადს).**

მებამბეობის მთავარ კომიტეტის მუშაობა

მოსკოვი, 14 იანვარი. მებამბეობის მთავარ კომიტეტის ცნობებით, საფეიქრო მრეწველობა ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბრის რიცხვებში მუშაობდა უმთავრესად შემოტანილ ბამბით, ვინაიდან ახალი მოსავლის ბამბა ცენტრამდე ოქტომბერში აღწევს მხოლოდ ძლიერ ნაადრევი მოსავლის დროს. მიმდინარე წელს მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა წლის პირველ მეოთხედისათვის საფეიქრო ფაბრიკებს მიაწოდა 60 ტონა (3.600 ფ.) ბამბა. თუ ოქტომბერში ბამბის ქსოვილების მრეწველობა მუშაობა უხდებოდა უმთავრესად ამერიკის ბამბით, ოქტომბერში მან უკვე მიიღო სამი მეოთხედი საბჭოთა კავშირის ბამბა, დეკემბერში კი—თითქმის 100 პროცენტი. პირველ მეოთხედში მრეწველობისათვის ბამბის მიწოდება ნელი ტემპით მიმდინარეობდა ეს უმთავრესად აიხსნება მით, რომ ორენბურგის რაიონში დადგა ძლიერი ყინვა და თოვლის ნამქრები აფერხებდა ბამბის გაზიდვას. ამჟამად რკინის გზები უფრო ნორმალურად მუშაობენ. ეს გარემოება და ბამბის გამწმენდ რამოდენიმე ახალი ქარხნის ამუშავება შესაძლებელს გახდის. რომ მეორე მეოთხედში საფეიქრო ფაბრიკებს გაცილებით მეტი ბამბა მიეწოდოს. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ყარაბაღის ცაკის სესია

სტეპანაკერტი, 13 იანვარი. გაიხსნა ყარაბაღის ცაკის მესამე სესია. პირველად მოსმენილ იქნა შუშავანის რაიონის აღმასკომის მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია დიდი მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგებში. აგებულია ელექტროსადგური, დადგმულია მოტორი წისქვილზე, გადიდებულია ხეხილის ბაღების და ვენახების სივრცე, მოწყობილია აგრონომიული პუნქტები და სწრაფად ვითარდება მეაბრეშუმეობა. 21 სოფელში გლეხებმა თავისი ინიციატივით, საკუთარი საშუალებებით ააგეს ახალი შენობები სკოლებისათვის. აგებულია 4 ხიდი, აქედან ორი ქვის, შეკეთდა სარაიონო მნიშვნელობის გზები, გაჭყანილია რამოდენიმე სარწყავი არხი და სხვ. ამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს აგრეთვე ზოგიერთ დეფექტებსაც, განსაკუთრებით სასამართლო ორგანოების მუშაობაში.

შუშავანის რაიონის აღმასკომის მუშაობა სესიამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება მიწადმოწყობის შესახებ. ვინაიდან ყარაბაღში არ არსებობს დამოუკიდებელი მიწადმომწყობი კომისია, მიწადმოწყობის სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ 25 პროცენტით. მიმდინარე წელში ხავარაუდევია გამოკვლეულ იქნას 45 საზოგადოება, სადაც უნდა მოწყობილ იქნას 72.000-მდე დესეტინა. ადგილებზე მიწადმოწყობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

კამათში გამოსული ორატორები ხაზს უსვამდნენ მიწადმოწყობის გატარების საჭიროებას. სესიამ დაამტკიცა მიწადმომწყობ პარტიის მუშაობის გეგმა და დაადგინა სასწრაფოდ დამთავრდეს საზღვრების გამორკვევა მაზრებს შორის (ადს).

ყაჩაღების ბრბოს ლიკვიდაცია

განჯა, 13 იანვარი. მილიციასთან სროლის დროს მოკლულია ყაჩაღებს ცნობილ ბრბოს ბელადი მამედი. ეს ბრბო თარეშობდა შამქორ-დალმამეტლის რაიონებში. ბრბომ მოახდინა მთელი რიგი მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა.

დაპატიმრებულია ბრბოს წევრები ახმედ-ოღლი მეშადი. სალმან-ოღლი და იბრაჰიმ ხალილ ოღლი (ადს).

საბჭოთა საზოგადოებრივობის გამოცდა

მშრომელი ინტელიგენციისა, ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა, მუშგლეხკორებისა. პროფკავშირებისა, კომკავშირებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვა ელემენტების წინაშე ამ უახლოეს დღეებში დადგება ცოცხალი პრაქტიკული ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც იქნება გამოცდა ამიერ-კავკასიის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის.

გლეხობა თავისი ძირითადი მასით დაქსაქსულია, ძალიან სუსტად არის შეკავშირებული. ჩვენი ფედერაციის მრავალ რაიონში ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში გლეხკაცობა ნაკლებ კულტურული და წერა-კითხვის მცირედათ მცოდნეა, ხშირად სრულიად უცოდინარია. თავისი აზროვნების მიხედვით, რომელიც მისი სოციალური წარსულიდან გამომდინარეობს, იგი ინდივიდუალისტია. მაგრამ იგი **შეიძლება** იყოს სხვაგვარი შეიძლება და უნდა **გახდეს** სხვაგვარი საბჭოთა სინამდვილეში, პროლეტარული დიქტატურის ქალაქის გავლენით და სოციალისტ. ელემენტების გავლენით თვით სოფლის შიგნით. სწორედ ამ შესაძლებლობას უნდა ჩაეჭიდოს საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომ გლეხობის ფართო მასები, ამიერ-კავკასიის ყველა გლეხობა ჩააბას სოფლის **კოლექტიურ** თვითდახმარების საქმეში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

პირველი თებერვლისათვის უნდა დამთავრდეს მზადება, ხოლო თვის დასაწყისში უნდა გაიშალოს კამპანია სასოფლო მეურნეობის განმტკიცების 100 მილიონიანი 6 პროცენტიანი სესხის რეალიზაციისათვის. უეჭველია. რომ ამ სესხს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა საკმაოდ იქნება გაშუქებული ჩვენი პრესის ფურცლებზე. ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ და მხოლოდ იმ **პრაქტიკულ** ამოცანებზე, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც ეხლავე უნდა გადასწყვიტოს ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველმა რაზმმა, ვინაიდან ამ საზოგადოებრიობის გარეშე შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად იქნას გადაწყვეტილი სესხის რეალიზაციის ძირითადი ამოცანა.

სოფლის მცირე-რიცხოვანი კულტურული ძალები შესდგება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან: მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები. მიწისმზომელები. საბჭოთა მუშაკები და სხ. სათანადო **პროფკავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა** სოფლად მომუშავე და სოფელში დროებით დავალებებით მივლინებულ ყველა თავის წევრებს უახლოეს დღეებშივე უნდა მიმართონ მოწოდებით, რათა აქტიური და ცოცხალი მონაწილეობა მიიღონ სესხის რეალიზაციაში. ის ინტელიგენტი-მუშაკი სოფლად, რომელიც პასიურობას გამოიჩენს ამ მუშაობაში, დაამტკიცებს, რომ იგი არის დახავსებული ჩინოვნიკი. რომელიც გულგრილად უყურებს სოფლის მძიმე მოთხოვნილებებს.

ყველა **ნებაყოფლობითი საზოგადოებებმა**, რომელთაც თავისი უჯრედები აქვთ სოფლად, კამპანია სესხის რეალიზაციისათვის უნდა გამოაცხადონ ყველა თავისი წევრების უდიდესი მნიშვნელობის მუშაობად უახლოეს პერიოდში. განსაკუთრებით უნდა მუშაობდეს ამ დარგში ქალაქისა და სოფლის **კულტურული კავშირის საზოგადოება.** კავშირი ქვესაშეფო სოფლებთან უაღრესად უნდა გაძლიერდეს და მთელი მუშაობის საფუძველი უნდა იყოს კამპანია სესხის რეალიზაციისათვის. ქალაქის მუშებსა და მოსამსახურეებს ბევრი რამ შეუძლიათ უთხრან ამის შესახებ სოფელს.

მუშკორებმა თავისი ბასრი კალამი უნდა მიმართონ კულტურული კავშირის საზოგადოების უმოქმედო უჯრედთა წინააღმდეგ, უნდა გამოაშკარავონ სუსტი მუშაობა, ხელი შეუწყონ გამოცდილებათა გაზიარებას. გააშუქონ უფრო აქტიური უჯრედების მიღწევანი და მუშაობა. ამავე საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი პირველ რიგში წარმოებათა და დაწესებულებათა კედლის გაზეთებმა. მაგრამ ძირითადი მუშაობა ამ მხრივ უნდა დაეკისროს **გლეხთა პრესას,** სოფლის კედლის გაზეთებს და გლეხკორებს. სესხის პროპაგანდა, კამპანიის მსვლელობის გაშუქება: რა მონაწილეობას ღებენ ამ კამპანიაში საბჭოთა საზოგადოებრიობის ესა თუ ის ელემენტები, როგორ მუშაობენ სესხის გავრცელებისათვის კოო-სამკითხველოები, საფოსტო დაწესებულებანი, ყველა სახის კოოპერაციის დაბალი საფეხურის ორგანოები, ქალთა დელეგატები, კომკავშირის და პიონერთა უჯრედები, საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების კომიტეტები, სასოფლო-სამეურნეო მუშების ადგილობრივი კომიტეტები და სხ.;—ყოველივე ამან უმთავრესი ადგილი უნდა დაიჭიროს იმ პრესის ფურცლებზე, რომელსაც სოფელი კითხულობს, ამას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ქალაქის პრესაში. სოფლის შეძლებული ელემენტები, რომელნიც საბოტაჟს გამოუცხადებენ სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელების საქმეს, დღის სინათლეზე უნდა იქნენ გამოყვანილი და დაგმობილ იქნენ როგორც სოფლისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრები. სასტიკად უნდა იქნას დაგმობილი ღარიბი ელემენტების შეუგნებლობა, რომელნიც შესაძლოა არ სცნობენ ობლიგაციის თუნდაც ერთ მეოთხედ ნაწილის შეძენას 2 მან. 50 კაპეიკად და სესხის ყველა სარგებლიანობას. მნიშვნელოვანი თანხის მოგების შესაძლებლობას (ყოველ 30 ობლიგაციაზე მოდის ერთი მოგება) დაუთმობენ შეძლებულ ელემენტებს. არ უნდა დარჩეს **არც ერთი გლეხი, რომელიც არ შეიძენს მომგებიანი სესხის ობლიგაციას.**

წითელმა არმიამ, რომელიც არის არა მარტო მშრომელთა დამცველი, არამედ მისი ფართო მასების აღმზრდელიც, უნდა გამოიყენოს ყოველგვარი კავშირი სოფელთან, რათა შეაგნებინოს მას თავისი ინტერესები. არმიის პოლიტპარტმა და ცალკე პოლიტმუშაკებმა. უფროსთა შემადგენლობამ, აქტივისტ-წითელ-არმიელებმა და მთელმა წითელ-არმიელთა მასამ (წერილები თავის სოფელში) უნდა დაეხმარონ სოფელს სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელებაში. დაუფასებელი სამსახური შეიძლება გაუწიოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შორეულ პუნქტებში გაფანტულმა **სანაპირო რაზმის ნაწილებმა,** რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული ადგილობრივ მოსახლეობასთან.

სასოფლო ორგანიზაციებს ზემოხსენებული ორგანოები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ კამპანიაში. არ არის საკმაო. ყველა სოფლად მომუშავე ორგანიზაციების ცენტრალურმა ორგანოებმა—გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა, კოოპერატიულ გაერთიანებათა ცენტრალურმა კომიტეტმა, ფოსტა-ტელეგრაფის, განათლების სახ. კომისარიატმა, პოლიტგანის მთავარმა სამმართველომ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ, ახალგ. ლენ. კომკავშირმა. ნებაყოფლობით საზოგადოებათა ცენტრ. კომიტეტმა და სხვ. აუცილებლად უნდა მიმართონ მოწოდებით თავის სასოფლო ორგანიზაციებს და მათ აქტივს. მე ვფიქრობ, საგრძნობლად შეუწყობს ხელს მუშაობის ტემპის გაძლიერებას ის. რომ პოლიტგანის მთავარმა სამმართველომ პრემიები დაუნიშნოს სამკითხველოებს, განათლების სახ. კომისარიატმა—სკოლებს, კოოპერაციამ—თავის დაბალ უჯრედებს, გაზეთებმა—მუშგლეხკორებს და სხ. ამ პრემიებს უფრო მორალური მნიშვნელობა ექნება, ვიდრე მატერიალური და საგრძნობლად გამოაცოცხლებს სესხის რეალიზაციისათვის წარმოებულ მუშაობას.

ყოველივეს ხელმძღვანელი, ყოველივეს მოთაური და სულის ჩამდგმელი უნდა იყოს, რასაკვირველია, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა გააძლიერონ თავისი წევრების ინიციატივა და თვითმოქმედება, რათა პარტიის წევრები გახდენ მაგალითი სოფლის მთელი მასისათვის.

სესხი უნდა გავრცელდეს ყველა სოფლებში და **მთელ** სოფელში. **ყოველმა** გლეხმა უნდა შეიგნოს **საერთო** ინტერესები და შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა; მთელი გლეხობა უნდა იქნას ჩაბმული ამ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეში. გარდა ყველა სამეურნეო და პოლიტიკური მომენტებისა, ეს იქნება უდიდესი ნაბიჯი წინ იმისაკენ, რომ სოციალისტურმა ქალაქმა მოიპოვოს გავლენა სოფელზე, რომ გაჩაღდეს კულტურული რევოლიუცია სოფლად.

მ. ლისოვსკი.

საკავშირო ყრილობა ტუბერკულოზის საკითხებზე

საკავშირო ყრილობა ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხებზე მოწვეული იქნება თბილისში ა. წ. 3 ივნისს. ყრილობის მოსაწვევი ხარჯების დასაფარავად საკავშირო თანხებიდან გადადებულია 10.000 მანეთი. კვირას, 3 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგება ყრილობის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრებიან: 600 დელეგატი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოკავშირე რესპუბლიკების ჯანსახკომები და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული მეცნიერები.

ყრილობის დელეგატებისათვის, გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, გამოყოფილი იქნება სპეციალური მატარებელი. საქართველოს ჯანსახკომთან არსებული ყრილობის მომწვევი ბიურო შუამდგომლობას აღძრავს „ზაკავტოკრომტორგის" წინაშე, რომ ყრილობის დელეგატებს დაეთმოს შეღავათიან ფასებში რამოდენიმე ავტომობილი.

ყრილობის გახსნის დღეს თბილისში გაიხსნება ორი გამოფენა: ერთ გამოფენაზე ნაჩვენები იქნება საბჭოთა კავშირში არსებულ ტუბერკულოზთან მებრძოლი ყველა ორგანიზაციების ექსპონატები და მეორე გამოფენაზე კი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ფირმების მიერ დამზადებული ანტიტუბერკულოზური საშუალებები.

ყრილობის დახურვის შემდეგ დელეგატები დაათვალიერებენ საქართველოს კურორტებს.

ვერაგულად მოკლულთა ხსოვნისათვის

(კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მოკვლის 9 წლის თავი)

„ვსარგებლობ რა შემთხვევით, მოგაგონებთ თქვენ და თქვენს პოლიტიკურ მეგობრებს, რომ „ფოლადის მუზარადის" წევრებმა, რომლებსაც თქვენ აყენებთ ერთ დონეზე მესამე ინტერნაციონალის ლიდერებთან, 1919 წლის იანვარში განთავისუფლეს ბერლინი ბოლშევიკური ტერორიდან, როცა „სპარტაკის" კავშირმა მოიკალათა სოციალ-დემოკრატიულ ცენტრ-სიმაგრეში „ფორვერტს"-ის შენობაში. იმ დროს, თქვენმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, ებერტმა და შეიდემანმა შესწყვიტეს თავიანთი პოლიტიკური ლაყბობა და ხმამაღლა ემუდარებოდენ დახმარებას წყეულ ფრონტელებს „ფოლადის მუზარადიდან". ჯარისკაცთა გაცვეთილ მუნდირებს და უარჰყვეს მოალაპარაკება ხალხთან, რომლებმაც „ფორვერტს"-ში მოიკალათეს"

ეს ამონაწერი ამოღებულია ფაშისტური ორგანიზაციის — „ფოლადის მუზარადის" თვალსაჩინო მოღვაწის **სტეფანის** წერილიდან პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის მენშევიკ ხჟეშინსკის სახელზე. წერილი დაიბეჭდა გაზ. „დეიჩე ტაგეს-ცაიტუნგ"-ის 1927 წ. 13 თებერვლის ნომერში. მთელ ამ ზემოთმოყვანილ ამონაწერში საინტერესოა არა უარყოფა იმ თავისთავად იდიოტური მტკიცების თითქო ფაშისტური „ფოლადის მუზარადის" წევრები და მესამე ინტერნაციონალის მოღვაწეები ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ, არამედ დამოწმება და იმავე საქმეს აკეთებენ. პროლეტარიატის 1919 წ. იანვრის გმირული აჯანყება ჩაქრობილ იქნა მენშევიკების და ფაშისტების შეერთებული ძალებით.



კარლ ლიბკნეხტი

უკანასკნელი სიტყვა 1919 წ. 9-13 იანვრის აჯანყების დროს

როზა ლიუქსემბურგი

1913 წ. გადაღებული სურათიდან)

მენშევიკები და ფაშისტები აკეთებდენ ერთსა და იმავე საქმეს; ახრჩობდენ გერმანიის პროლეტარიატის პირველ ცდას დაემყარებიათ თავისი დიქტატურა — მსგავსად აღმოსავლელ ძმებისა—რუსეთის მუშებისა და გლეხების მსგავსად.

გერმანიის მუშათა მასების მეთაურებად და ამ რევოლიუციონურ ბრძოლებში იყვნენ კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, რომლებიც ერთ მუჭა მომხრეებთან ერთად 1914 წ. ომის დაწყების დღეებში უშიშრად გამოვიდნენ არა მარტო ვილჰელმის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ, არამედ ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც, რომელიც ომის საკითხში ბურჟუაზიას უჭერდა მხარს. შეიდემან-ზევერინგების ორი თვის ბატონობამ (გერმანიის რევოლიუცია დაიწყო ნოემბერში) ცხადი გახადა მუშებისათვის, რომ ლიბკნეხტ - ლიუქსემბურგის მიერ შექმნილი ჯგუფის—„სპარტაკის" ბრალდებები სოციალ-დემოკრატიის მიმართ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ ხელისუფლების სათავეში მოქცეული მენშევიკები სრულიად არ ფიქრობენ ბურჟუაზიის ბატონობის შერყევაზე და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაზე, რომ მენშევიკურ რესპუბლიკაშიც მათზე ისევე იბატონებენ კრუპები, ტისენები, სტინესები და სხვ., როგორც ვილჰელმის დროს ბატონობდენ; რომ სახელმწიფოში დარჩებიან იგივე მოხელეები, რომლებიც ბურჟუაზიის [illegible] ემსახურებოდენ—და გერმანიის პროლეტარიატმა გადასწყვიტა მოეხდინა თავისი ოქტომბერი. „სპარტაკის" მცირე-რიცხოვან ჯგუფს დღე-დღეზე ათასობით ემატებოდენ შეგნებული მუშები. მოძრაობის ავანგარდს ბერლინის მუშები შეადგენდენ.

1919 წ. იანვარში ოქტომბრის აჩრდილი უკვე დატრიალებდა გერმანიას. 9 იანვარს ბერლინის პროლეტარები გამოვიდნენ ქუჩაში, რათა დაემხოთ მენშევიკურ-ბურჟუაზიული რესპუბლიკა და შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლება. ოთხი დღე გაგრძელდა ბრძოლა ბერლინის ქუჩებში. მაგრამ მენშევიკებმა ფაშისტური რაზმების დახმარებით, როგორც ამას მოწმობს სტეფანი, სისხლში ჩაახრჩვეს ეს გმირული აჯანყება.

ძვირად დაუჯდა გერმანიის პროლეტარიატს მენშევიკების და ბურჟუაზიის ბატონობისაგან განთავისუფლების ეს პირველი ცდა.

გერმანიის კონტრ-რევოლიუციამ მენშევიკებთან ერთად განიზრახა თავი მოეკვეთა კომუნიზმისათვის. მათ გადასწყვიტეს სამუდამოთ მოეშორებიათ იანვრის აჯანყების ბელადები—კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, ისინი ფიქრობდენ. რომ პროლეტარული რევოლიუციის ბელადების ფიზიკურად განადგურებით, სამუდამოდ ჩაკლავდენ გერმანიის პროლეტარიატის მებრძოლ სულს.

ორი დღეც არ იყო გასული „სპარტაკელების" აჯანყების ჩაქრობიდან, რომ გერმანიის პროლეტარიატს აწვევინეს ის შიში, რომელიც მენშევიკებმა და ბურჟუაზიამ განიცადა 9—13 იანვრის დღეებში.

იმ დროს, როცა სასტუმრო „ედენიდან" წამოყვანილ კარლ ლიბკნეხტს ტირგარტენის დაცარიელებულ პარკში ჰკლავდა ლეიტენანტი გარტუნგი, ვითომდა „გაქცევის ცდისათვის", სასტუმრო „ედენის" კარებში ფართხალობდა მთვრალ ლეიტენანტ ფოგელის ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი როზა ლიუქსემბურგი.

ასე იძია შური გერმანიის რევოლიუციონური მუშათა კლასის ბელადებზე მენშევიკების და ბურჟუაზიის ბლოკმა.

მაგრამ შეიდემანები, ნოსკეები და მათი „ხაზეინები" სტინესები და კრუპები ანგარიშში მოსტყუვდნენ. გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის ბელადების ვერაგულად მოკვლამ ვერ ჩაკლა ბრძოლის სული გერმანიის მუშებში, პირიქით კიდევ უფრო გააძლიერა მასში საბოლოო გამარჯვების მოპოვების სურვილი. ჩქარა დაინთო ოქტომბრის ცეცხლი ბავარიაში, საქსონიაში, რეინ-ვესტფალიის რაიონში. გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ყველა ეს ცდები ისევ სისხლში ჩააქრეს მენშევიკ-ფაშისტების გაერთიანებულმა ძალებმა, მაგრამ ამ ბრძოლების გაკვეთილს უქმად არ ჩაუვლია გერმანიის პროლეტარიატისათვის—მან შექმნა მასიური კომუნისტური პარტია, მოკლულ ლიბკნეხტ-ლიუქსემბურგის ადგილი დაიჭირეს სხვა სახელოვანმა ძალებმა. და გერმანიის მუშები კომუნისტური პარტიის მეთაურობით „სპარტაკის" და მისი მეთაურების—ლიბკნეხტ-ლიუქსემბურგის დროშით მტკიცედ მიდიან წინ—გერმანიის და მსოფლიო ოქტომბრისაკენ.

ე—ნი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

კელოგის „სამშვიდობო" წინადადებები.—ზალესკიც გამოეხმაურა. დამოკიდებულება ფინეთთან.—პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა.—

ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის, კელოგის „სამშვიდობო" მანიფესტი და ამასთან დაკავშირებით ატეხილი ხმაური ზედმეტჯერ გვიჩვენებენ იმპერიალისტების თვალთმაქცობას და მათ მზადებას ომისათვის. უნდა ვიცოდეთ, რომ საფრანგეთმა ამერიკას ამას წინად მიმართა წინადადებით, რათა მათ დაედვათ ხელშეკრულება, რომელიც ამ ქვეყნებ შორის სამუდამოდ აკრძალავდა ომს როგორც კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას. კელოგმა ამ ფორმით ეს წინადადება უარყო და მის საპასუხოდ განაცხადა, რომ ასეთი ხელშეკრულება არ უნდა შემოიფარგლოს მარტო ორი სახელმწიფოთი, არამედ ის უნდა იქნეს დადებული დიდ სახელმწიფოთა შორის და შემდეგ მას დანარჩენი ქვეყნებიც უნდა შეუერთდენო.

ამგვარად, თითქო კელოგი უფრო ფართედ და რადიკალურად სვამს საკითხს, ვინემ ბრიანი, და თითქოს ის საერთაშორისო მშვიდობიანობის მოციქულის როლში გამოდის. რა თქმა უნდა, ორივეს ერთნაირად ახასიათებთ იმპერიალისტური მისწრაფებანი, იმ განსხვავებით, რომ ამერიკას შეუდარებლად უფრო მეტი საშუალებები გააჩნია ომის საწარმოებლად, ვინემ საფრანგეთს. ამიტომ საეჭვოა, რომ საფრანგეთმა თვითონ ოდისმე გაბედოს ომის გამოცხადება ამერიკისათვის. ეს კი არ ითქმის ამერიკაზე. რომელიც გაძლიერებულ შეტევას აწარმოებს ევროპისა და მთელ მსოფლიოს წინააღმდეგ.

საფრანგეთის წინადადების უარსაყოფად. ისე რომ კელოგს შეძლება ჰქონოდა „მშვიდობის მოყვარის" ქურქში გახვეულიყო, მან გამოსავალი იპოვა იმაში. რომ ბრიანის პროექტი მხოლოდ ორ მხარეს შორის „მშვიდობიანობის" ხელშეკრულების დადების შესახებ დაუპირდაპირა. როგორც ვით ქვით. საყოველთაო მშვიდობიანობის ხელშეკრულების პროექტი: უკანასკნელი, ერთი მხრით მიმართულია ერთა ლიგის წინააღმდეგ. რომელიც აჩემებს მონოპოლიას საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების დარგში. დიდი ხანია ამერიკა აღმაცერად უყურებს ერთა ლიგას და ცდილობს მის ავტორიტეტის (თუ მას კიდევ გააჩნია რაიმე ავტორიტეტი) დამცირებას. საქმე ის არის, რომ ამერიკას ეშინია ერთა ლიგის, რომელიც მასში გაბატონებულ ევროპიულ სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ ამერიკის წინააღმდეგ ერთიანი ბლოკის შესაქმნელად. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად შესწევს ერთა ლიგას და დასავლეთის ქვეყნებს ასეთი ბლოკის შეკვრის უნარი. ფაქტი ის არის, რომ ასეთ ცდას აქვს ადგილი. და აი, ამერიკა ლამობს მოსპოს ერთა ლიგა, როგორც მის წინააღმდეგ ევროპის შესაძლებელი შემაკავშირებელი იარაღი. ამ მიზნით თვითონ ჩაუდგა სათავეში „მშვიდობიანობის" საქმეს და ამ გზით ევროპის სახელმწიფოები თავის პოლიტიკას დაუმორჩილოს.

მეორე მხრივ—კელოგის წინადადებები აშკარად მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ. კელოგის პროექტი პირველ ყოვლისა გულისხმობს ინგლისის მონაწილეობას „მუდმივი მშვიდობიანობის" ხელშეკრულებაში. მაგრამ რას ნიშნავს ეს ინგლისისათვის! იმას, რომ მან ხელი უნდა აიღოს მსოფლიო ჰეგემონიის, როლზე და თავისი ეკონომიური პოზიციები დასთმოს ამერიკის სასარგებლოდ. უკანასკნელი მოითხოვს თავისუფალ ვაჭრობას, „ღია კარების" პოლიტიკის გატარებას, რაც მისთვის, როგორც ეკონომიურად და ფინანსიურად ყველაზე უფრო ძლიერ ქვეყნისათვის, სასარგებლოა. ასეთი პოლიტიკის მიღება დანარჩენ ქვეყნების მიერ ამერიკას გააბატონებდა მათზე და კერძოდ ინგლისის ისედაც დაქვეითებულ ეკონომიკას უფრო დასცემდა, გამოაცლიდა რა მას გასაღების და ნედლეულის ბაზრებს უეჭველია. რომ კელოგს „მუდმივი მშვიდობიანობა" ესმის, როგორც ამერიკის კაპიტალის ინტერესების დაკმაყოფილების საშუალება, ვინაიდან კონფლიქტების გადაჭრის უარყოფა ომის გზით ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამერიკის კაპიტალს სხვა იმპერიალისტური ქვეყნები თავის საზიანოდ გაუხსნიან გზას. ამიტომ აშკარაა, რომ ინგლისის კაპიტალიზმი თავის სასიკვდილო განაჩენს ხელს არ მოაწერს და ხსენებულ ხელშეკრულებას არ შეუერთდება. ამიტომაა, რომ ინგლისის ბურჟუაზიული პრესა უარყოფითად შეხვდა კელოგის წინადადებებს.

შემდეგ [illegible] წინააღმდეგობას გაუწევენ ყველა ის ქვეყნები, რომელნიც დიდ სახელმწიფოების უღლის ქვეშ გმინავენ ისინი იბრძვიან თავის განთავისუფლებისათვის, რომლის მიღწევა „მშვიდობიანი" გზით რა თქმა უნდა, უტოპიაა: კელოგის წინადადებათა მიღება მათთვის იქნება ეხლანდელი მონური მდგომარეობის დაკანონება. დაჩაგრული ხალხები მხოლოდ მაშინ დასთანხმდებიან „მუდმივ მშვიდობიანობის" ხელშეკრულების დადებაზე, თუ წინასწარ მოხდება მათი კანონიერი უფლებების აღდგენა. მაგრამ რას ვამბობთ: ამას ხომ ვერ მოვსთხოვთ იმპერიალისტებს, რომელთა არსებობა ძალმომრეობას და ცარცვას ემყარება. ასეთი რამის განხორციელება ხომ კაპიტალიზმის პირობებში წარმოუდგენელია.

ბოლოს: უფრო შორს ვერ წავა თვალთმაქცობა, ვინემ კელოგის „სამშვიდობო" მანიფესტია. დოლარის რესპუბლიკა სისხლის მღვრელ ომს აწარმოებს ნიკარაგუაში, იმორჩილებს ლათინურ ამერიკას, მიილტვის მსოფლიოს დაპყრობისაკენ, მისი მესვეურები შეიარაღების გაძლიერებას მოითხოვენ და მილიარდებს სდებენ სამხედრო მშენებლობისათვის და ამავე დროს კი „მუდმივ მშვიდობიანობაზე" გაიძახიან. განა ლაპარაკი უნდა, რომ ასეთი "მშვიდობიანობა" ვერავის შეიყვანს შეცდომაში და მშრომელი მასების სიფხიზლეს ვერ მიაძინებს.

⁂

კელოგის გამოსვლას გამოეხმაურა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი, რომელმაც ამ დღეებში სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო საკითხების შესახებ. მან სთქვა: როცა პოლონეთის მთავრობამ ერთა ლიგის ივნისის სესიაზე შეიტანა პროექტი არბიტრაჟის შესახებ საყოველთაო ხელშეკრულების დადებაზე, მას დასწამეს, რომ ხსენებული პროექტი მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა აღმოსავლეთის ლოკარნოს შექმნას; ეხლა კი, როცა ამერიკამაც გამოიჩინა ანალოგიური ინიციატივა, ვერავინ იტყვის. რომ პოლონეთის წინადადება არ შეეფერებოდის ივნისის სესიაზე წარმოდგენილ ერების ფსიქოლოგიურ ტენდენციებსო.

რომ თავი დავანებოთ „ერების ფსიქოლოგიურ ტენდენციებს", ერების, ე. ი. მასსების, რომელნიც, ცხადია, კარგად გაერკვევიან იმპერიალისტების მახინაციებში, თუ გინდ ისინი მაღალფარდოვან ფრაზებით იყვნენ დაფარულნი, —თვით ევროპის მმართველ წრეებ შორის კელოგის „ინიციატივა" წააწყდა წინააღმდეგობებს.

მაგრამ ჩვენ აქ უფრო სხვა რამ გვაინტერესებს, სახელდობრ; აბათილებს თუ არა ზალესკი ზევით ხსენებულ ეჭვს ოდნავადაც არა. იმ აზრის უარსაყოფად რომ „საყოველთაო მშვიდობიანობის ხელშეკრულების პროექტი", რომელიც მან ივნისში ერთა ლიგის სესიაზე წარადგინა, მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა. არ გამოდგება იმაზე მითითება, რომ იგივე კელოგმაც განიმეორა გარეგნულად მსგავსი წინადადება. როგორც კელოგის „მშვიდობიანობის" პროგრამა მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ. ისე პოლონეთის მთავრობის ზევით ხსენებული წინადადება ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავდა ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნას.

ამის დამადასტურებელ სხვა ფაქტებს რომ არ შევეხოთ, საკმარისია შევჩერდეთ ზალესკის ორ დებულებაზე, რომელიც მან თავის სიტყვაში წამოაყენა. პირველი, ის მოითხოვს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაში შეიტანოს მუხლი არბიტრაჟის შესახებ, რაზედაც ჩვენ უარს ვაცხადებთ. რატომაა ჩვენთვის არბიტრაჟის პრინციპი მიუღებელი? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის რაიმე კონფლიქტის აღმოცენების დროს არ შეიძლება საარბიტრაჟო სასამართლომ მიუდგომლობა გამოიჩინოს და არ მიეხმაროს ჩვენს მოდავე მხარეს; ეს სასამართლო, რომლის უმრავლესობა (მისი „ნეიტრალური" თავმჯდომარის სახით) ბურჟუაზიულ ქვეყნების წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგეს. —თუ მის ფუნქციებს მთლად არ დააკისრებენ რომელიმე საერთაშორისო კაპიტალისტურ ინსტიტუტს (მაგ. ჰააგის ტრიბუნალი)—უეჭველად იქნება იარაღი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამაზე, რასაკვირველია. ჩვენ ვერ წავალთ, და სამაგიეროდ მოვითხოვთ ყოველგვარ სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრას მხარეთა უშუალო მოლაპარაკების გზით.

არა ნაკლებ ამხელს ზალესკის მეორე დებულება. პოლონეთის მთავრობის აზრით, თავდაუსხმელობის შესახებ პოლონეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადებას წინ უნდა უძღოდეს ასეთივე ხელშეკრულების დადება მასსა და ბალტიის სახელმწიფოთა შორის. განა მტკიცება უნდა, რომ ესაა პოლონეთის ცდა ამ სახელმწიფოებზე თავის ჰეგემონიის განმტკიცებისა და თავის მეთაურობით ამათგან ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნისა. სხვანაირად არ შეიძლება პოლონეთის მმართველთა ამ მოთხოვნის გაგება.

ბოლო დროს პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთ. რამოდენიმედ უმჯობესდება.. მაგ., მოხდა შეთანხმება ზოგიერთ ცალკე საკითხების შესახებ (პოლიტიკურ პატიმართა გაცვლა, პოლონეთისათვის მის კულტურულ ღირებულებათა დაბრუნება). მაგრამ ეს სრულებითაც არ სწყვეტს ორ ქვეყანას შორის ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულების დამყარების საკითხს. ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პოლონეთის მთავრობა საბოლოოდ აიღებს ხელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიულ ზრახვებზე და დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოების ანტისაბჭოთა პოლიტიკის გატარებაზე. ამის ნიშნები კი არ სჩანს.

⁂

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ პილსუდსკის მთავრობა ცდილობს თავისი ხელმძღვანელობით ბალტიის სახელმწიფოს შეკავშირებას და მათი დახმარებით ანტისაბჭოთა პოლიტიკის გაგრძელებას. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ფინეთის ელჩი ვარშავაში, პროკოპე დაინიშნა ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრად. პროკოპე „ცნობილი" პირია. ის საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერია და ამავე დროს პოლონეთის ორიენტაციის მომხრე, პოლონეთთან ბალტიის ქვეყნების, კერძოდ ფინეთის პოლიტიკურ-სამხედრო კავშირის იდეის დამცველი. ამიტომაა, რომ ვარშავის მმართველი წრეები მას „თავის კაცად" თვლიან. ვარშავიდან . წასვლისას მას საზეიმო გაცილება მოუწყვეს. პროკოპემ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში პილსუდსკის მადლობა გადაუხადა იმ როლისათვის, რომელიც „პოლონეთმა წარსულში ითამაშა ფინეთის დამოუკიდებლობის საკითხში" ჩვენ ცოდვილებს გვეგონა, რომ ფინეთს დამოუკიდებლობა მიანიჭა ოქტომბრის რევოლიუციამ და მის წიაღიდან წარმოშობილმა საბჭოთა მთავრობამ ეხლა კი გამოდის „მიუდგომელი ისტორიკოსი" პროკოპე და აცხადებს. რომ ფინეთის განთავისუფლებაში პოლონეთს მიუძღვის ღვაწლიო!

ყველაფერი ეს სიმპტომატიურია. პროკოპეს ამ „აღმოჩენას" ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ ის რამოდენიმედ ნათელს არ ჰფენდეს ფინეთის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს პოლიტიკა აშკარად მტრული იყო. როცა ფინეთს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ედგა სათავეში (დაეცა გასულ დეკემბერში), ის უფრო მტრული შეიძლება გახდეს, როცა სოციალ-დემოკრატიული კაბინეტი შესცვალა რეაქციონურმა მთავრობამ, რომელშიაც პროკოპეს, როგორც ვსთქვით, გარეშე საქმეთა მინისტრის პორთფელი შესთავაზეს.

რაში გამოიხატება ეს მტრობა? ერთა ლიგის ხაზით ფინეთი მოითხოვს გაძლიერებულ გარანტიებს... საბჭოთა კავშირის მხრით თავდასხმისაგან, ე. ი. ცდილობს საბჭოთა კავშირზე გალაშქრებისათვის ნიადაგის მომზადებას და ამ მხრით ასრულებს ლონდონის და ვარშავის კარნახს, ამავე მიზნით მას განზრახვა აქვს შეაკავშიროს ბალტიის ქვეყნები. ბოლოს, ფინეთი გადაქცეულია რუს თეთრგვარდიელთა ბაზად. რომელნიც იქიდან, ფინეთის ხელისუფლების ხელის შეწყობით. გადმოდიან საბჭოთა კავშირში ტერორისტული აქტების მოსახდენად.

მონარქისტ გრინევიცის წერილებმაც. რომლებიც გამოქვეყნებული გვქონდა. ერთხელ კიდევ ახადა ნიღაბი ფინეთის მთავრობის მეგობრულ დამოკიდებულებას თეთრგვარდიელებისადმი. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ღებულობს რუს მონარქისტების წარმომადგენელს და ესაუბრება მას ფინეთსა და „მომავალ რუსეთ" შორის შესაძლებელ ურთიერთობის შესახებ. ესაუბრება იმ დამხობილ თვითმპყრობელობის წარმომადგენელს, რომელსაც ფინეთი მონობაში ყავდა. ამავე დროს გრინევიცის წერილიდან ირკვევა, თუ როგორ „ასრულებს" ფინეთის მთავრობა ჩვენს მოთხოვნას ფინეთიდან თეთრგვარდიელთა გაძევების შესახებ: უკანასკნელნი [illegible] არხეინად დასეირნობენ ფინეთში და [illegible] სარგებლობენ მისი მთავრობის მფარველობით. ყველა ამ ფაქტების გაბათილობას ამაოდ შეეცადა ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრო.

ფინეთის რეაქციონერები და სოციალ-დემოკრატები დაბრმავებული არიან საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფინეთის ფართო მოსახლეობა აქტიური თანაგრძნობით ეკიდება პროლეტარიატის დიქტატურის სამშობლოს და პასუხს მოსთხოვს იმ ელემენტებს, რომელნიც თავის ქვეყნის საზიანოდ საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ მტრულ პოლიტიკას აწარმოებენ. ამავე დროს ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობას შესწევს ძალა ლონდონ-ვარშავის ჰელსინგფორსელ ფინიების გასაჩუმებლად.

⁂

ზალესკი თავის ზევით ხსენებულ სიტყვაში შეეხო აგრეთვე პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულებას. მას დამაკმაყოფილებლად მიაჩნია ამ მხრივ ერთა ლიგის დეკემბრის სესიის შედეგები და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში პოლონეთი ამ საკითხში მიაღწევს სასურველ შედეგებს. პოლონეთის მთავრობამ ლიტვას უკვე მიმართა ნოტით მოლაპარაკების დაწყების შესახებ სადაო საკითხების მოსაგვარებლად.

პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულება არსებითად ისევ მწვავედ დგას. მართალია, უშუალო ომის საშიშროება თითქო აცილებულია. საბჭოთა მთავრობის ცნობილმა გამოსვლამ თავის დროზე ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ითამაშა და შეაჩერა პოლონეთ მილიტარისტების საომარი მადა. ამავე გამოსვლამ აიძულა ერთა ლიგა განეხილა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი. თუმცა ლიგის ხელმძღვანელი წევრები (ინგლისი საფრანგეთი) მისი სესიის გახსნამდე ცდილობდენ ამ კონფლიქტისათვის გვერდის ავლას.

მაგრამ ერთალიგის საბჭოს დადგენილებამ ახადა ამ ორგანიზაციის უძლურება რაიმე სერიოზულ საკითხის გადაჭრაში და ვერ შესძლო კონფლიქტის რამოდენიმედ მაინც მოწესრიგება. კონფლიქტის მოგვარებად ხომ ვერ ჩაითვლება ცალიერი განცხადებები: პოლონეთის მთავრობის მხრივ. რომ ის „აღიარებს და პატივს სცემს ლიტვის რესპუბლიკის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, ლიტვის მთავრობის მხრივ. რომ ის „არ თვლის თავს პოლონეთთან ომის მდგომარეობაში".—არ გამოდგება იმიტომ, რომ ამის შემდეგ არსებითად არაფერი შეცვლილა და კონფლიქტის მიზეზები არ აღმოფხვრილა.

ლიგის საბჭოს რეზოლიუციაში ვკითხულობთ, რომ ის „სრულებით არ ეხება იმ საკითხებს, რომელთა გამო ორივე მთავრობას სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთო". მაშასადამე, კონფლიქტისათვის ნიადაგი კვლავ დარჩა. მხოლოდ დროებით გადაიდო მისი გადაჭრა იარაღის საშუალებით. მზადებას ამა ომისათვის პოლონეთი კვლავ აწარმოებს, თუმცა უფრო ფარულად, ვინემ წინედ.

პილსუდსკის აგენტი, ლიტველი სოციალ-დემოკრატიულ პლეჩკაიტისი ისევ უყრის თავს ლიტვის ემიგრანტულ ძალებს პოლონეთის შემწეობით თავის ქვეყანაში გადატრიალების მოსახდენად რაც ნიშნავს ლიტვის ოკუპაციას პოლონეთის მიერ. პოლონეთის მთავრობა თავის ტერიტორიაზე ავიწროებს ლიტველ მოსახლეობას.

ასეთ პირობებში საეჭვოა. რომ აღნიშნულმა მოლაპარაკებამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს. ამ მოლაპარაკების პროგრამიდან განზრახ ამოღებულია ვილნოს საკითხი, ე. ი. ძირითადი საკითხი. რომელიც პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის წყაროა. ვოლდემარასი კი აცხადებს, რომ მხარეთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ მაშინ იქნება აღდგენილი, როცა ლიტვას საშუალება მიეცემა პოლონეთის ელჩი ვილნოში მიიღოს, ე. ი. როცა პოლონეთის მიერ დაპყრობილი ვილნო ლიტვას დაუბრუნდება. ამავე დროს, ვოლდემარასის თქმით, სავაჭრო ხელშეკრულება არ უნდა გავრცელდეს ვილნოსა და მის პროდუქციაზე. პოლონეთს კი გაგონებაც არ სურს ვილნოს საკითხის წამოყენებაზე, თვლის რა ამ ოლქს თავის კუთვნილებად. ასე, რომ ორივე ქვეყნის მთავრობათა პოზიცია ძირითად საკითხში შეურიგებელია. ამიტომ, ვიმეორებთ, მათ მოლაპარაკებას არ შეიძლება მოყვეს რაიმე არსებითი შედეგი.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისი გავლენას ახდენს ლიტვის მთავრობაზე. რათა მან პოლონეთის მოთხოვნები დააკმაყოფილოს. მის სასარგებლოდ ხელი აიღოს ვილნოზე და საბოლოო ანგარიშით თანხმდეს პოლონეთთან „შეერთებაზე" ამის განხორციელება ჩემბერლენს ესაჭიროება ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად: უნდა გაუქმდეს ლიტვა-საბჭოთა საგარანტიო ხელშეკრულება; პოლონეთისათვის ლიტვის შეერთების სამაგიეროდ პირველმა უნდა დაუთმოს გერმანიას დანციგის საკითხში; ამით უზრუნველყოფილ იქნეს გერმანიის ნეიტრალიტეტი პოლონეთის მიმართ პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის ომის შემთხვევაში. ხოლო თუ მოსახერხებელი იქნა, გერმანია პირდაპირ ჩაბმულ იქნეს ამ ომში,—ასეთია ჩემბერლენის პროგრამა.

გადაულახავი წინააღმდეგობანი ლიტვასა და პოლონეთ შორის. პოლონეთსა და გერმანიას შორის, გერმანიის დაინტერესება საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების შენარჩუნებით და სხვა ფაქტორები მეტად აძნელებენ ამ გეგმის განხორციელებას. ყოველ შემთხვევაში პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის მოუწესრიგებლობა ისევ ატარებს აღმოსავლეთ ევროპაში მდგომარეობის გართულების საფრთხეს.

გ. კ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიისაგან

საკავშირო კომპარტიიდან გამორიცხულთა ყურადსაღებად

საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ყველა გამორიცხულებს საკავშირო კომპარტიიდან, რომელთაც პარტიული ბილეთები არ დაუბრუნებიათ, რომ დაუყოვნებლივ ჩააბარონ ბილეთები სათანადო უჯრედებს.

საკავშირო კომპარტიიდან გამორიცხულებს, ვინც ამჟამად იმ ორგანიზაციის ტერიტორიის გარეშე იმყოფებიან. რომელმაც ისინი გამორიცხა, წინადადება ეძლევათ ჩააბარონ პარტიული ბილეთები კომპარტიის უახლოეს საკონტროლო კომისიას; ეს უკანასკნელი კი გამორიცხულების მიერ პარტიული ბილეთების ჩაბარებას აცნობებს იმ საკონტროლო კომისიებს, რომლებმაც გამოიტანეს დადგენილება პარტიის ყოფილი წევრების გამორიცხვის შესახებ.

ოქტომბრის გაწვევა აფხაზეთში

სოხუმი, 14 იანვარი. დასრულდა ოქტომბრის გაწვევის კამპანია. წინასწარი ცნობებით, ამ ხნის განმავლობაში პარტიაში მიღებულია ასზე მეტი მუშა.

როდის მოიკოჭლებს „სამკუთხედის" მუშაობა

წარმოებისა თუ დაწესებულების ნორმალური მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მუშაობს სამკუთხედი: პარტუჯრედი, ადგილკომი და ადმინისტრაცია. ყველა ამათი ფუნქციები სავსებით განსაზღვრულია სათანადო ორგანოების მიერ. მიუხედავათ ამისა არც ისე იშვიათია მაგალითები, როცა სამკუთხედი შეუთანხმებლად მუშაობს, რადგან ხდება მოვალეობათა არევა და უფლების გადაჭარბება. ამის მაგალითს წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომელსაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ ქონდა ადგილი სახმედვაჭრობაში.

უჯრედის ზოგიერთი წევრები ადმინისტრაციას უყენებს მთელ რიგ ბრალდებებს, როგორიცაა მოწყვეტა პარტუჯრედის მუშაობისაგან, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, დაწინაურებისადმი მტრული განწყობილება, აპარატის მოუწესრიგებლობა და სხვადასხვა, არც ადმინისტრაცია რჩებოდა ვალში პარტუჯრედის აღნიშნულ ჯგუფს. თავის მხრივ ის უყენებდა ამ ჯგუფში შემავალ პირებს ბრალდებას იმის შესახებ, რომ მათ სურთ სახმედვაჭრობაში საპასუხისმგებლო თანამდებობას დაჭერა, როცა საამისო ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ, რომ ამ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობაზეა აღმოცენებული მთელი გაუგებრობა ადმინისტრაციასა და უჯრედის ერთი ჯგუფის შორის და სხვა.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არაა, რომელი მხარე იყო დამნაშავე. ამაზე უკვე იზრუნა სათანადო პარტიულმა ორგანომ და დამნაშავეებს შესაფერი სასჯელი მიუზღო.

ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ საიდან წარმოიშობა ასეთი მდგომარეობა დაწესებულება-წარმოებებში. მთავარი მიზეზი, როცა სამკუთხედი შეუთანხმებლათ მუშაობს, მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული და უპარტიო მასა ასეთ შემთხვევაში ვერ იჩენს სათანადო აქტივობას. სწორეთ იქ ემჩნევა ასეთი მავნე მოვლენები, სადაც უჯრედის, თუ ადგილკომის მდივანი და ადმინისტრატორი მოწყვეტილი არიან თავის ყოველდღიურ მუშაობაში მასას და მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს „ამხანაგურ", „ვიწრო" წრეში არჩევენ. ასეთ პირობებში, სადაც არ სჩანს საღი შინაპარტიული თუ საბჭოთა დემოკრატიზმი, სადაც ჩაკლულია მასის აქტივობა და ჯგუფობას და ყოველივეს სამკუთხედი წარმოადგენს, თავს იჩენს კარიერიზმი, ნათლიმამობა. მუშათა დაწინაურების საწინააღმდეგო განწყობილება, ერთმანეთისათვის „ქვანტის" გამოკვრა და სხვა ამგვარი „მარგალიტები". სახმედვაჭრობის მაგალითი ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი და საყურადღებოა. ჩვენმა ძირითადმა ორგანიზაციებმა ამ შემთხვევიდან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოიტანონ.

ვ. რ—ე.

როგორ უნდა დავამუშაოთ საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებანი

საქართველოს კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების ყველა საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებებს

საკავშირო ლენინური კომპარტიის მე-15 ყრილობის შედეგების შესწავლა - დამუშავება წარმოადგენს მიმდინარე და უახლოესი პერიოდის შინაპარტიული და მასიური პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ყრილობაზე განხილული საკითხების ზოგადი პრინციპიალური მნიშვნელობა, ყრილობის დადგენილებათა პრაქტიკული სახელმძღვანელო მნიშვნელობა პარტიის მუშაობისათვის უახლოეს წლებში, და, ბოლოს, ყრილობის მასალათა და შედეგების თვალსაჩინო მნიშვნელობა ოპოზიციასთან დამთავრებული ბრძოლის შესასწავლად, საკავშირო კომპარტიის მთლიანობისა და ლენინური გზის შესანარჩუნებლად, და საერთოდ მე 15 ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა გვავალებს, რომ მისი შედეგების დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ.

ყრილობის შედეგებისა და დადგენილებათა წარმატებით დამუშავებისათვის, მის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან პარტიის წევრთა ფართო მასების ყოველმხრივი გაცნობისათვის, ც. კ.-ის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებას დამუშავების შემდეგი წესი მიაჩნია საჭიროდ და შესასრულებლად:

1. ა) მოხსენებანი საერთო - საქალაქო კრებებზე და პარტაქტივის კრებებზე კომკავშირის აქტივთან ერთად, რათა პარტორგანიზაცია ზოგადად გაეცნოს პარტიული ყრილობის შედეგებს, შეაფასოს ყრილობის მუშაობა და მნიშვნელობა (მოხსენებებს ჩაატარებენ ც. კ.-ის წარმომადგენელნი).

ბ) მოხსენებანი ყრილობის შედეგების შესახებ კომპარტიის ყველა უჯრედებში კომკავშირთან ერთად, რათა პარტიის ყველა წევრები და კომკავშირელები გაეცნონ საერთო შედეგებს. აგრეთვე შეაფასონ პარტიული ყრილობის მუშაობა და მნიშვნელობა (მომხსენებლებს უჯრედებისათვის გამოყოფენ სამაზრო და სარაიონო კომიტეტები).

2. ყრილობის დადგენილებათა (რეზოლუციების) დამუშავება უჯრედებში, რათა პარტიის წევრებმა ყოველმხრივ და დაწვრილებით შეისწავლონ და გაიცნონ ყრილობის დადგენილებანი. დადგენილებათა ასეთი დამუშავება აუცილებელი, საჭირო პირობაა იმისათვის, რომ ზედმიწევნით გარკვეულ იქნას ყრილობის მთელი მუშაობის მნიშვნელობა, მეტადრე ოპოზიციის დამარცხების მნიშვნელობა, აგრეთვე გარკვეულ იქნას ყრილობის დირექტივები სოციალისტური მშენებლობის საქმეში (ხუთწლიანი გეგმა, სოფლად მუშაობა და სხვ.). თვითეული რეზოლუციის დამუშავებას არ უნდა მოხმარდეს უჯრედის ორ სხდომაზე მეტი.

3. უჯრედებში დამუშავებასთან ერთად, ყრილობის შედეგების გაღრმავებული თემატიური შესწავლისათვის საჭიროა:

ა) მოეწყოს მიმდინარე პოლიტიკის სპეციალური წრეები მე-15 პარტიული ყრილობის ძირითადი პრობლემების შესასწავლად.

ბ) მოეწყოს პარტიული ყრილობის საკითხების შესწავლა პარტგანათლების წრეებსა და სასკოლო ქსელში.

გ) თვითგანათლების საქმეში საგანგებო დავალებების მიხედვით (რომლებსაც ც. კ.-ის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იძლევა), მოეწყოს პარტიული ყრილობის საკითხების შესწავლა საწრეო და ინდივიდუალური თვითგანათლების გზით.

დ) ყრილობის დადგენილებანი და შედეგები დამუშავებულ იქნას გლეხი ქალების სადელეგატო კრებებზე და პოლიტცოდნის ქალთა პირვანდელ წრეებში.

პოლიტგანათლების წრეებსა და ქსელში ყრილობის დირექტივების პროპაგანდა, აგრეთვე ოპოზიციის შეხედულებათა და პარტიის წევრობის შეუთავსებლობის ახსნა - განმარტება დაკავშირებული უნდა იყოს ლენინიზმის საფუძვლების გაღრმავებულ თეორეტიულ დამუშავებასთან.

დადგენილებათა დამუშავება მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ პარტიის წევრთა ფართო მასისათვის აშკარა იყოს ოპოზიციასთან დამთავრებული ბრძოლის აზრი და მნიშვნელობა, უმთავრესად კი ყრილობის დირექტივები, შემდგომი სოციალისტური მშენებლობის გზების უახლოეს პერიოდში სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო პრაქტიკული საშუალებების და საერთაშორისო საკითხებში პარტიისა და კომინტერნის ძირითადი ხაზის აზრი და მნიშვნელობა. ყრილობის დადგენილებათა დამუშავების შედეგად ცხადი უნდა იყოს, რომ მე 15 ყრილობა — ყრილობაა ჩვენი გადამწყვეტი შეტევისა კაპიტალიზმის, კულაკის, ბიუროკრატიზმის, უძრაობის, კულტურული ჩამორჩენილობის, მენშევიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, ცხადი უნდა იყოს, რომ იგი მიმართულია ახალი ტექნიკისა, განსაზოგადოებული სოფლისა, და სოციალიზმისაკენ, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება გიგზავნით ამასთანავე ერთად მითითებას პარტუჯრედებში ყრილობის დადგენილებათა დამუშავების შესახებ და წინადადებას გაძლევთ ყოველგვარი ზომები მიიღოთ, რათა წარმატებით ჩაიაროს ყრილობის დადგენილებათა დამუშავებამ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომხსენებლების შერჩევას და გამოყოფას. დამუშავების შედეგები გადაგზავნოს ც. კ.-ის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში, ხოლო უჯრედების რეზოლუციები ყრილობის შედეგების მოხსენებათა გარშემო გადაგზავნოთ გაზეთების რედაქციებს გამოსაქვეყნებლად. ყრილობის დადგენილებათა და შედეგების დამუშავება უნდა დამთავრდეს **ამ წლის 1 მაისისათვის.**

დაწვრილებითი მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას შესწავლილი ყრილობის შედეგები პარტგანათლების წრეებსა და ქსელში, დამატებით იქნება გადმოგზავნილი.

ც. კ.-ის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ს. მამულია.**

კომკავშირში

მესამე რაიონის მე-15 კონფერენცია

კონფერენციის დახურვა

გუშინ საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია ც. კ. და რაიკომის მოხსენებათა გარშემო, სადაც იგი ც. კ. და რაიკომის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის. ამასთანავე კონფერენციამ დაამტკიცა კომისიების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები. დასასრულ მოხდა ახალი რაიკომის არჩევნები.

რაიკომი არჩეულ იქნა 43 წევრისა და 13 კანდიდატისაგან.

სარევიზიო კომისია კი 5 წევრისა და 2 კანდიდატისაგან.

ამხ. ხაჩიკიანის მოკლე სიტყვის შემდეგ მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს, რითაც იხურება კონფერენციის უკანასკნელი სხდომა.

ქალაქის რაიონის მე-10 კონფერენცია

მეხუთე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა საბოლოო სიტყვები რაიკომის თავმჯდომარის ამხ. **ხუციშვილის,** სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. დოლაქიძის და რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. მაისურაძის. ამხ. მაისურაძე აღნიშნავს კამათში მონაწილე ამხანაგების საღ და საქმიან მსჯელობას და ამბობს, რომ დეფექტები რაიკომის მუშაობაში, რასაკვირველია, იყო, მაგრამ ამის მიზეზი იმ პირობებში უნდა ვეძიოთ, რომელიც თან ახლდა საანგარიშო პერიოდის მუშაობას. უპასუხებს რა დელეგატებს დასმულ საკითხებზე, ამხ. მაისურაძე დასძენს, რომ რაიკომმა შესძლო ფრიად სერიოზული მუშაობის გატარება წარსულში. ახალი რაიკომი თავისი ენერგიული მუშაობით შესძლებს მიიყვანოს ბოლომდის დაწყებული მუშაობა. საბოლოო სიტყვის შემდეგ რაიკომის მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„კონფერენცია რაიკომის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად და მის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სთვლის სწორად. სარევიზიო კომისიის მუშაობა მიჩნეულ იქნა სუსტად".

შემდეგ არჩეულ იქნა კომისია 38 კაცის შემადგენლობით რეზოლუციის დასამუშავებლად. ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ხ. თ.

არსრაიკომის პლენუმი

გუშინ საღამოს ცენტრალურ მუშათა კლუბში ამხ. მზარეულიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ახლად არჩეულ რაიკომის პლენუმის პირველი საორგანიზაციო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1) პრაქტიკულ მომუშავეთა გამოყოფა და
2) პრეზიდიუმის არჩევა.

პლენუმმა რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ს. იმხანოვი, საორგანიზაციო განყ. გამგედ ამხ. მაისურაძე, აგიტპროპის გამგედ—სპირიდონოვი, ბ. კომ. ორგ. ბიუროს თავმჯდომარედ ამხ. ასლამაზოვი და ეკონომიურ განყოფილების გამგედ ამხ. დავიდოვი.

დასასრულ პლენუმმა აირჩია რაიკომის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით. ამხ. მზარეულიშვილი, იმხანოვი, დავიდოვი, სპირიდონოვი, შელიძე, მაისურაძე, ფანიევი, ოსიპოვი; კოპლატაძე; გუმბათაშვილი; ოქუაშვილი, ბოხტანჯიევი და ურზანოვი.

კანდიდატებათ. ამხ. ასლამაზოვი. ხალიფაშაროვი; კერვალიძე, საფრონოვი და ისაკაძე.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ პლენუმის სხდომა დაიხურა.

კოლექტიურ მეურნეობათა ყრილობის შედეგები

კოლექტიური მეურნეობების პირველი ყრილობა, რომელიც შესდგა 8—10 იანვარს, ერთობ მნიშვნელოვანია ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. მან საფუძველი ჩაუყარა იმ ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია ჩვენი ღარიბი და საშუალო გლეხობის დაქსაქსულ მეურნეობებიდან შექმნას მთლიანი, საზოგადო შრომის პრინციპზე აგებული, კულტურულათ წარმოებული მეურნეობები.

რა გამოირკვა ყრილობაზე? ყრილობაზე მოსმენილი მოხსენებებიდან, როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივ მუშაკების სიტყვებიდან ნათლად სჩანდა, რომ ჩვენში კოლექტივები შეიქმნენ სტიქიურათ: მიუხედავათ იმისა, რომ არ იყო სათანადო ხელმძღვანელობა, გლეხებმა აქა-იქ მაინც შესძლეს შეკავშირება საზოგადო, საზიარო შრომით მთლიანი მეურნეობების წარმოებისათვის. ასეთი გაერთიანებანი ჩვენში არის 130-მდე, რომელნიც ყალიბდებიან კომუნებში, არტელებში, მიწის საზოგადო შრომით დამუშავების და სამანქანო ამხანაგობებში. უკანასკნელ ხანებში ვითარდება უმთავრესად არტელები, მიწის საზოგადო შრომით დამუშავების და სამანქანო ამხანაგობები.

როგორც მოსალოდნელი იყო, კოლექტივების საქმიანობას ახასიათებდა მთელი რიგი შეცდომები და ნაკლოვანებანი, რაზედაც ხაზგასმით მიუთითეს როგორც ამხ. ფ. მახარაძემ თავის მოხსენებაში. ისე ადგილებიდან გამოსულ ამხანაგებმა. უმთავრესი. რაც აღინიშნა, იყო შემდეგი: ა) კოლექტივების ხელმძღვანელები (უმთავრესად კომუნების) ვერ ერკვეოდნენ ხელმძღვანელობის საკითხებში. რასაც შედეგათ მოჰყვა მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის შეცდომები: ბ) რამოდენიმე კოლექტივში მიზანშეუწონლათ იქნა გამოყენებული მათზე გაცემული სესხები; ვ) ზოგ კოლექტივებში არ ჰქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული მეურნეობის რაციონალურათ დაყენების საქმეს; გ) არ იყო შემოღებული კოლექტივებში ანგარიშწარმოება, საქმის წარმოება და სხვა. კოლექტივების წარმომადგენლები, აღიარებდნენ რა ჩადენილ შეცდომებს, აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელ ორგანოს უყოლობა დიდათ აფერხებდა მათ საქმიანობას. ეს მითითება მათი მხრიდან სავსებით გასაგებია.

ყრილობამ, გარდა ამხ. ფ. მახარაძისა, ბიცენკოს და ვლ. ცაგარელის მოხსენებებისა, მოისმინა მიწათმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. ალ. გეგეჭკორის და საქართველოს სასოფლო -სამეურნეო ბანკის თავმჯდომარის ამხ. ნ. კალატოზოვის საგულისხმო სიტყვები. ამხ. გეგეჭკორმა, აღნიშნა რა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მნიშვნელობა, დაასკვა, რომ მიწათმოქმედების კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების ყოველმხრივი დახმარებით კოლექტიურ მეურნეობათა ახლად არჩეული ხელმძღვანელი ორგანო შესძლებს გაამართლოს ჩვენი პარტიის და მუშურ-გლეხური ხელისუფლების იმედები მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში. ამხ. ნ. კალატოზოვმა, შეიხო რა ის სესხის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის კოლექტიური მოწყობის დარგში, მიუთითა ჩვენი ხელისუფლების სათანადო ღონისძიებებზე და აღნიშნა ის წყაროები, საიდანაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს ჩვენმა ახალგაზრდა კოლექტიურ მეურნეობებს.

დელეგატები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში. ყრილობას დაესწრენ მაზრის სამიწათმოქმედო განყოფილების გამგეები და ბევრი მაზრაში მომუშავე აგრონომებიც. ემჩნეოდა, რომ ყველანი ერთობ დაინტერესებული იყვნენ ჩვენი ყრილობის წინაშე წამოჭრილ მშენებლობის პრაქტიკული საკითხებით.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა კოლექტიური მეურნეობების სექციის დებულება და გამოიტანა ვრცელი რეზოლუცია მოხსენებების ირგვლივ.

ეჭვი არ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციასა მიწსახკომსა, სასოფლო -სამეურნეო ბანკის და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის ნიადაგზე, მუშურ-გლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ლენინის ნაჩვენები გზით ჩვენი ახალგაზრდა კოლექტიური მეურნეობები შესძლებენ გაამართლონ მათზე დაკისრებული ამოცანები სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხების მეურნეობათა კოლექტიურათ შეკავშირების დარგში, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა სოფლად სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის.

ვლ. ცაგარელი.

საქართველოს ცაკში

პენსიების დანიშვნა

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის [illegible] პენსიები დაუნიშნა ცნობილ დრამატურგის და რეჟისორის, განსვენებულ ვალერიან შალიკაშვილის მცირეწლოვან ქალიშვილს; მსახიობ გიორგი იმედაშვილის ქვრივს და ობლებს; დრამატურგ ტრიფონ რამიშვილს, საზოგადო მოღვაწე ქალს ეკატერინე ნიკოლაძეს, პროფ. იოსებ ყიფშიძის ობლებს და დამსახურებულ პედაგოგის ტრიფონ თაბუკაშვილის ქვრივს და ობლებს.

ხელოვნური ფეხები და ხელები

გასულ წელში საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სამმართველომ თავის ხარჯით გაუკეთა ხელოვნური ფეხები და ხელები (პროტეზები) 19 კაცს — ომის და შრომის ინვალიდებს.

სად უნდა აშენდეს შუშეულობის ქარხანა

ახალმშენებათა კომიტეტში შესდგა თათბირი, რომელზედაც გარჩეულ იქნა შუშეულობის ახალი ქარხნის აგების საკითხი. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ინჟ. ალ. კანდელაკი, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ლაშედან და სურამიდან წამოღებული მადნეული ქვიშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგები. მომხსენებლის აზრით, როგორც ლაშედან (შორ. მ.), ისე სურამიდან წამოღებული ქვიშა ანალიზების შემდეგ ერთდაიმავე შედეგს იძლევა. ზოგიერთი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ლაშეს ქვიშიდან უკეთესი ხარისხის შუშა იქნება მიღებული.

ორივე ამ ადგილებში ჩატარებული კვლევაძიება ადასტურებს, რომ თუ ლაშეში კარგი ხარისხის მადანია, სამაგიეროდ მადნის მარაგი არ არის სასწორით გამორკვეული, ხოლო სურამში კი გამოირკვა, რომ მადნის მარაგი ძლიერ დიდია.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ახალმშენებათა კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი დასკვნა:

ვინაიდან ქარხნის ასაგები რაიონის ამორჩევა ამჟამად ძნელი არის, ამიტომ მიენდოს ს მ. უ. ს. სამთო განყოფილებას ჩაატაროს ლაშედან და სურამიდან წამოღებული მადნების საქარხნო წესით გამოცდა და ცდების შემდეგ აირჩიოს ქარხნის ასაგები ადგილი.

ცდების ჩატარებამდე საჭიროდ იქნეს ცნობილი მოხდეს ორივე რაიონების დამატებითი გამოკვლევა და ეკონომიური პირობების შესწავლა, გადაღებულ იქნეს მცირე მასშტაბიანი გეოლოგიური რუქები ხარაგოულის, ბორჯომის, ლაშეს და სურამის რაიონების.

ბარიტის დამუშავება

სამთო მრეწველობის ტრესტის განკარგულებით ბარიტის მადნების საექსპლოატაციო მუშაობა გასული წლის ოქტომბრიდან შეწყვეტილი იყო. სამუშაოთა დროებითი შეწყვეტა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ თვეებში ბაზარზე იკლო ბარიტის მოთხოვნილებამ, ხოლო არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლებოდა ამოღებული ბარიტის მარაგით.

ამჟამად ბაზარზე ბარიტის მოთხოვნილების ზრდის გამო სამთო ტრესტმა კვლავ განაახლა ბარიტის მადნების დამუშავება.

მუშაობა დაიწყო აგრეთვე ქუთაისის ბარიტის წისქვილმა.

ათი წლის მანძილზე

(რკ.-გზის პროფკავშირთა ათი წლის თავის გამო)

ამხ. პ. საბაშვილი
ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირის რკინის გზის პროლეტარიატი დღეს ზეიმობს თავის პროფკავშირის არსებობის ათი წლისთავს. ეს კავშირი აერთიანებს მილიონამდე რკინის გზის ტრანსპორტის მუშაკებს და წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს კავშირს საბჭოთა პროფკავშირების გაერთიანებაში.

პროფკავშირების შექმნის ამოცანა ჯერ კიდევ 1905 წელს პირველი რევოლუციის დღის წესრიგში დაისვა. მან საფუძვლად დაედო უპარტიო მუშათა მასის გაერთიანება ეკონომიურ ნიადაგზე. თუმცა ამ გაერთიანებას არ ჰქონია მკვიდრი ფორმა, მაგრამ იგი პროფკავშირის ჩანასახს წარმოადგენდა, პროფესიონალურ მოძრაობის შემდგომ განვითარებას ესაჭიროებოდა პოლიტიკურ პარტიის ხელმძღვანელობა, რათა პროფმოძრაობას მისცემოდა სწორი გეზი. წინააღმდეგ მენშევიკების მტკიცებისა, პროფორგანიზაციების მუშაობის პოლიტიკურ ნეიტრალობის შესახებ, ბოლშევიკები ვამტკიცებდით, რომ მუშათა მასის და მის პროფკავშირის ძირითადი იდეური ხელმძღვანელობა უნდა იკისროს რევოლუციონურმა პარტიამ. ამ შემთხვევაში ჩვენი პარტია ხელმძღვანელობდა მით, რომ პროფმოძრაობა მაშინ ასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, როცა იგი როგორც მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი რაზმავს მუშათა მასას და მის ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ აძლევს წმინდა კლასობრივ ხასიათს. ისტორიულმა სინამდვილემ გაამართლა კომუნისტურ პარტიის ეს შეხედულება პროფკავშირებზე.

პირველი რევოლუციის დამარცხებით (1905 წ.), რეაქციამ დათრგუნა პროფმოძრაობა. მისი აღდგენა შესაძლებელი შეიქნა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მაგრამ ის არსებითად განირჩეოდა დღევანდელ პროფმოძრაობისაგან, რადგან იგი როგორც ორგანიზაციულად ისე იდეურად არ იდგა წმინდა კლასობრივ ნიადაგზე; ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გამგეობის სადავე ხელთ აიღო თვით მუშათა კლასმა. სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა პროფკავშირებს მტკიცე კლასობრივი საფუძველი და იგი ჩამოყალიბდა წარმოების პრინციპზე.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რას წარმოადგენდა პროფმოძრაობა ა.-კავკასიაში ამ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე და კერძოთ რკინის გზაზე. ერთის მხრივ იგი არ წარმოადგენდა მთლიან პროფმოძრაობას, ვინაიდან ა.-კავკასია დაქუცმაცებული იყო „დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ", მეორეს მხრივ იგი აგებული იყო ამქრულ პრინციპზე, მოკლებული იყო წმინდა კლასობრივ ნიადაგს და ამავე დროს წარმოადგენდა მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატების პოლიტიკის იარაღს. ეს პარტიები ატარებდენ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რითაც აღვივებდენ ეროვნულ მტრობას და შუღლს. ეს ბუნებრივად გადავიდა პროფკავშირშიაც, რადგან აღნიშნული ნაციონალისტური პარტიები იყვნენ მათი ხელმძღვანელნი და სულის ჩამდგმელნი. ამგვარად პროფმოძრაობას მიეცა ნაციონალური ხასიათი და მან სავსებით დაკარგა თავისი ინტერნაციონალური კლასიური სახე.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თვალი გადავავლოთ რკინის გზის პროფკავშირის მდგომარეობას განსაკუთრებით საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს, 1917-21 წლამდე საქართველოში არსებობდა ს. წ. რკინის გზელთა კავშირის გამგეობა. უკანასკნელი დანაწილებული იყო 10 რაიონულ გამგეობათ და სექციებათ. რაიონული გამგეობანი აგებულნი ამქრულ პრინციპზე, მოწყობილი იყვნენ ისეთ ადგილებში, სადაც მათ არსებობას არავითარი აზრი არ ქონდა, რითაც ისინი სცილდებოდენ მუშების ძირითად მასას.

რაში მდგომარეობდა კავშირის მუშაობა მაშინ?

ამაზე ასეთ პასუხს იძლევა საქართველოს რკინის გზელთა კავშირის დელეგატების მეორე ყრილობა, რომელიც შესდგა 1918 წელს. „სამსახურში მიღება-დათხოვნა, გადაყვან-გადმოყვანა, ადმინისტრატიულ პირების ჩამოცილება და მათი თხოვნების გარჩევა—აი რაზე იხარჯებოდა ძვირფასი დრო და მთელი ენერგია ჩვენი კავშირის"-ო.

ასე მოგვითხრობს მაშინდელი გამგეობის სარევიზიო კომისიის ანგარიში. ცხადია, ამ მხრივ კავშირის მუშაობა უნაყოფო გამოდგა, რადგან მისი მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრატიულ ფუნქციებით განისაზღვრებოდა. რაც შეეხება მუშათა მასის ეკონომიურ და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, მას კავშირის მხრივ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, როგორც ეს საყოველთაოდ ხდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მატერიალურმა სიღატაკემ კი აიძულა მუშათა კლასი მიემართა მრავალ გაფიცვებისათვის, ვინაიდან მან დაკარგა ყოველგვარი იმედი არსებულ ხელისუფლებისაგან მის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ მენშევიკური მთავრობის მინისტრი გ. ერაძე 1919 წელს

„მშრომელთა უმრავლესობა უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში განიცდის უკვე სისტემატიურ შიმშილს. ყოველგვარი დანაგროვი გამოდის ბაზარზე და იყიდება. თუ ვინმეს შერჩა ტანსაცმელი, იგიც წარმოადგენს ნაგლეჯებს. ზოგიერთებს არ აცვიათ პერანგის ამხანაგიც. საერთო სიღატაკეს თან ერთვის სიკვდილის შემთხვევათა ზრდა და ავათმყოფობის რაოდენობის უჩვეულო გადიდება"-ო.

ცხოვრება დღითი დღე ძვირდებოდა, სამაგიეროთ ხელფასი კუს ნაბიჯით მოძრაობდა. ამის შესახებ მაშინდელი ციფრები შემდეგს გვეუბნება, „ექვსი თვის განმავლობაში ცხოვრება გაძვირდა 75-ჯერ, ხოლო ხელფასი გაიზარდა 8-ჯერ". პირველ მოთხოვნილების საგნებზე ზღაპრულად იზრდებოდა ფასები და ამავე დროს ხელფასი რამოდენიმე თვეობით არ ურიგდებოდათ მუშა-მოსამსახურეებს.

ასეთ არანორმალურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ამიერ-კავკასიის დანარჩენ „დამოუკიდებელ" რესპუბლიკებშიაც.

პროფმოძრაობის აღდგენა და მის წმინდა კლასობრივ ნიადაგზე მოწყობა შესაძლებელი შეიქნა 1921 წლიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც მოხდა ამიერ-კავკასიის სრული გასაბჭოება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რკინის გზის დაქუცმაცებულ მეურნეობის გაერთიანებას და მასთან ერთად ა.-კ. რკინის გზელთა პროფმოძრაობის გაერთიანებას. 1921 წლის აპრილიდან ეს გაერთიანება ფაქტად იქცა, შეიქმნა ა.-კ. მთლიანი რკინის გზელთა პროფკავშირი.

პროფმოძრაობის გაერთიანებამ ერთი მხრივ უდიდესი როლი ითამაშა დანგრეულ ტრანსპორტის აღდგენის საქმეში, ხოლო მეორე მხრივ თვალსაჩინო შეიქმნა ჩვენი მიღწევები პროფმოძრაობის დარგში.

ჩვენ მოვახდინეთ პროფესიონალური ორგანიზაციების სტრუქტურაში ძირითადი გარდაქმნა. ბიუროკრატიულად მოწყობილ პროფორგანიზაციების ნაცვლად, რომელიც დაფუძნებული იყო ამქრულ პრინციპებზე, ჩვენ გვაქვს წარმოების პრინციპზე დაფუძნებული პროფორგანიზაცია, რომლის რიცხვობრივი ზრდა უშუალო დამოკიდებულებაშია წარმოების განვითარებასთან.

ამას ნათლად გვიმტკიცებს ჩვენი კავშირის წევრთა საერთო ზრდის შემდეგი სტატისტიკური ცხრილი:

წლები	კავშირის წევრთა რაოდენობა
1923 წ.	24.300
1924 „	27.418
1925 „	32.348
1926 „	39.104
1927 „	42.111

აქედან ეროვნული შემადგენლობა:

ქართველები	სომხები	თათრები	დან. ერო.
24.152	4.176	12.567	1.216

როგორც სჩანს, კავშირში გაერთიანებულია 98 პროც. მთელი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა. კავშირის წევრთა ზრდასთან ერთად იზრდება ძირითადი საკავშირო უჯრედების (ადგილკომების) რიცხვიც, რომელთა რაოდენობა ამჟამად ა.-კ. რკინის გზაზე 237 აღემატება.

ამასთან ერთად პროფ.კავშირი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე. ამ დარგში გაკეთდა ის, რაც შეადგენდა დიდი მასწავლებლის და ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ანდერძს: „არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი". უცოდინართა რაოდენობა რკინის გზაზე შეადგენდა დაახლოებით კავშირის წევრთა 33 პროცენტს. მათთვის გახსნილი იყო სხვადასხვა ტიპის სალიკვიდაციო სკოლები, რომელთა მუშაობა სწარმოებდა სისტემატიურად და ნაყოფიერად. ამჟამად რკინის გზაზე 35 წლის ასაკამდე თითქმის არ არის წერა-კითხვის უცოდინარი. გარდა ამისა კავშირმა უდიდესი ყურადღება მიაქცია განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, კლუბების რაოდენობა ამჟამად რკინის გზაზე 32 აღწევს, წითელი კუთხეები 100-მდეა, მთელი კულტურული მუშაობის ცენტრი გადატანილია ზემოხსენებულ კლუბებსა, წითელ კუთხეებში და სექციებში. აქვე ექცევა ყურადღება მუშათა ფიზიკურ გაჯანსაღების საქმეს, ფიზიკური კულტურის წრეების მუშაობის გაღრმავების გზით.

სატარიფო-ეკონომიურ მუშაობაში ჩვენი კავშირის მიღწევანი განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ავიღოთ ერთი დარგი აღნიშნულ მუშაობისა, სახელდობრ ხელფასი: როგორც ზევით აღვნიშნეთ, რკინის გზის წარმოების აწევამ გამოიწვია ხელფასის თვალსაჩინო ზრდაც, რაც შემდეგ მეტად საყურადღებო სტატისტიკურ სურათს იძლევა.

1924 წელში რკინის გზელის საშუალო ხელფასი შეადგენდა 37 მ. 66 კაპ. მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კი 77 მან. 99 კ. ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ხელფასი გაიზარდა თითქმის 210 პროცენტით, იგი გაზრდილია აგრეთვე ომამდე არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებითაც. რკინის გზის მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა საშუალებას იძლევა მეტი ენერგიით სწარმოებდეს ხელფასის ზრდა, განსაკუთრებით დაბალი კვალიფიკაციის მუშებისათვის.

ამასთან ერთად დაცულია სავსებით რკინის გზელის უფლებრივი მდგომარეობა და ინტერესები. კავშირი ფხიზლად ადევნებს თვალყურს მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევას და მათთვის საექიმო დახმარების მიწოდებას აქვს.

ამრიგად კავშირის მუშაობა მიმართულია ორი ხაზით საერთო მიზნებისაკენ. პირველია მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო მეორე წარმოების ნაყოფიერების აწევა. წარმოების ნაყოფიერების აწევას და რკინის გზის მეურნეობის გაჯანსაღებას ა.-კ. რკ გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა მე თავითვე მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, რადგან მასზე იყო დამოკიდებული მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და სახალხო მეურნეობის განვითარებაც.

ძნელია ყველა მიღწევათა ჩამოთვლა და მათი დახასიათება ასეთი წერილით, მაგრამ უდავოა, რომ თავის არსებობის ათი წლის განმავლობაში რკინის გზელთა პროფკავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესძლო საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობის ეკონომიურ კეთილდღეობის ერთი მთავარი ძარღვის - ტრანსპორტის აღდგენა. ამ მიღწევებს ხედავენ არა მარტო ჩვენი მუშები, არამედ მას ამჩნევს უცხოეთის მუშათა კლასიც, რომელიც განცვიფრებაშია მოსული აქ ნახული მიღწევებით. რკინის გზის პროლეტარიატს მტკიცედ უჭირავს თავისი გამარჯვების ლენინის დროშა და კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით მიიტანს მას კომუნიზმის საერთო გამარჯვებამდე.

პარმენ საბაშვილი.

დავეხმაროთ კაპიტალის ტყვეებს

ცირკულიარულად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

„კაპიტალის პატიმართათვის დახმარების აღმოჩენის კვირეულის" ჩატარება

თეთრი ტერორი თანდათან ძლიერდება. ბურჟუაზია უსწორდება მსოფლიო ოქტომბრისათვის მებრძოლებს, იზრდება სიკვდილით დასჯილთა, წამებულთა და მათი რიცხვი, ვისაც მისჯილი აქვთ მრავალი წლის პატიმრობა სატუსაღოებში (მაგალითად, უკანასკნელი ამბები ჩინეთში); ყველაფერი ეს საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის აუცილებლად ხდის, რომ გააძლიერონ მოქმედება კაპიტალის პატიმართა დასახმარებლად. ამ მიზნით რემედასი 22 იანვრიდან 27-დე ჩაატარებს (საკავშირო მასშტაბით) „საზამთრო კვირეულს", რომლის პოლიტიკური ლოზუნგები იქნება. მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს - საბჭოთა კავშირის თავდაცვა, მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობა და დახმარების აღმოჩენა ბურჟუაზიის ტყვეებისათვის, რათა გადარჩენილ იქნან მსოფლიო ოქტომბრისათვის რევოლუციონური მებრძოლების ცოცხალი ძალები.

კამპანიის პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს ფულისა და შეწირულების მოგროვება (საპროცენტო ანარიცხი მიუღებელია), უმთავრესად, მოსახლეობის შეუკავშირებელ ფენებში (შინამრეწველნი, ოჯახის დიასახლისნი, თავისუფალი პროფესიები და სხვანი ქალაქად, გლეხები—სოფლად).

„კაპიტალის პატიმართათვის დახმარების აღმოჩენის" კამპანია უნდა დაუკავშირდეს ლენინის კვირას და მშრომელთა პროტესტს ჩინეთის რეაქციის მხეცობის წინააღმდეგ. „კვირეულს" ჩაატარებენ რემედასის ძალები პარტ ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის მდივანი: **გ. ყურულიშვილი.**

ც. კ.—ის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ს. მამულია.**

ა. კ. ვაჭრობის კომისარიატში

საექსპორტო თათბირები

ა.-კ. სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობები, რომ სომხეთის და აზერბეიჯანის ეკონომიურ საბჭოებთან მოეწყო და მუშაობა დაიწყო ეკონომიურმა თათბირებმა. ასეთივე თათბირი ახლო ხანში მოეწყობა საქართველოშიც.

მეორეხარისხოვან საქონლის ექსპორტი

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ამხ. სხვალოვიჩის მონაწილეობით შესდგა მთელი რიგი თათბირები, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი მეორეხარისხოვან საქონლის ექსპორტის გაძლიერების შესახებ. განზრახულია საექსპორტო საქონლის რიცხვს მიემატოს: რქები, ჩლიქები, ძვლები, ლუფა; ალბუმინი: ტყავის ნაჭრები, შინდის ჯოხები, გარეული ღორების ტყავი, გიშერი; კომში; ყურძენი და სხვ.

ვაჭრობა ოსმალეთთან

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უფლება მისცა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს გასცეს ლიცენზიები ოსმალეთის სახმელეთო საზღვრიდან საქონლის შემოსატანად და გასატანად; ეს საქონელი შემოტანილი იქნება იმ კონტინგენტის გარეშე, რომელიც დამტკიცებულია ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულებით. საქონლის შემოტანა-გატანა იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ნეტო-ბალანსის საფუძველზე.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი

(არსებობის ათი წლის თავის შესრულების გამო)

პროფ. ფ. ზაიცევი
ლენინის სახელობის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი

თბილ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების ისტორია არსებითად არის ამიერ-კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ხანგრძლივი ბრძოლის ისტორია. ჩვენ არ შევეხებით ამ ბრძოლის ყველა ეტაპებს, შევჩერდებით მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებზე.

1880 წ. 16 თებერვალს თბილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: „იმ შემთხვევაში, თუ თბილისში გაიხსნება უნივერსიტეტი, ქალაქი გამოჰყოფს შენობის აგებისათვის საჭირო მიწას და თავის მხრივ შენობის ასაგებად გაიღებს 100.000 მან." შემდეგში ეს თანხა გადიდებულ იქნა ორ მილიონ მანეთამდე. გარდა ყოველწლიური დახმარებისა 30.000 მან. რაოდენობით. ამ საქმეს გამოეხმაურნენ აგრეთვე კავკასიის სხვა ქალაქები და სხვადასხვა საკრედიტო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელთაც საერთოდ გადასდეს ერთი მილიონ მან. მეტი.

1911 წლის დასაწყისში სახელმწიფო სათათბიროს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. სამი თვის შემდეგ სახელმწიფო სათათბირომ ერთხმად დაადგინა და სთხოვა მთავრობას, რათა სათათბიროში შეეტანა კანონპროექტი თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც თბილისში უნდა გახსნილიყო პოლიტექნიკუმის ტიპის უმაღლესი სასწავლებელი. 1916 წ. 16 ივნისს სახელმწიფო სათათბირომ მოიწონა პროექტი კანონისა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. მთავრობის პრინციპიალური თანხმობა მიღებულ იქნა, შეადგინეს ინსტიტუტის მომავალი შენობის საესკიზო პროექტები, ხოლო საძირკვლის ჩაყრა მოხდა უფრო ადრე, სახელდობრ 1914 წ. 4 მაისს. ომის გამოცხადების შემდეგ შესწყდა არა მარტო შენობის აგება, არამედ ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა.

დაბოლოს 1917 წლის 9 ოქტომბერს გაიხსნა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელმაც მოქმედება დაიწყო სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტის პირველი კურსის შემადგენლობით. ამგვარად სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, რომელიც შემდეგში გაფართოვდა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის უძველესი ფაკულტეტია.

ამჟამად ინსტიტუტში არის შემდეგი ფაკულტეტები:

1) სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, რომელსაც აქვს ორი განყოფილება: სასოფლო სამეურნეო და სატყეო (დეკანი პროფესორი დ. ი. სოსნოვსკი).

2) საინჟინერო ფაკულტეტი განყოფილებებით: ა) ჰიდრო-ელექტრო-მექანიკური, რომელსაც აქვს სამი განყოფილება—მექანიკური, ჰიდრო-მექანიკური და ელექტრო-მექანიკური. ბ) საინჟინერო -საამშენებლო, რომელსაც აქვს სამი განყოფილება—საგზაო, ჰიდრო-ტექნიკური და სატრანსპორტო-საექსპლოატაციო (დეკანი პროფესორი კ. ს. ზავრიევი).

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ინსტიტუტის მდგომარეობა შეიცვალა: იგი გამოცხადებულ იქნა უმაღლეს სახელმწიფო სკოლად. ინსტიტუტის 5 წლის თავზე მას მიეცა რუსეთის რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის სახელწოდება ამასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნა თანხების ნორმალურად მიღება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. ეს თანხები ყოველ წლობით იზრდებოდა და გვაძლევდა საშუალებას თანდათანობით გაგვეუმჯობესებია მდგომარეობა და გაგვეფართოებია მუშაობა. განსაკუთრებით მტკიცე ნიადაგზე დადგა ინსტიტუტის ცხოვრება შარშან, როცა მას მიეცა საკუთარი შენობა. ამჟამად ორივე ფაკულტეტში მოწყობილია მთელი რიგი კაბინეტები და ლაბორატორიები (25-მდე); ინსტიტუტს აქვს საკუთარი სამოსწავლო მეურნეობა და სამოსწავლო ბაღი-ბოსტანი ქალაქში. მთავრობა და განსაკუთრებით განათლების სახ. კომისარიატის უწყების მეთაური ამხ. კანდელაკი ყურადღებით ეკიდება ინსტიტუტის მოთხოვნილებებს, რის გამოც ინსტიტუტს აქვს საშუალება სულ უფრო და უფრო გააუმჯობესოს თავის სამოსწავლო-დამხმარე დაწესებულებათა მუშაობა: ასე, მაგალითად, მიმდინარე წელში განზრახულია შეიძინოს მექანიკური სახელოსნოების ლაბორატორიების და ზოოტექნიკური ფერმის მოწყობა. ბიბლიოთეკა (ფუნდამენტალური და სტუდენტთა განყოფილება) შეიცავს 45.000 ტომს; ბიბლიოთეკა რეგულიარულად ღებულობს როგორც თბილისის, ისე უცხოეთის სპეციალურ პერიოდულ გამოცემებს. ბიბლიოთეკის შესავსებად და გასაუმჯობესებლად მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს იძლევა.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სამოსწავლო საქმის ხელმძღვანელებად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყვნენ შემდეგი პირები: პროფესორები: ს. ა. ზახაროვი, ი. ს. გამბაროვი, ა. ი. დიდებულიძე, ს. ლ. ავალიანი, ს. გ. ნავაშინი (აკადემიკოსი), ა. მ. ესენი, მ. ნ. სმირნოვი. პედაგოგიურ პერსონალს თავის რიგებში ჰყავდა მეცნიერების ისეთი გამოჩენილი წარმომადგენელნი, როგორიც არის გამბაროვი, ზახაროვი, მელიქიშვილი, ნავაშინი და სხ. პედაგოგიური პერსონალი ორივე ფაკულტეტზე ამჟამად შესდგება კვალიფიკაციური მუშაკებისაგან, რომელნიც სავსებით არიან მომზადებული თეორიულად და რომელთაც აქვთ დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული სტაჟი თავის სპეციალობაში. თავისუფალი კათედრები (რომელთა რაოდენობა მცირეა) დროებით უზრუნველყოფილია არსებული პერსონალით და თანდათანობით ივსება კვალიფიციური სამეცნიერო მუშაკებით. უკანასკნელ ხანებში განათლების სახ. კომისარიატმა ინსტიტუტს მისცა მატერიალური შესაძლებლობა მიიწვიოს რამოდენიმე გამოჩენილი პროფესორი.



ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა

რაც შეეხება შემცვლელი სამეცნიერო ძალების მომზადებას, ეხლავე არსებობს ახალგაზრდა აგრონომებისა და ინჟინერების მნიშვნელოვანი კადრი, რომელთაც დამთავრებული აქვთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი. 336 აგრონომი და 61 ინჟინერი, რომელთაც თბილ. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრეს მისი არსებობის განმავლობაში, უკვე მუშაობენ პრაქტიკულად თავისი სპეციალობის დარგში. რომ მათი მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, ამას მოწმობს ის ცნობები, რომლებსაც ინსტიტუტი იღებს ადგილებიდან.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ათი წლის თავზე შეიძლება ითქვას, რომ მისი უძნელესი გზა უკვე განვლილია და ეხლა ჩვენ, პროფესურამ, სტუდენტობამ და ჩვენი სკოლის ყველა მუშაკებმა მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ცოდნა უნდა მოვანდომოთ იმას, რომ რაც შეიძლება ჩქარა ამოვფხვრათ ყველა ნაკლოვანებანი და ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობა დავაყენოთ ისეთ სიმაღლეზე, რომელიც გაამართლებს დიად სახელს—ლენინის სახელს, რომელსაც ატარებს თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

პროფ. ფ. ზაიცევი.

მისალმება საქართველოს ცაკისაგან

სრულიად საქართველოს ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფ. **მახარაძემ** შემდეგი მისალმებით მიმართა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტს:

„ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის არსებობის პირველი ათი წლის შესრულების გამო მხურვალედ მივესალმები ყველა მის ხელმძღვანელებს, პროფესორებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებს და მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ ხნის განმავლობაში, სიძნელეთა მიუხედავად, კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით ინსტიტუტი მტკიცედ დადგა ფეხზე და ამზადებს სოციალიზმის მშენებელთა ახალ კადრებს—აგრონომებსა და ინჟინრებს. გულწრფელად ვუსურვებ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს სრულ წარმატებას მის შემოქმედებითი მუშაობაში.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე".

საზეიმო სხდომა

დღეს 12 საათზე ინსტიტუტის დიდ დარბაზში შესდგება პროფესორთა საბჭოს, მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტივის გაერთიანებული საზეიმო სხდომა. სხდომაზე სიტყვით გამოვა საქართ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე.**

სხდომაზე მოწვეული არიან მთავრობის წევრები და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა.

გამოფენა

საღამოს 6 საათზე ინსტიტუტის შენობაში გაიხსნება სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენის გახსნის შემდეგ მოეწყობა საღამო - კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწ. კონსერვატორიიდან სტუმრად მოწვეული სტუდენტები.

სტუმრები უმაღლეს სასწავლებლებიდან

თავისი არსებობის ათი წლის შესრულების გამო, თბილისის სახელმწ. პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა მოწვევის ბარათები დაუგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა ორგანიზაციებს და ზოგიერთ პროფესორებს.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობა

მეორე დღე

საქართველოს პროლეტარული მწერალთა ასოციაციის გამგეობის მუშაობა

ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენება

მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს საქართველოს პროლეტარულ მწერლობის ასოციაციის მუშაობას პირველი ყრილობიდან მიმდინარე ყრილობამდე და ამბობს, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში პროლეტარული მწერლობა საგრძნობლად განმტკიცდა, როგორც ორგანიზაციულად, ისე იდეურად — შემოქმედების სფეროში, დღიდან პროლეტარულ მწერლობის ორგანიზაციის ჩასახვისა, ე. ი. 1921 წლიდან 1926 წლამდე, პროლეტარული მწერლობა განიცდიდა ორგანიზაციულ ცვალებადობას, რომელიც დაკავშირებული იყო პროლეტარულ მწერლობის შემოქმედების განვითარებასთან. უკანასკნელად საქართველოს პროლეტარულ მწერლობის შეკავშირებამ მიიღო ასოციაციის სახე, რომელშიაც შედიან არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციები.

ასოციაციამ ორი მთავარი მიმართულებით წარმართა თავისი მუშაობა: პროლეტარული მწერლობის შეკავშირების ხაზით და იდეური მუშაობის გაძლიერების ხაზით. როგორც თვით მწერლობის შიგნით, ისე მის გარეთ. მუშაობის დროს ასოციაცია სამ ლოზუნგს ახორციელებდა: სწავლას, შემოქმედებას და თვით-კრიტიკას. პირველ ყოვლისა ასოციაცია აწყობდა წრეებს, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა ლაბორატორიული მუშაობის გაშლა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში გაერთიანებულ მწერალთა შორის; ამ მიზნით იმართებოდა ამ წრეების სხდომები, სადაც ირჩეოდა ესა თუ ის ნაწარმოები, ხდებოდა მისი შეფასება და ყოველმხრივი გაკრიტიკება.

გარდა ამისა წარმოებებში ეწყობოდა კომკავშირელ მწერალთა წრეები, სადაც მუშაობაში ჩაბმული იყვნენ სამწერლო ასპარეზზე ჯერ გამოუსვლელი ახალგაზრდები, რომელთა მიღება კავშირში მოუმზადებლობის და მოუმწიფებლობის გამო ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა. კომკავშირის მწერალთა წრეების ხელმძღვანელთა ძირითად კადრს წარმოადგენდნენ ასოციაციის წევრები, რომელთაც საკმაო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ. მხატვრულ ნაწარმოების შესწავლის გარდა, ამ წრეებში სწარმოებდა მეცადინეობა ისეთ საგნებში, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვს შემოქმედების საკითხებთან, როგორიცაა მაგ. ფსიხოლოგია და სხვა. გარდა ამისა, ასოციაცია ცდილობდა შექმნა და გაეფართოვებია თავისი აუდიტორია, დაახლოვებოდა საბჭოთა საზოგადოებრიობას. ამ მიზნით იგი სისტემატიურად მართავდა საღამოებს, სადაც პროლეტარული მწერლები გამოდიოდნენ თავიანთი ნაწარმოებით, კითხულობდნენ და არჩევდნენ მათ. ასეთი საღამოები იმართებოდა უნივერსიტეტში, პარტსკოლებში, მუშაკლუბებში, კომკავშირთა უჯრედებში და სხვ. იმართებოდა აგრეთვე საჯარო საღამოები ხელოვანთა სასახლეში, იქვე ეწყობოდა დისპუტები, რომელზედაც ასოციაციის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ასოციაციამ განაახლა წელს „პროლეტმაფის" მიერ პირველად შემოღებული მკითხველთა წრეების სისტემა; ასეთი წრეები დაარსდა მუშფაკში, პარტსკოლაში, რკინისგზის სახელოსნოებში და იმ დაწესებულებებში, სადაც პროლეტარულ ახალგაზრდობის რიცხვი საგრძნობია.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ასოციაციის რუსულ -სომხურ და თურქულ სექციებს და ამბობს, რომ უკანასკნელ წელში მოხდა ამ სექციების დაახლოვება მთავარ სექციასთან; მათაც გააძლიერეს თავისი ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობა და ხმავე მეთოდებით წარმართეს თავისი საქმიანობა, როგორც ქართულმა სექციამ. სომხურ და თათრულ სექციების ლიტერატურულ ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ უკვე შესძლეს რამოდენიმე ალმანახის გამოცემა. მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული აგრეთვე სექციების წევრთა ინტერნაციონალურ დაკავშირებისათვის. საანგარიშო პერიოდში ეწყობოდა გაერთიანებული სხდომები, საღამოები, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ყველა სექციის წევრები. მწვავედ სდგას საკითხი პროლეტარულ მწერალთა ნაწარმოების ურთიერთ ენაზე თარგმნის შესახებ. ამ საქმეს აბრკოლებს მთარგმნელთა კადრის უყოლობა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ასოციაციის მიერ პროვინციაში წარმოებულ მუშაობაზე და ამბობს, რომ გამგეობამ საანგარიშო პერიოდში მოაწყო ასოციაციის განყოფილებები ბათომში, ქუთაისსა და სოხუმში. ამ ქალაქებში პროლეტ. მწერლების ორგანიზაციებში შესვლა მოინდომეს არა პროლეტ. მწერლებმაც, მაგრამ ეს შეუთავსებელი იყო ასოციაციის მთავარ ხაზთან. პროვინციაში წარმოებულ მუშაობის ნაკლი ის არის, რომ ასოციაციამ ვერ შესძლო ლიტერატურულ ექსკურსიების მოწყობა, მომზადებულ მწერლების მიკლინება მუშაობის საწარმოებლად ზემოხსენებულ ქალაქებში და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ასოციაციის გამგეობის მუშაობის მეორე მხარეს სახელდობრ—მის ურთიერთობას საქართველოს მწერალთა გაერთიანებულ კავშირთან და ამბობს, რომ გამგეობის მიერ მიღებული იყო ღონისძიებები საქართველოს მწერალთა კავშირის არაპროლეტარულ წევრების იდეური ზეგავლენის მოსახდენად. ჩვენი მიზანია, რომ არაპროლეტარულ მწერალთა შორის შევქმნათ ნამდვილ თანამგზავრთა ჯგუფი და სწორედ აქეთკენ იყო მიმართული მთელი გულისყურით. ასოციაციას აგრეთვე სწადია მოახდინოს მწერალთა კავშირის რეორგანიზაცია. ამისათვის მის მიერ უკვე მომზადებულია სათანადო ნიადაგი—თვით კავშირის წევრებს შორის. დიდი ყურადღება მიექცა საანგარიშო პერიოდში პროლეტარულ მწერლების ნაწარმოებთა გამოცემის საქმეს. სახელგამმა ამ მხრივ დიდი საქმე გააკეთა: ერთი წლის განმავლობაში გამოსცა და დაბეჭდა პროლეტ. მწერალთა იმდენი ნაწარმოები, რაც არ გამოცემულა მთელი ექვსი წლის განმავლობაში. ნაწილობრივ ასეთი ყურადღება სახელგამისა აიხსნება მითაც, რომ თვით პროლეტ. მწერალთა ნაწარმოების ღირსება გაუმჯობესდა და უფრო მაღალ დონეზე დადგა. პროლეტ. მწერალთა შემოქმედების თვისობრივი გაუმჯობესება უდაო ფაქტია: მოხდა თემატიური საზღვრების გაფართოება, ლექსი უკვე აღარ იწერება განყენებულ კოსმიურ თემებზე და თანდათან უახლოვდება კონკრეტიულობას. დიდი მიღწევებია აგრეთვე მხატვრული პროზის დარგში: თუ 1925 წლამდე პროლეტარულ მწერლის მიერ ერთი მოთხრობაც კი არ დაწერილა, დღეს უკვე გვაქვს მხატვრული პროზის რამოდენიმე ნიმუში, რომელშიაც მოცემულია თანამედროვე ყოფა-ცხოვრება და ახლო რევოლუციონური წარსული, მაგრამ ამასთან ერთად პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებას ახასიათებს ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: ნაწარმოებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის კონკრეტულობა, აღებულ თემებს აკლია იდეოლოგიური დამუშავება და სხ. მაგრამ ერთი კი ცხადია, პროლეტარული მწერლობა თანდათან თავისუფლდება იმ მავნე გადახრებისაგან, რომელიც ამ ახლო წარსულში შეიჭრა ჩვენ პროლეტარ. მწერლობაში პატრიოტულ და „ნეპმანური" ფენების ზეგავლენით. მწვავედ სდგას პროლეტარულ მწერლობაში კრიტიკის საკითხი. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საღი მარქსისტული კრიტიკა. პროლეტარულ მწერლებს ან მეტისმეტად უარყოფითად ეკიდებიან, ან ზომაზე მეტად აზვიადებენ მათ შემოქმედებას. როგორც პირველი, ისე მეორე დამოკიდებულება მწერლებისადმი მიუღებელია.

დასასრულ. მომხსენებელი ეხება იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში და რომელიც, მომხსენებელის აზრით, გამოწვეული იყო აზრთა სხვადასხვაობით ორგანიზაციულ საკითხებში.

მოხსენების გარშემო დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ილაპარაკეს ამხ. **ნ. ზომლეთელმა** და **პ. ქიქოძემ.**

კამათი გაგრძელდება დღევანდელ სხდომაზე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

კოჯრის თემის საკრედიტო ამხანაგობა

1925 წელში, კოჯორში გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის მოლარედ ითვლებოდა ამხ. ვასილ ბაინდუროვი; ამ ხანებში ბანკს არ მოეპოვებოდა სალარო და მოლარეს ფულის ტარება ჯიბით უხდებოდა. ბანკის მოანგარიშეთ იყო აღმასკომის მოანგარიშე ამხ. ჩარგეიშვილი და თემაღმასკომის თავმჯდომარეთ პეტრე ხიზანიშვილი. იყო შემთხვევები, როცა მოანგარიშე ღებულობდა გლეხების მიერ ბანკში შემოტანილ ფულს და აძლევდა ხელწერილებს. ამის შესახებ რამდენიმეჯერ მიმართა ამხ. ბაიანდუროვმა (მოლარემ) მოანგარიშე ჩარგეიშვილს, რომ მოლარის გარეშე ფული არ მიეღო გლეხობისაგან.

დამთავრდა აღნიშნული წელი და წლის ბოლოს მოვიდა სარევიზიო კომისია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან, რომელმაც გააკეთა რევიზია და ამხ. ბაიანდუროვს აღმოაჩნდა 400 მანეთი დანაკლისი, რომელიც გადაახდევინეს და სათანადოთაც დასაჯეს. ამის შემდეგ ბაიანდუროვმა აღმოაჩინა მოანგარიშე ჩარგეიშვილის მიერ გაკეთებული ყალბი საბუთები, რომლითაც ამხ. ბაიანდუროვი სასამართლოს მიერ გამართლდა და დამნაშავე ე. ი. ფულის გამფლანგველი აღმოჩნდა ჩარგეიშვილი.

26—27 წელს ბანკის მოლარეთ დაინიშნა შაქრო ქოროღლიშვილი, რომელსაც საანგარიშო წლის ბოლოს დააკლდა 1400 მან.

როდესაც ბანკის წევრთა სხდომა მოხდა, რომელსაც დაესწრო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან ამხ. კიკვაძე, ხალხმა მიანდო აღმასკომის თავმჯდომარე პეტრე ხიზანიშვილს, რომელიც იმავე დროს ბანკის თავმჯდომარეთაც იყო, გაეკეთებია მოხსენება ბანკის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც უარი განაცხადა—არა ვარ მომზადებულიო.

კრებამ მისცა შეკითხვა ხიზანაშვილს, „უკეთებდით თუ არა თქვენ რევიზიას ბანკს ყოველთვიური ანგარიშის წარდგენის დროსო“. ხიზანაშვილმა განაცხადა, რომ მე ეს არ მევალეობოდა და არც რევიზიას ვუწევდი, არამედ წარმოდგენილ ანგარიშებს მოანგარიშის მიერ ხელს ვაწერდითო“, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბანკის წევრთა შორის. ამავე დროს ანგარიშების დრო როცა მოახლოვდა, მაშინ ხიზანაშვილმა სალაროს გასაღები, რომელიც მას ებარა და მეორე მოლარეს ქონდა, გადასცა ორივე მოლარეს და მოლარემ უხმოდ ჩაიბარა. ანგარიშის დროს კი შედეგად მივიღეთ გაფლანგული 1400 მანეთი.

ამიტომ საჭიროა ამ საქმეს მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერარს და დამნაშავეებს მოეთხოვოს სათანადო პასუხი.

კოჯრელი.

სამაზრო გლეხკომის მუშაობა
(წერილი სენაკიდან)

ჩვენი მაზრის გლეხკომის მუშაობა თანდათან ჯანსაღდება და მკვიდრ ნიადაგზე დგება. ამას ნათლად ადასტურებს მისი მუშაობის ციფრებით უკეთ წარმოება, ვინემ წინა წლებში. მაზრაში 40 გლეხკომია. არის თემები სადაც ორი გლეხკომია. გლეხკომებში გაერთიანებულია 18 925 წევრი ყველა ღარიბი და საშუალო ელემენტებიდან. საწევრო გადასახადი შემოტანილი აქვთ. ასეთების შემოტანისაგან სრულიად თავისუფალია 1.222 გლეხი. როგორც უკიდურესი ღარიბები, მიმდინარე წელს გლეხკომში ახლად ჩაეწერა 969 გლეხი. საწევრო გადასახადი განსაზღვრულია ასე: პირველი კატეგორიის გლეხობა არაფერს იხდის, მეორე კატეგორია იხდის 20 გირ სიმინდს, ან მის საფასურს, მესამე ერთი ფუთს, მეოთხე კი ფუთ ნახევარს.

სამაზრო გლეხკომი აწარმოებს ღარიბთათვის დახმარების გაწევას, როგორც თემებში, ისე თავისი ხაზით. წლის განმავლობაში გაცემულია 1627 მან. ფულად სამაზრო გლეხკომის სალაროდან. ხოლო თემებში გაცემული აქვთ 2148 მან. 463 წევრზე. 3300 მან. გაცემულია სესხის სახით 312 წევრზე.

კოოპერაციაში გლეხკომმა შეიყვანა წევრად 500 გლეხი, რისთვისაც გასცეს 1000 მან სკოლებსა და სამკითხველოებს აღმოუჩინეს 683 მან. დახმარება. სურსათით მიეცა დახმარება 267 გლეხს—1436 ფ. სიმინდის რაოდენობით. სესხად კი 840 ფ. სიმინდი 113 გლეხს.

გლეხკომებს აქვთ საწარმოები: სასადილო 8, ფურნე 22, აგურის ქარხანა 4, საკრამიტე 3, წისქვილი 10, ბორანი 2, საყასბო 4, წვრილი სავაჭრო 8.

მთავარ მიღწევათ სამაზრო გლეხკომისა უნდა ჩაითვალოს 22 საწოლიანი გლეხთა სახლის გახსნა. აქ გლეხს საშუალება ეძლევა გაათიოს სუფთად და თბილად ღამე 25 კაპ.—60 კაპ.

სამაზრო გლეხკომს ყავს 27 ფასიანი თანამშრომელი, ხოლო თემებში 72.

ამნაირად, გვაქვს მიღწევები, მაგრამ არის ნაკლიც, რომელიც გამოიხატება შემდეგში. არავითარი კულტმუშაობა არ სწარმოებს გლეხთა სახლში; არ არსებობს ცნობათა ბიურო ამავე სახლთან; ნაკლებად სწარმოებს კულტმუშაობა სოფლადაც; ძლიერ ცოტაა ჩაბმული ქალები, როგორც გლეხკომებში, ისე მის ხელმძღვანელ ორგანოებში.

საჭიროა ამ დეფექტების გამოსწორებაც.

ბ. უჩანეიშვილი.

თელავის კოოპერატივი

თელავის სამომხმარებლო კოოპერატივმა უკვე ჩაატარა როგორც წევრთა წინასწარი კრებები, ისე რწმუნებულთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ცეკავშირის წარმომადგენელი.

ყრილობაზე ცეკავშირის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. მაისურაძემ, რომლის გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. რწმუნებულნი ერთხმად აღნიშნავდნენ ფართლეულობის სიმცირეს და სთხოვდნენ ცეკავშირს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ფართლეულობის განაწილების დროს თელავის ეპოსათვის, რომელიც თელავის გარდა აერთიანებს 4 დიდ სოფელს.

შემდეგ ვრცელი საანგარიშო მოხსენება გააკეთა ეპოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ის. თოხაძემ.

ეპოს სამოქმედო რაიონში შედის თელავის გარდა ოთხი დიდი სოფელი, კურდღელაური, გულგულა, ვარდისუბანი და შალაური, აერთიანებს 2160 წევრს, აქვს 9 განყოფილება, მათ შორის პურის საცხობი და ეხლახან გახსნა საყასბო, რომლებშიაც მუშაობს 32 თანამშრომელი.

საანგარიშო 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1927 წლ. 1-ლ ოქტომბრამდე შეუძენიათ საქონელი 650 ათასი მანეთის, გაუყიდნიათ 620 ათასის.

უმთავრესად მოთხოვნილება და გაყიდულა: ფართლეულობა— 233000 მანეთის. შაქარი 80000; ფქვილი—56000; ნავთი—42000; გალანტერია—32000; რკინეულობა—22000; მარილი—10000; ჭურჭეულობა—13000; ჩაი—6000; ფეხსაცმელი 6000 მანეთის და სხვა.

წლის გასულს მოგება დარჩენილა—5 425 მანეთი, რომელიც ყრილობის მიერ შემდეგნაირად იქნა განაწილებული: ძირითად თანხაში გადაირიცხა 40 პროც., სათადარიგოში—10 პროც., დივიდენდი 20 პროც., კულტ. მიზნ.—20 პროც. და ღარიბ გლეხების წევრების ჩასაწერად 10 პროც. ყრილობის დადგენილების თანახმად დივიდენდი ჩაერიცხებათ საწევრო ფულად.

ფასების დაკლების კამპანია ჩატარდა თავის დროზე და 10 პროც. მაგივრად დააკლდა 9.5 პროც. რაც ერთერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. საზოგადოთ საქონელს ერიცხება ორთა შუა რიცხვით არა უმეტეს 11 პროცენტისა.

გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტმუშაობას, მოწვეული ჰყავთ ჯერჯერობით ერთი ინსტრუქტორი, ჩამოყალიბებულია 2 კოოპერატიული წრე, ავრცელებს კოოპერ. ლიტერატურას და სხვ.

ჩვენს ეპოს ერთ-ერთ მიღწევათ სხვათაშორის ისიც ჩაითვლება, რომ აშენა საკუთარი ორსართულიანი შენობა. დაბლა სართულში მოთავსდება სავაჭრო, ხოლო მაღლა სართულში—კანტორა და გამგეობა. შენობა დაჯდა 12 ათასი მანეთი.

ყრილობის დასასრულს მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. გამგეობა არჩეულ იქნა 5 წევრისაგან. მათ შორის 3 პარტიული და 2 აქტიური, ისევ ამხ. თოხაძე და ბაკურაძე.

ვან—ლი.

წერილებიდან

გაზეთების მიწოდება მოუწესრიგებელია

[illegible] ზუგდიდის მაზრა

ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონების ფოსტის დაწესებულებებში ზუგდიდიდან ფოსტა მოაქვთ ორშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. შემდეგ დღეებში კი რიგდება გაზეთები და სხვა კორესპონდენციები. ამის გამო კვირის გაზეთს ხელისმომწერი იღებს მომავალ შაბათს. პარასკეობით კი მოდის სამი ოთხი დღის გაზეთები ერთად. ამიტომ საჭიროა შაბათის მაგივრად ფოსტა იგზავნებოდეს ოთხშაბათობით.

შ. ახუთელი.

სასარგებლო საქმიანობა

გარე-კახეთი

სოფ. სართიჭალიდან სიონის მაზრის ს. კაკაბეთამდე დაზიანებული იყო შარაგზები და ბოგირები, რასაც ყურადღება მიაქცია თბილისის აღმასკომმა. ამჟამად გლეხობის დახმარებით სწარმოებს ცემენტის ბოგირების და ფართე გზის გაყვანა. გლეხობა ამ საქმეს აღტა-

რატომ მოუსპეთ?

აგარაკი კოჯორი

აგარაკ კოჯორში არის ობოლ-ბავშთა ხუთი თავშესაფარი, რომლებშიაც მოთავსებულია 400-მდე ბავში მათი აღმზრდელებით. ახალშენის გამგეები და პედაგოგიური პერსონალი დღემდის ღებულობდნენ უფასოდ ორ გირვანქა პურს და სადილს. მაგრამ პირველი იანვრიდან ასეთი მორიგე და ორმოცამდე მოსამსახურე დარჩენ იმ 40 მანეთის ამარა, რომელიც მათ შრომის ხელფასად ეძლევათ. საჭიროა განათლების კომისარიატმა ამ თანამშრომელთა მატერიალურ მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს და კვლავ აღუდგინოს მათ უფასო სადილი, როგორც სამი წლის განმავლობაში ეძლეოდათ.

გ. გარსიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზელთა პროფკავშირის ათი წლის თავი

15-დან — 21 იანვრამდე მთელი საბჭოთა კავშირის რკინის გზელები იზეიმებენ საკუთარ კავშირის დაარსებიდან ათი წლის შესრულებას.

რკინის გზელთა პროფკავშირის დაარსების დღედ აღებულია 1917 წლის 10 დეკემბერი (ძველი სტილით).

ამ დღეს გაიხსნა სრულიად რუსეთის რკინის გზების მუშების და ხელოსნების პირველი ყრილობა, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო რკინის-გზელების მთლიან პროფესიონალურ კავშირს, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა შორის ითვლება ყველაზე უფრო უდიდეს და უძლიერეს კავშირად და აერთიანებს მილიონზე მეტ რკინის გზის პროლეტარიატს.

ამ ზეიმის ამ.-კავკასიის რკინის გზებზე ჩასატარებლად, ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა თავის დროზე დაუგზავნა საუბნო კომიტეტებს ცირკულიარები სათანადო განმარტებებით, რომლის თანახმად მათ უკვე გამოჰყვეს სპეციალური კომისიები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ზეიმის ჩატარებას.

ზეიმი უმთავრესად ჩატარდება კავშირის ისტორიის შესწავლის ხაზით. ამისათვის კლუბებთან, წითელ კუთხეებთან და ბიბლიოთეკებთან მოეწყობა სპეციალური წრეები.

გარდა წმინდა საზეიმო ხასიათისა ამ ზეიმს ექნება საანგარიშო ხასიათიც. სახელდობრ, პროფკავშირის წევრებს გააცნობენ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების საქმიანობას და მიღწევებს ამ ათი წლის განმავლობაში. თვითეულმა რკინის გზელმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ზეიმში.

სახალხო ქონებით სპეკულიაციას ეწევიან

თუ რომელიმე ნაწარმოების მოთხოვნილება სჭარბობს რაოდენობას, მაშინვე გაჩაღდება ხოლმე ნათლიმამობა და სპეკულიაცია ამ ნაწარმოებზე.

ერთ ასეთ პროდუქციას ამჟამად წარმოადგენს თევზის ქონი. ამას წინად ტყავის თანამშრომელმა ამხ. კურატაშვილმა დამზღვევ სალაროს მიერ გაცემული რეცეპტი მიიტანა მე-5 საბჭოთა აფთიაქში თევზის ქონის მისაღებად, მაგრამ პროვიზორმა კოხმა ცივი უარით გაისტუმრა ამხ. კურატაშვილი, ამავე დროს კი თავის ნაცნობებს (კერძო პირებს) 800 გრამი მისცა.

ამხ. კურატაშვილმა ეს გარემოება აცნობა ჯანმრთელობის ქვე-განყოფილებაში ამხ. მარდაშვილს, უკანასკნელი ტელეფონით შეეკითხა მე-5 აფთიაქს იმის შესახებ, რომ ჰქონდათ თუ არა თევზის ქონი. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ აფთიაქს კიდევ ჰქონია რამოდენიმე ათასი გრამი.

იმედია ჯანმრთელობის ქვე-განყოფილება სათანადო პასუხს მოსთხოვს, როგორც პროვიზორ კოხს, აგრეთვე ყველა მისთანებს, რომლებიც ხელოვნურად ქმნიან პანიკას და სახალხო ქონებით სპეკულიაციას ეწევიან.

ნიკო მჭერვალი.

ჩვენი აღმშენებლობა

დიდი ზაჰესის ენერგიამ კარგა ხანია გაანათა მთელი თბილისი. ის შეიჭრა განაპირა მუშათა უბნებშიაც და გააშუქა ისეთი ქუჩები, რომელთაც ნავთის სინათლეც კი არ ენახა. დაისო საკითხი ამ სინათლის მუშათა ბინებში შეყვანის შესახებ. აქ წინ შეგვეჩეხა თვალსაჩინო დაბრკოლება. მართალია ზაჰესმა გააიაფა სინათლის ენერგია, მაგრამ ამ ენერგიის შეყვანას სახლებში ცოტა არ იყოს ძვირი ჯდება. თითო წერტის (ლამპის) შეყვანა ბინაზე ჯდება 15-16 მანეთი.

საკითხი განიხილა კომუნალურ სექციის ბიურომ და გამოირკვა, რომ ფასები არაა გაბერილი. მართლაც 15-16 მანეთი ჯდება ერთი წერტის გასაყვანი მუშაობა და მასალა.

ამნაირად ფასების დაკლებაზე ლაპარაკი უნაყოფო დარჩა, მანამდე, სანამ გაიაფდება თვით საჭირო მასალა. მაგრამ სექციის ბიურომ სხვა ხერხს მიმართა, თუ არ შეიძლება მასალის გაიაფება — გავაიაფოთ თვით გაყვანაზე წარმოებული მუშაობა მაინც.

ბიურო შეუთანხმდა ელექტრო განყოფილებას, და დაადგინა, რომ თუ ელექტრო შუქის ბინებში გაყვანას მივცემთ მასიურ ხასიათს, ესე იგი თუ მას გავიყვანთ ერთ რომელიმე ქუჩაზე მდებარე ბინებში ამ შემთხვევაში მუშაობა ერთ ალაგას ჩატარდება მასიურათ, ასეთ მუშაობის დროს ოსტატებს არ დასჭირდებათ ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში გადახტომა, დროს დაკარგვა, იარაღების ხშირი გადატან-გადმოტანა და სხვა. ასეთი სამუშაოებით შეიძლება ერთი წერტის გაყვანა დაჯდეს 13 მანეთამდე.

კომუნალურმა სექციამ მიიღო ასეთი წესი და დაავალა ყველა სამილიციო რაიონებში არსებულ თავის კომისიებს წარმოადგინონ იმ ქუჩების და მუშების სია, რომელთაც სურთ თავიანთი ბინებში ელექტრო შუქის გაყვანა.

მე-11-ე სამილიციო რაიონის კომისიამ, ამხ. ს. ენუქიძის ხელმძღვანელობით, უკვე წარმოადგინა ლენინის რაიონიდან ასეთი სია.

ეს პირველი ცდა ელექტრო-განათების მასიურად გაყვანისა დაგვანახვებს თუ რა დაჯდება, გაყვანა, რამდენით დაიკლებს ფასი უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მუშაობის ასეთი წესი გაგვიიაფებს ელექტრო-ენერგიის მუშათა სახლებში გაყვანას და ყველა მუშის ბინა განათდება — გაჩირაღდნდება.

ხოლო რათა ეს საქმე მეტის საყოფით დაგვირგვინდეს, საჭიროა ტელასის მიერ მეტის ენერგიით მუშაობის დაწყება და თვით ელექტრო ოსტატების მიერ ენერგიული მუშაობა. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი მანტიორი ერთ წერტილის გაყვანას ხშირად ხუთ დღეს ანდომებს იმ დროს, დროსაც წერტის გაყვანას ერთ ბინაზე 2-3 დღეზე მეტი არ უნდა.

აქ არის ყურადღება საჭირო. ზოგი ერთი მანტიორი ბოროტად იყენებს იმ ნდობას, რომელსაც მასზე ამყარებს ელექტრო განყოფილება და ასე ხელოვნურად ქმნის სიძვირეს, რაც უფრო საყურადღებოა აჭიანურებს მუშაობის შესრულებასაც. ამ გარემოებას მივაპყროთ ყველამ საჭირო ყურადღება.

ს. დოლიძე.

მეტი ყურადღება ქალაქის გარეუბნებს

ვერის უბნის მცხოვრებნი განსაკუთრებით გოგებაშვილის ქუჩიდან დაწყებული მთის პირამდე, დიდ ტანჯვას განიცდიან წყლის უქონლობის გამო. ეს რაიონი შედის პირველ სამილიციო უბანში; უწყლობის გამო აქაური ღარიბი მოსახლეობა იძულებულია იხმაროს მთიდან გამოსული წყაროები, მაგრამ, ვინაიდან ამ წყაროს აუარებელი მცხოვრებლები ხმარობენ, ამის გამო გაუთავებელი რიგია წყლისათვის, რაც იწვევს მოქალაქეებში დაუსრულებელ ჩხუბს და თავპირის მტვრევას. რიგში ყოველდღე აუარებელი ვედრებია ჩამწკრივებული.

წყაროს წყალი ამ უბანში რამდენიმე ადგილას გამოდის, მაგრამ იმდენად მცირე რაოდენობით, რომ სანამ ერთი ვედრო აივსებოდეს, თითქმის საათი სჭირდება და პატრონიც იძულებულია ელოდოს ამ სიცივეში. ამ ნიადაგზე ხშირია მცხოვრებთა გაციება და დაავადმყოფება. აქვე არის ერთი მლაშე წყაროც, რომლის ხმარება ექიმებს აუკრძალავთ მცხოვრებლებისათვის, მაგრამ, მაინც ხმარობენ.

ასეთი გაჭირვებული და უწყლობით განაწამები მოქალაქენი ხშირად არაფერს იშურებენ, რომ წყლისათვის ფასიც გადაიხადონ, და ყოფილა შემთხვევა როცა ერთ ვედრო წყალში მათთვის 10 კაპიკი საფასური მოუთხოვიათ. წყლის ასეთი კრიზისით ამ რაიონში სარგებლობენ ზოგიერთი ბობოლა მოქალაქენი და ქალაქის წყალსადენის ონკანები თავიანთ შემოსავლის წყაროთ გადაუქცევიათ, ზოგიერთებს თვიურად ახდევინებენ თავის შეხედულებით წყლის საფასურს, ზოგს კი ვედროში 3 5 კაპიკს ახდევინებენ, როგორც მოეპრიანებათ, და ექსპლოატაციას ეწევიან მცხოვრებლებზე, ამ მიზნით აქვს, მაგ., გაყვანილი წყალი თავის ეზოში ყასაბს ჯანგულაშვილს.

ამას ყურადღება ესაჭიროება წყალსადენის სამმართველოდან და კარგი იქნება, თუ ვერის უბანში, გოგებაშვილის ქუჩის (ყოფ. პეტროვსკის) ზემოთა მცხოვრებთ წყალს გაუყვანენ. მხოლოდ მცხოვრებლები ითხოვენ ფასიანი იყოს წყალი და სამყოფი, რადგან სიცივეში რიგში დგომა წყაროსთან აუტანელ ტანჯვას აყენებს. მათ აღმასკომმაც ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

საბჭოს წევრი.

მუშკორთა წერილებიდან

ქურდობა გახშირდა. თბილისის სამშენებლო სასწავლებლების საერთო საცხოვრებელში, ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ქურდობა. ამ მოვლენას ყურადღებას არავინ არ აქცევს. საჭიროა სასწავლებლის ადმინისტრაციამ მიიღოს რაიმე ზომები ქურდობის წინააღმდეგ.

ნ. მიქაშავიძე.

მუშკოოპმა მოგვატყუა. სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „სოფლის კავშირი“-ს ადგილკომმა დიდი ხანია წარადგინა მუშკოოპში მუშა-მოსამსახურეთა სიები სესხის მისაღებად. მაგრამ სესხის გაცემა უკვე თავდება და მუშკოოპი ჯერაც არ გვაძლევს სესხს. მუშკოოპის გამგეობავ, რათ მოგვატყუე?

კავშირელი.

ჯამაგირს აგვიანებენ. ლიბანის სანატორიუმის საქმის მწარმოებელ მოქ. ხარათოვის წყალობით, მუშა-მოსამსახურეები დაგვიანებით ღებულობენ ჯამაგირს. გარდა ამისა მოქ. ხარათოვი უდიერად ეპყრობა მუშებს. ის სრულიად უმიზეზოთ უყვირის და უბრიალებს თვალებს დაბალ თანამშრომლებს. ადმინისტრაციამ უნდა გამოასწოროს ასეთი საქმის მწარმოებელი.

წკეპლა.

რათ არის განსხვავება? „ზაკტო“-ს მაღაზიებში ხშირად ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა ფასებში იყიდება. ასეთი განსხვავება ფასებში განსაკუთრებით არის „ზაკტო“ს მე-5-ე და მე-7-ე მაღაზიებში. გამგეობავ, რათ არის ასეთი განსხვავება?

ზ—ლი.

მუშაობას აფერხებს. რკ. გზის (ცენტრ. ელექტრონის) სადგურში დინამო მანქანის სარქველებს უკეთებენ სრულიად უვარგის ზამბარებს. რომლებიც ხშირად წყდება და აჩერებს მანქანას. ზამბარების შეცვლამდი მთავარ სახელოსნოში შეჩერებულია ყოველგვარი მუშაობა. ნუ თუ არ შეიძლება უკეთესი ზამბარების შოვნა და მუშაობის შეფერხების თავიდან აცილება?

ვ. ზნაური.

ლენინის დღე სკოლებში

სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობამ შეადგინა გეგმა შრომის სკოლებში 21 იანვარს ლენინის გარდაცვალებიდან 4 წლისთავის აღსანიშნავ „გლოვის დღის“ ჩასატარებლად.

ამ გეგმის მიხედვით 21 იანვარს სკოლებში მოეწყობა ლენინის ხსოვნისდილა-სალამოები, მოწაფეების გამოსვლა; წარმოდგენები ლენინის ცხოვრებიდან, მისი ბავშობიდან და სხ.

სკოლებში ლენინის დღის ჩატარებასთან დაკავშირებული უნდა იქნეს „9 იანვრის“ ამბები და მოწაფეებს უნდა განუმარტონ 9 იანვრის ამბების ისტორიული მნიშვნელობა, ლენინის დამოკიდებულება ამ ამბებისადმი და ის რევოლიუციონური მოქმედების შინაგანი კავშირი „სისხლიან კვირასთან“.

ის სკოლები, რომლებიც საშეფო მუშაობას ეწევიან სოფლებში, „ლენინის დღეს“ აწყობენ საშეფო სოფლებში.

ამ დღისათვის სკოლებში გამოცემულ უნდა იქნას კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

განსაკუთრებით სპეციალურ ტეხნიკუმებში, ცხრაწლედებში და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში უნდა მოეწყოს ლექცია-საუბრები შემდეგ თემებზე:

1) ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურისა და პროლეტარული რევოლიუციის შესახებ;
2) ლენინი—მუშათა და გლეხთა კავშირი.
3) ლენინის შეხედულებანი სოციალიზმის მშენებლობაზე;
4) ლენინი—ნაციონალური საკითხების შესახებ;
5) 9 იანვრის ამბების ისტორიული მნიშვნელობა და სხ.

მოხსენებებს გააკეთებენ როგორც მოწაფეები, ისე ადგილობრივი პარტორგანიზაციების წარმომადგენელი და მასწავლებლები.

ნაოსნობა მდ. რიონზე

მოძრაობა დაიწყება თებერვლის დამდეგს

ამიერ-კავკ. შინა წყლებზე მიმოსვლის სამმართველოში ფოთიდან მიიღეს ცნობა სამზადისის შესახებ მდ. რიონზე ნაოსნობის დასაწყებათ.

დონ-ყუბანის სახელმწიფო ნაოსნობის სამმართველოს რიონის სააგენტო იტყობინება, რომ 8 იანვარს ფოთში მიიღეს ერთი კატერი. 15—16 იანვრისათვის ელიან კიდევ ორ კატერს.

როგორც ცნობიდან სჩანს, ამ კატერების მიღების შემდეგ, დონ-ყუბანის სანაოსნო სამმართველოს რიონის სააგენტოს გადაწყვეტილი აქვს, თებერვლის დამდეგს გახსნას კომერციული სამგზავრო-საბარგო და საბუქსირო მიმოსვლა მდ. რიონზე.

პირველ ხანებში, ორთქლის და მოტორიან ხომალდების მიღებამდე, ნაოსნობა იწარმოებს ფოთ-სამტრედიას შორის.

მზადება ნაოსნობისათვის

მდ. რიონზე ნაოსნობის დასაწყებათ ამიერ-კავკ. შინა წყლებზე მიმოსვლის სამმართველო აწარმოებს მდინარის კალაპოტის დაწვრილებით გამოკვლევას.

ეს მუშაობა დამთავრდება წელს.

ამჟამად მდინარეზე მოწყობილია წყლის გასაზომი 4 საგუშაგო, რომლებიც თვალყურს ადევნებენ წყლის ზედაპირს მდინარეში.

ეხლა სწარმოებს მუშაობა მდინარის ფსკერის გასაწმენდათ დაძირულ ხეებისაგან და იდგმება სპეციალური სანიშნებლები ხომალდებისათვის გზის საჩვენებლად.

პირველ ხანებში მოძრაობა იწარმოებს მხოლოდ დღისით, შემდეგ კი, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა, თუ რამდენი რეისის მოწყობაა საჭირო, ხომალდები ივლიან ღამითაც.

საბოლოოდ წესიერი და რეგულიარული მიმოსვლა მდინარეზე გაიხსნება გაზაფხულზე.

რიონზე ნაოსნობის მოწყობის ეკონომიური მნიშვნელობა

მდ. რიონზე ნაოსნობის მოწყობას [illegible] რაიონების მოსახლეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს შეუწყობს მათი მეურნეობის განვითარებას იმით, რომ მოსახლეობას საშუალება მიეცემა ხელსაყრელი გზით გაიტანოს თავისი ნაწარმოები ბაზარზე და შეიძინოს იქ საჭირო საგნები.

შავი ზღვის რკინის გზის გამოკვლევა

ა.-კ. რკინის გზების მ. გ. ინსპექცია იწყებს შავი ზღვის რკინის გზის კაპიტალურ მშენებლობის გამოკვლევას, სხვა ამოცანებთან ერთად გამოკვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს სამშენებლო აპარატის ორგანიზაცია და მუშაობის წარმოების ტეხნიკური პირობები სამშენებლო მასალის მიწოდების და მიღების დარგში, აგრეთვე სამშენებლო ხარჯთაღრიცხვები და ამ ხარჯთაღრიცხვების შეფარდება პროექტებთან და ტეხნიკურ პირობებთან გამორკვეული იქნება აგრეთვე, თუ რამდენად უზრუნველყოფილია თანხებით მუშაობის წარმოება, როგორ არის დაყენებული კონტროლი თანხების ხარჯვაზე და ხარჯების აღრიცხვა. მუშაობის დამთავრება განზრახულია 1-ლი მარტისათვის.

ბახურებული შანთით

„თევზი თავიდან აყროლდება“

მკითხველს ემახსოვრება კორესპონდენცია „ახურებული შანთი“-ს განყოფილებაში შემდეგი სათაურით: „შვიდნი ძმანი გურჯანელის“-ს პრინციპზე აგებული სამართველო. ეს ლაპარაკი იყო თბილისის სააფთიაქო სამართველოს შესახებ, რომელშიაც მოკალათებულა ძმათა კობალაძეების კეთილები და ნათესავები ერთ და იმავე თემიდან. ჩვენ გვეგონა უბედურება მარტო სააფთიაქო სამმართველოთი ამოიწურებოდა, მაგრამ ანგარიშში მოვტყუვდით. ძველად იტყოდნენ, როგორიცა ერი, ისეთი ბერიო. ეხლა ბერი, რა თქმა უნდა, ერის საზომათ აღარ გამოდგება. მაგრამ ეს თქმულება ხალხში მაინც დარჩა და ალბათ მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანს გაუჭირვებლათ შეეძლებოდა ისეთი დაწესებულებათა მოსწრებულათ დახასიათება, როგორიცაა თბილისის სააფთიაქო სამმართველო.

„ბერის“ როლში ამ შემთხვევაში გამოდიან იგივე ძმანი კობალაძენი, ხოლო „ერის“ როლს ასრულებენ შემდეგი პატივცემული პირები: ერთ-ერთ აფთიაქის გამგის თანაშემწე უზნაძე, რომლის ერთი ბიძაშვილიც მუშაობს ასისტენტად, ხოლო მეორე ბიძაშვილი კონტროლიორათ, ცოლის დაც იქვეა მოწყობილი და იმავე ცოლის ძმა, ძველი „დაკა-ბიჭი“ ბარდღა კორძაიაც აქედანვე შემოგითვლის ნახვის ნატვრას.

ამავე აფთიაქის მაღაზიას განაგებს ივანე თოფურიძე და აქვე მუშაობს თოფურიძის საყვარელი და მკვიდრი და, რომელიც შტატში გატარებულია ქმრის გვარით. აბა გლავბუხი ნემსაძე ვისზე ნაკლები ბიჭია, თუ რამ სარგებლობა ერთისთვის არის, მეორისთვისაც უნდა იყვეს. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამავე აფთიაქში შეხვდებით მის ძმის ხელზე გამყიდველის თანამდებობაში. თქვენ მოიქანცეთ მკითხველო, გგონიათ, რომ საქმე ამით გათავდა. გთხოვთ აღიჭურვოთ მოთმინებით, გაგვყევით კიდევ ერთ ხანს სააფთიაქო სამართველოს ჯურღმულებში. აი, ადგილკომის წარმომადგენელი იმნაძე, მისი ცოლი ამავე აფთიაქის ასისტენტკაა გახლავთ, ხოლო სიდედრი, გთხოვთ იცნობდეთ დეფექტარის თანამდებობაზეა. სამართველოს დირექტორის ბიძაშვილი პ. კობალაძე ამ აფთიაქში ხელზე გამყიდველია, ხოლო ამავე პატივცემული დირექტორის დისშვილი — ამნაიშვილ ასისტენტკაა.

დაუჯერებელი ფაქტებია ყოველივე ეს, მიუხედავათ ამისა, სინამდვილე ასეთია. ამბობენ თევზი თავიდან აყროლდებაო თუ როგორ ყარს, თბილისის სააფთიაქო აპარატის თავი, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ ამას წინათ მოთავსებულ კორესპონდენციისაგან. დღეს ბიძაშვილობის პეიზაჟი, ასე ვთქვათ, ფართოვდება ის მთელი თავისი ნიუანსებით იშლება ჩვენ წინ.

რა წამალი უშველის ასეთ მდგომარეობას? ყოველ შემთხვევაში არა სააფთიაქო სამმართველოს აპარატში დამზადებული. მკურნალი თავისი წამლით გარედან უნდა მოვიდეს.

ზანი.

„გამორჩენის“ მოყვარული

ალბათ ყველას წარმოუდგენია რკინისგზის საბილეთო სალარო. წინ ვიწრო და მლეთის აღმართივით მიხვეულ-მოხვეული მოაჯირი, მაღალი კედელი, კედელში მერცხლის ბუდის ოდენა სარკმელი, საიდანაც მოსჩანს მხოლოდ ადამიანის თითები და ისმის ბილეთის საჭრელი დაზგის ბაგა-ბუგი. ბევრს არაერთი საათი და დღე გაუტარებია ბილეთის რიგში. ადვილი წარმოსადგენია ის გრძნობა, რომელსაც კაცი განიცდის ამ დროს. ყველაზე მეტი იდეალი მისთვის იმხანად არის სანეტარო სარკმელამდე მიღწევა, მოლარის ხელებისათვის თვალის შევლება და უხილავ ბაგეებიდან საამურ კითხვის მოსმენა: „სადამდი?“ თქვენ უპასუხებთ, უცნობის ხელები რამდენიმე წამის შემდეგ ბილეთს გაწყვეტს. მას მოსდევს ხურდა. მაგრამ წარმოიდგინეთ სამწუხარო მოვლენა: სალაროში სამკაპიკიანი ხურდა არ არის. თქვენ კი „გესამკაპიკებათ“, რაკი ბილეთი ხელში ჩაიგდეთ „მატარებლის სულიც თქვენ ხელშია“, გაიხარეთ სიხარულით და მადლობასაც უხდით მოლარეს ხურდის დაკლებისათვის.

ამნაირი მადლობის მთქმელნი ზოგიერთ დღე [illegible] მოლარეს დიდ სადგურებში დღეში 150 მაინც როგორ არ გამოერევა? მას მეტიც არ უნდა. ჯამაგირი ჯამაგირათ, „გამოსარჩენი“ დღეში 4—5 მანეთი. აღსანიშნავია რომ ასეთ საქმეს თითქმის ვერ შეხვდებით კოოპერატივის და სახელმწიფო დაწესებულებათა სხვა სალაროებში. რკინისგზის ზოგიერთ სალაროში კი „გამოსარჩენი“-ს მაგალითები თითქმის ჩვეულ პირს წარმოადგენს. სწერენ ამაზე მუშკორები, სწერენ ჟურნალისტები, სწერს და სჯის დამნაშავეებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ აქა-იქ მაინც შეხვდებით „გამორჩენის“ მოყვარულ მოლარეებს.

მაგალითად სანდარის სადგურის უფროსი კიკნაძე, რომელსაც სარევიზიო კომისიის ცნობით არაერთი ბოროტება ჩაუდენია საბილეთო სალაროში. კაცი ჯამაგირს გარდა ყოველთვიურად ითვისებდა, სტატისტიკურა სისწორით, რომ აღვნიშნოთ, 184 მან. და 45 კაპიკს. კაი ჯილდოა თქვენ ნუ მომიკვდებით, არც ხნა არც თესვა და თვეში 185 მანეთი შეატყაპუნე, ამას რაღა სჯობია? მით უფრო, როცა ასეთი ბოროტების აღმოჩენის შემდეგ სარევიზიო კომისია მამობრივ მზრუნველობას იჩენს დამნაშავისადმი და ცდილობს არც შამფური დასწვას არც მწვადი: არც სალაროს ავნოს, არც სალაროს მავნებელს. ასეთ ბოროტების აღმოჩენის შემდეგ თქვენ წარმოიდგინეთ კომისიამ დაადგინა, რომ „კიკნაძე ყურადღებით არ ეპყრობა სადგურის კომერციულ ოპერაციების წარმოებას (?)... და საჭიროთ სცნო განთავისუფლებულ იქნეს კიკნაძე ყოველივე კომერციულ მუშაობიდან მცირე სადგურზე გადაყვანით (?)“—არ ვიცით, რამდენათ უყურადღებოთ ეპყრობოდა კიკნაძე კომერციულ ოპერაციებს, რომელიც მას 185 მანეთს „გამოსარჩენს“ აძლევდა ყოველთვიურად, ხოლო ის კი ვიცით, თვითონ კომისია, რომ ყურადღებით მოეპყრობოდა კიკნაძის „კომერციულ ოპერაციებს“, ის ასეთ უყურადღებობას არ გამოიჩენდა სახალხო ქონებისადმი. ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ დამნაშავე ღირსეულათ იქნება დასჯილი. დრო-მოჭმული, მეფის ბიუროკრატიულ აპარატის ნაშთი, ლტოლვა „გამორჩენისაკენ“ გახურებული შანთით უნდა ამოვსწვათ ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში.

იხარი

„უძლეველი“ აკოპოვი

თბილისში პუშკინის ქუჩაზე არის რძის ნაწარმებთა კერძო საბითუმო სავაჭრო, რომელიც ვინმე აკოპოვს ეკუთვნის. სავაჭრო ვაგონობით ჰყიდის ყველსა და ერბოს, მისი ბრუნვა რამდენიმე ათი ათას მან. უდრის. ეს სავაჭრო რძის ნაწარმოებს აბარებს აგრეთვე მუშკოოპსაც კი.

აკოპოვის შესახებ 2—3-ჯერ უკვე იყო მოხსენებული გაზეთებში: იგი უსირცხვილოდ ატყუებდა გლეხებს, რომლებსაც თავისი პროდუქტები ჩამოჰქონდათ ქალაქში გასასყიდად და რომლებიც ამ ვაჭარს უვარდებოდნენ ბრჭყალებში.

აკოპოვი ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს კავშირთან და შრომის ინსპექციასთან. საქმე შემდეგშია:

1924 წელში აკოპოვმა თავის სავაჭროში მიიღო ორი ცრუ-კომპანიონი. 1925 წელში საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირმა ეს ფაქტი გამოაშკარავა და ისინი ორივე ჩაწერილ იქნენ კავშირში. მაგრამ აკოპოვის ზეგავლენით ერთმა მათგანმა კავშირის წევრობას არჩია ცრუ-კომპანიონად ყოფნა რომ ამ კომბინაციას ლეგალური სახე მისცემოდა. აკოპოვმა თავის ცრუკომპანიონის მაგივრად შეიტანა საპაიო გადასახადი 100 მან., მაშინ, როდესაც ამ სავაჭროს ბრუნვა რამდენიმე ათი ათას მან. უდრის.

შემდეგ წელში სავაჭრო კიდევ უფრო გაფართოვდა, რის გამოც აკოპოვმა კიდევ მიიღო ერთი მომუშავე ცრუ-კომპანიონის სახით. აკოპოვმა ისეთ ხრიკებს მიმართა, რომ ვერც შრომის ინსპექციამ და ვერც კავშირმა დიდხანს ვერ შესძლო კონკრეტიულად დაემტკიცებია ამ „კომპანიონების“ ფიქტიურობა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს შრომის ინსპექტორმა საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა ადგილკომთან ერთად გამოაშკარავა ეს სიყალბე, შეადგინა აქტი და აკოპოვი პასუხისგებაში მისცა კოდექსის დარღვევისათვის. ეს საქმე მეტად მარტივი იყო, მაგრამ იგი მთელი 1 ნახ. წლით გაჭიანურდა.

თურმე არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კერძო ვაჭრებსაც ჰყავთ გავლენიანი მფარველები და დამცველები—„ნათლიმამები“. აკოპოვი იმდენად ზურგმომაგრებულად სთვლიდა თავს, რომ ჯერ კიდევ საქმის გარჩევამდე შრომის სასამართლოში (საქმე ირჩეოდა სახალხო სამართლის წესით) ემუქრებოდა გამომძიებელს, „მაშენიკებს“ უწოდებდა მოსამსახურეებს, ყველა მათ დამცველებს. პროფრწმუნებულს კიდევ უფრო უხეშად მოეპყრო—სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. შრომის სასამართლომ შრომის კოდექსის სისტემატიურ დარღვევისათვის გამოიტანა 2 თვით დაპატიმრებისა და 300 მან. დაჯარიმების განაჩენი, ხოლო პროფრწმუნებულის შეურაცხყოფისათვის 6 თვით დაპატიმრება.

აკოპოვმა იხტიბარი არ გაიტეხა და საქმე გადაიტანა საკასაციო ინსტანციაში, რომელმაც განაჩენი დაამტკიცა მაგრამ აკოპოვი მაინც ვერ დააპატიმრეს, ვინაიდან იგი ქალაქიდან სადღაც გაემგზავრა. და განაჩენის სისრულეში მოყვანამდი საქმე გადაიტანა უზენ. სასამართლოში. განაჩენი აქაც დამტკიცებულ იქნა. რომ დაეპატიმრებიათ აკოპოვი, იგი გაიწვიეს სასამართლოში; აქ ის დააპატიმრეს და გამსახლში გაგზავნეს. მაგრამ აკოპოვი მეორე დღესვე გამსახლის ავტომობილით დაქროლავდა თბილისის ქუჩებში. მართალია ის ითვლებოდა პატიმრად გამსახლში, მაგრამ სასჯელს ფაქტიურად არ იხდიდა. აკოპოვი, როგორც საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირში, ამბობენ, მხოლოდ 10—12 დღე „იჯდა გამსახლში“, თუ „გამსახლში ჯდომად“ ჩაითვლება გამსახლის ავტომობილით სეირნობა ქუჩებში

ამავე დროს აკოპოვმა რადიკალური ზომები მიიღო მან სავაჭროში მომუშავე კავშ. წევრ. თავიდან მოშორებისათვის. ამ მიზნისათვის მან მიმართა ასეთ კომბინაციას. თავისი წარმოება მითომც მიჰყიდა თავის ამ შემთხვევაში ნამდვილ კომპანიონს ანტონოვს. ძველი მოსამსახურეები ამის გამო დათხოვნილ იქნენ. მაგრამ შრომის სასამართლომ დაამტკიცა, რომ სავაჭროს გაყიდვა მოხდა მხოლოდ ქაღალდზე, აღადგინა მოსამსახურენი და დაადგინა, რომ აკოპოვს მოსამსახურეთა სასარგებლოდ გადაეხადა ჯამაგირი გაცდენილი დროისათვის. მას შემდეგ, 1927 წლის 15 თებერვლიდან, ეს ჯამაგირი არ გადაიხადა, მიუხედავად სასამართლოს განაჩენისა. აკოპოვის მოსამსახურეებმა დღემდე ვერ მიიღეს ვერც სპეც-ტანისამოსი და ვერც საანგარიშო წიგნაკები.

აკოპოვის თავაშვებულებას მოწმობს ის გარემოებაც, რომ მესამე რაიონის შრომის ინსპექტორი ორი თვის განმავლობაში ამაოდ სცდილობდა საანგარიშო წიგნაკების და სპეცტანისამოსის საკითხის მოგვარებას. აკოპოვი ხევს ყოველგვარ მიმართვას ამ საკითხის გამო. როცა მასთან მივიდა სასამართლოს აღმასრულებელი დანელია, რომ ვაეკრა განცხადება სავაჭრო ვაჭრობის შესახებ, — აკოპოვმა ეს განცხადებაც დაფხრიწა. ეხლა აკოპოვის საქმე მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მიცემის შესახებ მესამედ გაირჩევა სასამართლოში.

ყოველივე ეს აღმაშფოთებელია, როგორც თავის-თავად, ისე განსაკუთრებით იმიტომ, რომ სხვა ხაზეინებიც, ხედავენ აკოპოვის ასეთ ხრიკებს და სცდილობენ მის მაგალითს მიბაძონ.

ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ აკოპოვი სათანადოდ იქნას დასჯილი დანაშაულისათვის.

ნ.

დარიალის ხიდი

საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე, დარიალის ხეობაში მდ. თერგზე წინად არსებობდა რკინის ხიდი, რომელიც მენშევიკებმა ააფეთქეს.

საქ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველო შეუდგა ამ ხიდის აღდგენას.

ხიდი რკინის იქნება. საჭირო ფერმები დაკვეთილი აქვს ჩრდილო-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებს. ფერმების დადგმაც მასვე აქვს დაკისრებული.

ფერმების დადგმა მოხდება არა უგვიანეს მარტ აპრილისა.

საბჭოთა გამოფენა საზღვარგარეთ

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით, უცხოეთთან კულტურულ კავშირის სრ. საკავშირო საზოგადოებამ საზღვარ-გარეთ მოაწყო საბჭოთა კულტურული და აღმშენებლობის მიღწევების გამოფენა.

საქარ. სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის ინიციატივით ხსენებულ გამოფენაზე საქართველოდან გაიგზავნა ფოტოგრაფიული სურათები და მოდელები ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა გზა-ტკეცილებისა და ხიდებისა. გამოფენაზე გაგზავნილ იქნა აგრეთვე ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მაჩვენებელი დიაგრამები და ქართული აკადემიური დრამის დადგმების მაკეტები. გადაგზავნილ ექსპონატების რიცხვი აღემატება 600 ცალს.

სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის გამგეს მოადგილემ ამხ. ლ. ჯაფარიძემ ამ დღეებში მიიღო უცხოეთთან კულტურულ კავშირის სრ. საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ო. დ. კამენევასაგან წერილი აღნიშნულ გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობის შესახებ. წერილში ნათქვამია:

„დასავლეთთან კულტურულ კავშირის სრ. საკავშირო საზოგადოება ულრმეს მადლობას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველო მონაწილეობას იღებს საზღვარგარეთის გამოფენებზე, რაც საშუალებას გვაძლევს უცხოეთს გავაცნოთ საბჭოთა საქართველოს მშენებლობის ზოგიერთი მომენტები.

თქვენ მიერ გამოგზავნილი ექსპონატები წარმოადგენენ ფრიად ძვირფას მასალას, რომლითაც მეტად დაინტერესებული არიან უცხოეთის კულტურული წრეები.

სამწუხაროდ, გამოფენის მოსაწყობ შენობათა სივიწროვის გამო საშუალება არ გვქონდა წარგვედგინა საქართველოს ყველა მასალები და ამიტომ მოვახდინეთ ექსპონატების შერჩევა. საზღვარ-გარეთ გადაუგზავნელი ექსპონატები გადაეცემა თქვენს წარმომადგენლობას მოსკოვში იმ მიზნით, რომ ეს ძვირფასი მასალა საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ სხვა გამოფენებისათვის.

დასავლეთთან კულტურულ კავშირის სრ. საკავშირო საზოგადოება გთხოვთ გამოფენის კომიტეტის სახელით გადასცეთ მადლობა იმ მუზეუმებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ექსპონატების შერჩევაში და გამოგზავნაში“.

თათბირი შემნახველ სალაროების მუშაობის შესახებ

ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა საგანგებო თათბირი შემნახველ სალაროების მუშაობის შესახებ. თათბირს დაესწრნენ ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ფანცხავა, სავალუტო სამმართველოს უფროსი ამხ. ქოთავა და საქ. ცენტრ. შემნახველ სალაროს ვ.-მგე ამხ. მამაცაშვილი.

თათბირმა განიხილა შემნახველ სალაროების მუშაობის დროის საკითხი და მუშა-მოსამსახურეთათვის შემნახველ სალაროებით სარგებლობის გასაადვილებლად, დაადგინა: საქ. მთავარ შემნახველ სალაროში მუშაობა შემოღებული იქნას დილის 11 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ტყავის მრეწველობის ტრესტის ქარხნებთან და საპონ-ზეთის სახელ. წარმოებებთან არსებულ შემნახველ სალაროების მუშაობის გასაცხოველებლად, თათბირმა გადასწყვიტა ახლო ხანში ფინსახკომთან მოწვეული იქნას სპეციალური კომისია, რომელიც გამოიმუშავებს ღონისძიებებს წარმოებებთან არსებულ შემნახველ სალაროებში მუშაობის გასაჯანსაღებლად. ამ თათბირზე მოწვეული იქნებიან ტყავის მრეწველობის, საპონ-ზეთის წარმოების, სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამას გარდა თათბირმა დაადგინა დაიხუროს მაზრებში არსებული სუსტად მომქმედი სალაროები.

შემდეგ თათბირმა განიხილა საკითხი ცენტრალურ შემნახველ სალაროების გაფართოების შესახებ და დაადგინა: ცენტრალურ შემნახველ სალაროების გაფართოება მიზნით რაჭის და ლეჩხუმის მაზრების სალაროები მიეწეროს ქუთაისის შემნახველ სალაროს: სენაკის სალარო მიეწეროს ზუგდიდის ცენტრ. სალაროს, ხაშურის ცენტრ. სალაროს მიეწეროს გორის, ახალციხის და დუშეთის სალაროები, სიღნაღ—თელავის სალარო, საქართველოს ცენტრალურ მთავარ სალაროს მიეწეროს ბორჩალოს სალარო, ოზურგეთის ცენტრალური სალარო დატოვებული იქნას სამაზრო პროფბიუროსთან.

ერთი მავნე ჩვეულების წინააღმდეგ
(საქ. პროლეტ. მწერალთა მეორე ყრილობის საყურადღებოდ)

ჩვენ უკვე ბევრ დრომოჭმულ ძველ ადათ-წესებს ვაქციეთ ზურგი.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა უმრავლესობამ თავიდან მოიშორა სარწმუნოება.

დღეს ჩვენში იშვიათად თუ ვინმეს აქვს სამოთხის და იქ კეთილი ცხოვრების იმედი სამოთხე და ჯოჯოხეთი მხოლოდ ამ ქვეყნით არსებობენ. ყველამ შევიგნეთ, რომ აღარ არის საიქიო, აღარ არის ცხონება.

ამიტომ ჩვენ ვცდილობთ აქ შევქმნათ სამოთხე, აქ მოვაწყოთ კეთილი ცხოვრება. გვეყო რაც ვიტყუილეთ თავი იმის იმედით, რომ აქ ტანჯვა-წვალება, სიმშილი და წყურვილი იქ—საიქიო—მოგვანიჭებდა კეთილ-ცხოვრებას.

მივხვდით ვისთვის იყო საჭირო ჩვენი ასეთი მოტყუილება.

საბჭოთა ხელისუფლებამ აგვიხილა თვალები, დაგვანახვა სინამდვილე.

ზურგი ვაქციეთ მატყუარა სარწმუნოებას, ეს კარგი საქმეა. ეხლა ერთი ჭირით ნაკლები გვაქვს, მაგრამ კიდევ ბევრი სენი გვაწევია თავს, კიდევ ბევრი მავნე ზნე-ჩვეულება გვაქვს მოსაშორებელი.

ამჟამად უნდა შევეხოთ ერთს ისეთ ცუდ ზნე-ჩვეულებას, რომელიც გვირთმევს ქონებას, გვიწიოკებს და გვიღრღნის ოჯახს. გვართმევს ხელიდან ჯანმრთელობას. ეს მავნე ჩვეულება არის ლოთობა, დაუთავებელი სადღეგრძელოები, ღვინის დაძალება, ღვინოში ჩახრჩობა.

გავიხსენოთ ერთი ძველი თქმულება: კინტო ვირზე იჯდა და მიდიოდა. გზაში შეაწუხა წყურვილმა. ვირს წყალი მოსწყურდა. მდინარის წყალს დაეწაფა და კარგა დიდ ხანს ვერ მოიკლა წყურვილი.

ბოლოს თავი მაღლა აიღო, წყალს თავი დაანება. კინტომ კიდევ წყალის დალევა უბრძანა, მაგრამ ვირმა ყურადღება არ მიაქცია კინტოს თხოვნას. კინტომ გაიყვანა ვირი ნაპირს, ჩამოხტა ძირს, დაუჩოქა ვირს წინ და დაუწყო ვედრება, რომ ვირს კიდევ დაელია წყალი ვერაფერმა გასჭრა. ვირმა მეტი წყალი აღარ დალია.

კინტომ უყურა, უყურა ვირს და წამოიძახა: ვირი შენ—კი არა მე ვყოფილვარო. „არ გინდა—აღარ სვამ“-ო.

ბევრისათვის კი ხშირად ღვინის სმაში საზღვარი არ არსებობს. ყველასათვის ცხადზე-ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ გვიშლის ხელს ლოთობა ჩვენს ახალ, სოციალისტურ აღმშენებლობაში.

და თუ ეს ასეა ყველამ უნდა ამოვიღოთ ხმა. ყველა უნდა შევებრძოლოთ ამ მავნე ზნე-ჩვეულებას.

ამ მავნე ზნე-ჩვეულებასაც უნდა ზურგი ვაქციოთ. სარწმუნოებასთან ბრძოლაში ყველა მოწინავე ელემენტი ერთად იყო. პუბლიცისტი, ბელეტრისტი, მუშკორი, ლიტერატორი, ორატორი და სხვა. ლოთობის საკითხში—კი საქმე სხვანაირათაა.

დღესაც ბევრი პოეტ-მწერალი ღვინოში ეძებს „მუზას“, ამიტომ აშკარაა სხვადასხვა ჯურის პოეტ ჯანწყლებისაგან ჩვენ ამ საქმეში დახმარებას არ ველით, და ეს არც გვაინტერესებს.

ამათგან დახმარება ჩვენ რევოლიუციაშიც არ მიგვიღია. ჩვენ იმედი გვაქვს და მივმართავთ მოწინავე პოეტებს და მწერლებს, ჩვენ მივმართავთ პროლეტარულ მწერლებს, მუშა-კალმოსნებს

პროლეტარულ მწერლებს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ ამ საყურადღებო საკითხს.

ყველაზე უფრო სწორედ მუშა-კალმოსნებმა, ხედავენ და გრძნობენ ყველა ამას, რა ზიანსაც ლოთობა აყენებს სოციალისტურ მუშაობას

ამიტომ დაყოვნება აღარ შეიძლება. უნდა შევუდგეთ ბრძოლას ამ მავნე ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ.

ს. დოლიძე.

მაქსიმ გორკი თბილისში
(მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო)



მხოლოდ ეხლა, 35 წლის გავლის შემდეგ, ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ცნობები მის დასამტკიცებლად, რომ თბილისმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მაქსიმ გორკის ცხოვრებაში.

აქ თბილისში მოხეტიალე მაქსიმიჩი პირველად გახდა მწერალი „მაქსიმ გორკი“.

აქვე, თბილისში გორკიმ მეტეხის ციხეში მიიღო „რევოლიუციონური ნათლობა“, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწემ.

ამ წერილის მიზანია აღადგინოს იმ ურთიერთობის სურათი, რომელმაც გამოიწვია სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსულ ახალგაზრდა მწერლის შეტაკება თბილისის ჟანდარმთა სამმართველოსთან და რომელიც სხვა გარემოებაში შეიძლება გორკისათვის არც ისე უვნებლად დამთავრებულიყო.

1891 წელს, შემოდგომის მიწურულში, ოდესიდან ჩრდილოეთ-კავკასიის გამოვლით საქართველოს სამხედრო გზატკეცილით ქვეითად თბილისში ჩამოვიდა პატარა ბარგით მხრებზე გადადებული უწვერ-ულვაშო მოხეტიალე ახალგაზრდა მაქსიმიჩი.

თბილისის გაცნობა მაქსიმიჩმა დაიწყო საპოლიციო უბნით. აქ იგი მოხვდა მოწმეთ სხვებთან ერთად რაღაც ქუჩური აყალ-მაყალის გამო, რომელშიაც იგი ჩაერია შეურაცხყოფილი მხარის დაცვის მიზნით.

საპოლიციო ნაწილში შეუდგენ ოქმის შედგენას. როდესაც მაქსიმიჩის დაკითხვის რიგი დადგა, მორიგე პოლიციელმა ახედ-დახედა მხარ-ბეჭიან უტიფარ „ბოსიაკს“, რომელიც მაინც და მაინც დიდ მოწიწებას არ იჩენდა პოლიციის წარმომადგენლის მიმართ და პირდაპირ მოურიდებლად „შენობით“ დაუწყო ლაპარაკი. როგორც ცნობილია, იმ დროში ასეთ მაწანწალა მოწმეებს დიდად არ სწყალობდნენ, მაქსიმიჩს პირდაპირ დაუსვეს კითხვა, რომლის პასუხზე დამოკიდებული იყო გაებმებოდა იგი თუ არა ხაფანგში.

— ვინ გიცნობს შენ აქ?

მაქსიმიჩმა დაასახელა მიხეილ იაკობის ძე ნაჩალოვი, რომელიც მაშინ ამიერ-კავკ. რკ. გზაზე მსახურობდა და, რომელსაც იგი ნოვგოროდიდან იცნობდა.

— სჩანს, შენ უბრალო ვინმე არ ყოფილხარ,—დაასკვნა მორიგე ზედამხედველმა; მაგრამ, ვინაიდან ასეთ „ბოსიაკებს“ დიდად არ უჯერებდნენ მაქსიმიჩი პოლიციელის თანხლებით გაგზავნეს ნაჩალოვთან მისი პიროვნების გამოსარკვევად. იქ, რასაკვირველია, დადასტურდა მისი ვინაობა.

საპოლიციო უბანში დაბრუნებისას მაქსიმიჩმა უკვე აღადგინა „მოქალაქის ყველა უფლებები“: მას აქ „თქვენობით“ დაუწყეს ლაპარაკი და წასასვლელად გზა დაულოცეს.

პირველი სამსახური თბილისში

მაქსიმიჩი შეიფარა ნაჩალოვმა და დაიწყო მისთვის სამუშაოს ძებნა. მალე ექიმ ნიკოლოზ ხუდადოვის დახმარებით მაქსიმიჩი მოეწყო სამსახურში რკინის გზის სახელოსნოებში კანტორშჩიკის თანამდებობაზე. ამგვარად, 1891 წლის შუა დეკემბრიდან მაქსიმიჩი უკვე ღებულობდა მცირე ხელფასს, რომელიც ასე თუ ისე აკმაყოფილებდა მის პატარა მოთხოვნილებას და რომლის მისაღებათ მას დიდი ჯაფა არ სჭირდებოდა. ამ გარემოებამ მაქსიმიჩს საშუალება მისცა მთელი წლის განმავლობაში თავისუფალი დრო მოეხმარებია წიგნების კითხვისა და თვითგანვითარებისათვის.

იმ ხანებში, როცა მაქსიმიჩი სამსახურში ეწყობოდა, ექიმ ხუდადოვმა სთხოვა მას ემორიგებია ერთ სულიერ ავადმყოფის საწოლთან. ეს ავადმყოფი იყო გოლა ჩიტაძე—მასწავლებელი, სოციალისტ-ხალხოსნების ერთი ვეტერანთაგანი საქართველოში. გიჟ ავადმყოფთან მორიგეობა მეტად მძიმე საქმე იყო, ამიტომ მორიგეები ყოველდღიურად იცვლებოდნენ. ვიდრე ექიმი ხუდადოვი ავადმყოფს გადაიყვანდა სავადმყოფოში სამკურნალოდ მაქსიმიჩს რამოდენიმეჯერ მოუხდა ავადმყოფის საწოლთან მორიგეობა. ამ მორიგეობის დროს მაქსიმიჩი გაეცნო ვ. ი. რობლინს და თეოდორე აფანასიევს, რომლებთანაც მას კავშირი არ გაუწყვეტია თბილისში ყოფნის დროს. რვა წლის შემდეგ თბილისის საჟანდარმო სამმართველომ, სამივე ეს დამეგობრებული ამხანაგი ერთად შეჰყარა ერთი გახმაურებული პროცესის გამო, რაზედაც შემდეგ იქნება ლაპარაკი.

ამავე ხანებში ნაჩალოვთან ყოფნის დროს მაქსიმიჩი გაეცნო პოლიტიკური დანაშაულისათვის საქართველოში გადმოსახლებულ ალექსანდრე კალიუჟნის. სწორედ ეს კალიუჟნი გახდა ის ადამიანი, რომელმაც მაქსიმიჩი პირველად დაარწმუნა მის დიდ შემოქმედებით ნიჭში. კალიუჟნიმ პირველად იგრძნო ალექსი მაქსიმიჩის დიდი ტალანტი, როცა იგი გულდასმით ისმენდა გორკის მიერ თავის ცხოვრებიდან მოყოლილ ამბებს. გორკიმაც იპოვა კალიუჟნის ფართო, მრავალ სულიერ თვისებებით შემკული ბუნება, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ დოქტრინიორობას და მეგობრულ სიგრილეს.

ამ ინტიმიური მეგობრობის შედეგი იყო მაქსიმიჩის გადაწყვეტილება—დაეწერა ერთი თავის მშვენიერი მოთხრობა (როცა ყურადღებას იპყრობდა ყოველთვის ამბების საუცხოვო მოყოლით და გადმოცემით).

ეს მოთხრობა იყო „მაკარ ჩუდრა“, რომელიც მალე იმავ კალიუჟნის დახმარებით დაიბეჭდა მაშინდელ გაზეთ „კავკაზ“-ში (№ 242. 1892 წ. 12 სექტემბერი).

მ. გორკის პირველი ჩამოსვლის დროს თბილისში—1891—92 წ.—ეს იყო დრო რეაქციის თარეშისა, რომელიც „ნაროდნაია ვოლიას“ დარბევის შემდეგ დადგა. მეფის თვითმპყრობელობა, რომელმაც სასტიკად გაუსწორა ანგარიში მის წინააღმდეგ წამოსულ მტერს, მძიმე ლოდით დააწვა რუსეთის საზოგადოებრივობას. რეაქცია თავისუფლათ დათარეშობდა რუსეთის იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეზე, როგორც ღამის ქარი სასაფლაოზე. რევოლიუციონური ინტელიგენცია მიწაზე გართხმული იყო. მუშათა ორგანიზაციული მოძრაობა ჯერ კიდევ დაწყებული არ ყოფილა.

მაგრამ რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ეს სამარის ლოდი, რომელიც თვითმპყრობელობამ დაადგა ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს,—ეს ძალები დასახიჩრებული და თითქმის სულთმობრძავი,—მაინც სცოცხლობდნენ, გროვდებოდნენ და იკრიბებოდნენ.

განსაკუთრებით ეს პროცესი ეტყობოდა ახალგაზრდობას, რომელიც ეძებდა გამოსავალს ამ დამპალ ჭაობიდან. სიცოცხლის მთელი ტემპი მაშინ ნახევრად მკვდარი, მიძინებული იყო. ცხოვრება მიმდინარეობდა როგორც ნელი, მღვრიე წყალი. ასეთ საზოგადოებრივ პოლიტიკურ გარემოებებში უხდებოდა ცხოვრება მოსწავლე ახალგაზრდობას. მეცნიერული ცოდნის წყურვილით გატაცებული ახალგაზრდობა ინსტინქტიურად მიისწრაფოდა უფრო მეტი განვითარებისა და გათვითცნობიერებისაკენ. რასაკვირველია, ამ მისწრაფებას გულგრილად არ უცქეროდა მეფის მთავრობა

კომუნა კრასნოგორის ქუჩაზე

მოაზროვნე ახალგაზრდების ყოველი შეხვედრა ერთი-მეორესთან ეჭვებს იწვევდა მათ შეკავშირებას. ახალგაზრდობა განსაკუთრებით გრძნობდა დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებას თვითგანვითარებისადმი. ეს გარემოება ხელს უწყობდა თვითგანვითარების წრეების მოწყობას.

ასეთი წრის დაარსების აზრი დაებადა მექანიკოს აფანასიევს, რობლინს და მოხეტიალე მაქსიმიჩს.

ავადმყოფ ჩიტაძის საწოლთან მორიგეობის დროს დამეგობრებულმა ახალგაზრდებმა გადასწყვიტეს დაექირავებიათ ერთი საერთო ბინა და მოეწყოთ იქ საერთო საცხოვრებელი „კომუნა“.

იმ ხანებში, როგორც მოსწავლე, ისე მუშური ახალგაზრდობა ხშირად აწყობდნენ ასეთ „კომუნებს“ 3—4—5 კაცის შემადგენლობით. „კომუნები“ ეწყობოდა, როგორც ეკონომიური ხასიათის მოსაზრებით, ისე კულტურული ხასიათის მისწრაფებით (ერთად მეცადინეობის მიზნით).

მალე,—1891 წლის დამლევს დამეგობრებულებმა [illegible] გამოძებნეს შესაფერი ბინა ქალაქის განაპირას—კრასნოგორის ქუჩაზე. ბინა შესდგებოდა ხუთი საკმაოთ ნათელი პალატისაგან და ნახევრად სარდაფში იყო მოთავსებული. აქ დასახლდა კომუნა და შეუდგა ცხოვრებას.

ხუთი პალატიდან, ერთი ყველაზე დიდი, დაეთმო მაქსიმიჩს. რობლინი და აფანასიევი მოთავსდნენ ერთად მეორე პალატაში, ხოლო მესამე დაიკავეს ამ სამეულთან შემოერთებულ სამიწათმზომლო სასწავლებლის მოწაფე სამეთმა და სემინარიელმა ბილანიშვილმა. დანარჩენ ოთახებში ერთხანს სცხოვრობდნენ სამასწავლებლო ინსტიტუტის მოწაფეები მაღლაშვილი და სერგო ვართანოვი. ასე დაარსდა კომუნა კრასნოგორის ქუჩაზე.

ექვსი წლის შემდეგ, როცა მაქსიმიჩი გახდა უკვე საქვეყნოთ ცნობილი მწერალი, მას მოუხდა პასუხისგება თბილისის ჟანდარმების წინაშე ამ კომუნაში ცხოვრებისათვის.

მალე კრასნოგორის კომუნის მცხოვრებლებმა გააბეს კავშირი ფედია აფანასიევის და მის ამხანაგ მემქანქე პეტრე იზიკოვსკის საშუალებით თბილისის სახელოსნოების ზოგიერთ მუშებთან და სამიწათმზომლო სასწავლებლის, სამასწავლებლო ინსტიტუტის მოწაფეებთან და სამეანო ინსტიტუტის მოწაფე ქალებთან.

კომუნის მუდმივ სტუმრებს შორის იყვნენ: ანდრო ლეჟავა, გადმოსახლებული მწერალი ვ. ბერვი, შიო ჩიტაძე და სხვები. კრასნოგორის კომუნის ხელმძღვანელობდა მაქსიმიჩი, ეს ბუნებრივიც იყო. თავის ხეტიალის დროს მას ბევრი რამ ენახა და განეცადა, ბევრი წაეკითხა და, აშკარაა, უფრო განვითარებული და გამოცდილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ვიდრე იმ ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც მას გარს ერტყა და რომელიც მასთან შედარებით პროვინციალურ იერს ატარებდა.

— ამას გარდა, მაქსიმიჩს ჰქონდა საკმაოდ მდიდარი „კომუნალური“ გამოცდილება, რადგან იგი ასეთ ცხოვრებას ეწეოდა ყაზანში, ნოვგოროდში და სხვაგან.

კომუნაში იმართებოდა ლიტერატურული საუბრები, დისპუტები, მოხსენებები, საღამოები სიმღერებით და ცეკვით. ამ ნახევრად სარდაფებში საღამოობით იკრიბებოდა 50 კაცზე მეტი. კომუნის მთელ არსებობაში იქ გატარდა და მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ. ახალგაზრდობა, რომელიც აქ იკრიბებოდა იყო უმთავრესად მოსწავლეების წრიდან და უფრო ნაკლებად მუშები. კომუნაში კითხულობდნენ და არჩევდნენ მეტ წილად ხალხოსნური ხასიათის წიგნებს, უმთავრესად, მხატვრულ ნაწარმოებ-ებს. არა იშვიათად, რასაკვირველია საუბარი შეეხებოდა სოციალურ-პოლიტიკურ თემებსაც. ამგვარად ეს დრო იყო დრო პოლიტიკური იდეების ჩასახვისა, და ეს იდეები სუსტი და გაურკვეველნი,—ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყვნენ სოციალურ პოლიტიკურ სისტემებად.

არავითარი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა კრასნოგორის წრეში არ წარმოებულა, ასეთი ამოცანა არც კი წამოჭრილა მაშინ წრის წინაშე, და თვით წრეც მიზნად არ ისახავდა მას. ძალიან პოლიტიკური ამოცანები დაიბადნენ ცოტა უფრო მოგვიანებით,—1894—96 წლებში, როცა მოეწყო პირველი მუშათა მარქსისტული ჯგუფები თბილისში. კრასნოგორის კომუნას მიზნად ჰქონდა მხოლოდ კულტურულ-განმანათლებლო მუშაობის წარმოება, რადგან ეს წლები იყო „პასიური რევოლიუციის“ დრო, როცა ოპოზიციონური და რევოლიუციონური ინტელიგენცია იკრიბებოდა ძალებს, იძენდა ცოდნას და [illegible] აქტივი. კრასნოგორის კომუნის ამოცანები რომ კულტურულ ფარგლებს არ სცილდებოდა, ამას ამოწმებს მაქსიმიჩის წერილი, რომელიც აღმოჩენილი იქნა შემდეგში ჟანდარმების მიერ გორკის ერთი ნაცნობის გაჩხრეკის დროს.

სამკითხველო მიხეილის პროსპექტზე

მაქსიმიჩის თბილისში ჩამოსვლის ცოტათი ადრე პროგრესიულ მასწავლებელ ქალების ერთმა ჯგუფმა ოლღა კაიდანოვას ხელმძღვანელობით თბილისში მოაწყო პირველი თავისუფალი წიგნთ-საცავ სამკითხველო (მიხეილის პროსპექტზე), ბიბლიოთეკის მიზანს შეადგენდა სამსახური გაეწია კრასნოგორის კომუნის მზგავს ახალგაზრდა ჯგუფებისათვის, და იმ მკითხველი მასისათვის, რომელიც მაშინ იზრდებოდა და თანდათან ძლიერდებოდა. ამ ბიბლიოთეკას დაუახლოვდა აგრეთვე კრასნოგორის კომუნა. თვით კომუნართა ამ სამკითხველოს მუდმივი საყვარელი სტუმრები იყვნენ. განსაკუთრებით დიდი ხალისით ატარებდა ამ სამკითხველოში დღეებს—წიგნების გადაცვლელი მკითხველი—მაქსიმიჩი. აქ, ამ სამკითხველოში ყველაზე უფრო ხშირად შეხვდებოდით მაქსიმიჩს წვიმიან ჩამობნელებულ დღეებში,—საღამოობით,—იმ დროს, როცა კომუნას ცივ ჩაბნელებულ ოთახებში ყინავდა, არც ისეთი თბილი განწყობილება იყო, როგორც სამკითხველოს დარბაზში.

ჩვენ ვიცით, რომ ხეტიალობის შემდეგაც წიგნების კითხვა მაქსიმიჩის დაუძლეველ წყურვილს შეადგენდა და სწორედ კითხვას მოახმარა ის დრო, რომელიც მან თბილისში გაატარა.

რა ერთფეროვანი და მოსაწყენიც არ უნდა ყოფილიყო მუშების ანგარიშგასწორებების საკანტორო უწყების შედგენა, ეს მუშაობა, მას აძლევდა ცოტაოდენ ხელფასს და არც ისეთი მომქანცველი და გამომფიტველი შრომა იყო, როგორც მტვირთავის და პურის მცხობელის შრომაა, რომელსაც ის თბილისში ჩამოსვლამდე ეწეოდა.

მოგონებები მაქსიმიჩზე მას გვიხატავენ, როგორც ამბების ცოცხალ, ნიჭიერ მთხრობელს, რომელიც მრავალ ამბებს ხატავდა მრავალი ფერადებით და წარმტაცი სახეებით. დიდი ხალისით გამოდიოდა იგი ასეთი მთხრობელის როლში კრასნოგორის ქუჩაზე. ახალგაზრდებს მისი მოსმენა უყვარდათ. და ისიც უყოყმანოთ იწყებდა წარმტაც ამბების მოყოლას, როგორც კი ამხანაგები სთხოვდნენ. ნაწილობრივ ამ გარემოებით უნდა აიხსნას, თუ რატომ გახდა მაქსიმიჩი ასეთი პოპულიარული იმ ახალგაზრდებს შორის, რომელნიც კომუნას სტუმრობდნენ.

როგორ დაიშალა კომუნა

აქვე, ამ კომუნაში მაქსიმიჩის ამბების მოსმენის გარდა სწარმოებდა კიდევ შექსპირისა და შილერის [illegible]

ამ დროს კომუნარების ერთ ჯგუფს დაებადა აზრი დაარსებინათ მოხეტიალე აქტიორების დასი, რომელიც მაქსიმიჩს უნდოდა ვოლგაზე წაეყვანა. ამ იდეით განსაკუთრებით გატაცებული იყო შიო ჩიტაძე, რომელიც უკვე სერიოზულად ემზადებოდა მომავალი მოხეტიალე ჯგუფის მსახიობობისათვის. შეიძლება, ეს განზრახვა კიდევ განხორციელებულიყო, რომ მალე არ დამდგარიყო კრასნოგორის კომუნის უკანასკნელი დღეები.

კომუნა კვდებოდა ბუნებრივი სიკვდილით. ახლოვდებოდა სამსწავლო წლის დასასრული,—ილეოდა მისი. დაამთავრა სემინარია ბილანიშვილმა და ემზადებოდა უნივერსიტეტში წასასვლელად. გაათავა თავისი კურსი სამეთმაც, რომელიც ამერიკაში წასვლას ფიქრობდა. კომუნაში მავალ მოწაფეების უმრავლესობა უკანასკნელი კლასის მოწაფეები იყვნენ. და ათავებდნენ სასწავლებლის კურსს. ზოგი მათგანი სამსახურში ეწყობოდა. ზოგი პროვინციაში მიდიოდა, ზოგი კიდევ სწავლის გასაგრძელებლად საუნივერსიტეტო ცენტრებში მიემგზავრებოდა.

ერთი სიტყვით, კრასნოგორის საფუძვლები ერყეოდა და თან და თან ეცლებოდა. რობლინიც მოშორდა კომუნას. მან სხვაგან იშოვა უკეთესი ოთახი. სადღაც ახალ ბინაზე გადადიოდა აგრეთვე აფანასიევი.

დადგა ივნისი, თბილისელებმა იწყეს დენა აგარაკებისაკენ. სწორედ ამ დროს, კალიუჟნიმ თავის სახლში ბინა შესთავაზა მაქსიმიჩს. მაქსიმიჩმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს მიპატიჟება, რადგან კალიუჟნი ძალიან იზიდავდა მას თავისი კეთილი მოპყრობით იშვიათი შეხვედრის დროს.

ასე დაიშალა კომუნა კრასნოგორის ქუჩაზე მაგრამ ბევრი მისი წევრისათვის და კომუნის მრავალ მოსიარულეებისათვის მის არსებობას უკვალოდ არ ჩაუვლია. პირველი მარქსისტული წრეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუძეს, რომელნიც 1894 წ. წარმოიშვენ ამ. კრასნოგორის კომუნაში ნამყოფი ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. ასე, მაგალითად, რობლინი გახდა პირველი საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი. ფედია აფანასიევს ჩვენ ვხედავთ 1894 წელში მოწყობილ იმ წრის ცენტრში, რომელმაც მიზნად მუშათა შორის მუშაობის გაჩაღებას ისახავდა და სხვ.

მაგრამ კრასნოგორის კომუნარებს მოულოდნელად კიდევ მოუხდათ ერთად თავის მოყრა, თუმცა სულ სხვა პირობებში. კომუნის დაშლიდან 6 წლის შემდეგ, ჩვენ მათ ვხედავთ ჟანდარმთა მიერ შედგენილ ოქმებში.

თვით მაქსიმიჩისათვის კალიუჟნის ბინაზე გადასვლა წარმოადგენდა მოვლენას, რომელმაც წარუშლელი ზღვარი გაავლო მის წინანდელ და შემდგომ დაწყებულ ცხოვრების შორის. სახელდობრ აქ მოხდა ის, რამაც მოხეტიალე მაქსიმიჩი მწერალ მაქსიმ გორკად აქცია,

ექვსი წლის შემდეგ 1898 წელს, როცა გორკის წინ გადაიშალა ფართო გზა სახელისა და დიდებისაკენ, როცა მისი მახსოვრობიდან თანდათან ქრებოდნენ კრასნოგორის კომუნაში გატარებული საღამოები და შეხვედრები, უცბად კომუნამ ისევ გაახსენა თავისთავი, გაახსენა სრულიად მოულოდნელად.

(დასასრული იქნება)

ე. კლეინ.

ქრონიკა

ალგეთის ლითოგრაფიული ქვის გამარჯვება

სამთო მრეწველობის ტრესტში მიღებულ ცნობით, უკანასკნელი დროს განმავლობაში პოლიგრაფიული მრეწველობის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ალგეთის ლითოგრაფიულ ქვაზე. საბჭოთა კავშირის ბაზრის მოთხოვნილება ლითოგრაფიულ ქვაზე 90 პროცენტით, ალგეთის ქვით კმაყოფილდება.

მთელი რიგი საექსპორტო ორგანიზაციები („ზაკგოსტორგი", „პრომექსპორტი" და „სოპოლტორგი") აგზავნიან მოთხოვნილებას ალგეთის ქვაზე. გერმანიაშიც კი, სადაც გავრცელებულია ზოლინგოფენის ლითოგრაფიული ქვა, ზოგიერთი პოლიგრაფიული წარმოებები ამჯობინებენ ალგეთის ქვას. ამ დღებში ალგეთის ქვაზე მოთხოვნილება მიიღეს ქალ. ლეიპციგიდან.

შრომის პირობების გაუმჯობესება

სოფლად არსებულ სამკურნალო-სასანიტარო და საბეითლო დაწესებულებებში მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები. აღნიშნულ ღონისძიებათა სისრულეში მოყვანის მიზნით, მიმდინარე წელს ჩატარებული იქნება სოფლის სამკურნალო-სასანიტარო და საბეითლო დაწესებულებათა შერჩევითი გამოკვლევა.

3.000 მან. ჯილდოთ საუკეთესო შრომისათვის

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მიიღო ცნობა საკავშირო კომუნისტური აკადემიიდან, რომ წელს გაცემული იქნება ამხ. ვლადიმიროვის სახელობის პრემია, სამი ათასი მანეთის რაოდენობით. აღნიშნული თანხა გაცემული იქნება საუკეთესო შრომისათვის საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავლის შესახებ.

დამზადებული შრომები გადაგზავნილ უნდა იქნეს საკავშირო კომუნ. აკადემიაში.

საგლეხო სესხი

8-დან-16 იანვრამდე საბჭოთა კავშირის ფინსახკომი დაგზავნის ადგილებზე ლიტერატურას მეოთხე საგლეხო სესხის შესახებ.

ლიტერატურის თავის დროზე გადასაზიდად, გზათა კომისარიატის მიერ ყველა რკინის გზებს მიცემული აქვთ წინადადება, ლიტერატურა გადაზიდონ პირველ რიგში.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟის წინ

გუშინ ბანკებში გაიზარდა მოთხოვნილება ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე. ყიდულობდენ უმთავრესად წვრილი პარტიებით. მარტო სახელმწიფო ბანკმა წვრილი პარტიობით გაყიდა 3.000 მანეთის ობლიგაციები.

პურის გადაზიდვა

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას მოაწყოს ჩრდილო-კავკასიის რკ. გზებიდან პურის ტვირთების შეუწყვეტელი გადაზიდვა. ამისათვის ა.-კ. რკ. გზას უფლება მიეცა გაადიდოს ტვირთების მიღების არსებული ნორმა.

საფტიაქო კურსები

დღეს თბილისში გაიხსნება აფთიაქის მოწაფეთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები. კურსებზე მეცადინეობის დასრულების შემდეგ, ჯანსახკომის დადგენილებით, აფთიაქის მოწაფეთა წოდება გაუქმდება.

სახ. წარმოება - დაწესებულებათა აღრიცხვა

მიმდინარე თვეში საქართველოს სტატისტიკის ც. სამართველო თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით ჩაატარებს საქართველოს სახ. წარმოება-დაწესებულებათა და მათში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის აღრიცხვას.

რევოლუციის მუზეუმი

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ მუშათა პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლელმა ც. კ. და სარევოლუციო მუზეუმმა დაასრულეს 1917 წ. დეკემბერში მოწვეულ ა.-კ. პროფკავშირების პირველი კონფერენციის სამუზეუმო მასალების შეკრება. შედგენილია ერთი პლაკატი, რომელიც ამ დღეებში გამოიფინება რევოლუციის მუზეუმში.

ამჟამად დაწყებულია 1919 წ. მოწვეულ სრ. საქართველოს პროფკავშირების პირველი ყრილობის სამუზეუმო მასალების შეკრება.

ძროხის ქონის შემოზიდვა

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობებით, საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა ამიერკავკასიისათვის შემოსაზიდ ძროხის ქონის რაოდენობა 60.000 ფუთით განისაზღვრა.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა, რათა შემოსაზიდ ქონის რაოდენობა ამიერ-კავკასიისათვის გადიდებულ იქნეს 75.000 ფუთამდე.

მუშათა ექსკურსიები სამხეცეში

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება შეუთანხმდა სამხეცე დირექციას სამხეცეში მუშათა ექსკურსიების მოწყობის შესახებ.

სამხეცეში ექსკურსიების მოწყობა შეიძლება დილის 8 საათიდან, ღამის 12 საათამდე. ექსკურსიის მონაწილეთა რიცხვი უნდა განისაზღვრებოდეს 20-დან-50 კაცამდე. გადასახადი თითო კაცზე დაწესებულია 35 კაპ. რაოდენობით. სამხეცე მოთავსებულია პლეხანოვის გამზირზე № 93.

ექსკურსიის მომწყობმა ორგანიზაციებმა განცხადება ამის შესახებ უნდა წარუდგინონ ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას 2—3 დღით ადრე ექსკურსიის მოწყობამდე.

მდინარეებზე ნაოსნობის მოსაწყობათ

მოსკოვიდან დაბრუნდა ამიერ-კავკ. ნავთსადგურების და შინა წყლებზე მიმოსვლის სამმართველოების უფროსის თანაშემწე ამხ. გრეკოვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ შინა წყლებზე მიმოსვლის ცენტრალურ სამმართველოს მიერ მდ. მტკვარზე ნაოსნობის მოსაწყობათ გადადებულია 90.000 მანეთი.

ამასთანავე მდ. რიონზე დამატებითი კვლევა-ძიებითი სამუშაოების საწარმოებლად გადადებულია 20.000 მანეთი.

საერთოდ ამიერ-კავკასიის მდინარეების ეკონომიურად გამოკვლევისათვის გადადებულია 2.000 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ წავკისის კოოპერატივს შენობის ასაგებად თბ. აღმასკომმა გადასცა 17000 მანეთი.

◆ თიანეთის ხე-ტყის ქარხანა გადაეცა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას.

◆ აბანოების მინერალური წყაროების გამოსაკვლევად და დასაცავად დაარსებული იქნა სპეციალური კომისია.

◆ ტრამვაის მუშათა კლუბის შესაკეთებლად აღმასკომმა გადასცა 12896 მან.

◆ მტკვარის მარჯვენა ნაპირის გასამაგრებლად აღმასკომმა გადასწყვიტა 214 მეტრის სიგრძეზე გააკეთოს ქვითკირი.

◆ გლეხკომების სამაზრო ყრილობის მოსაწვევ ხარჯების დასაფარავად გადაიდო 1297 მანეთი. ყრილობა შესდგება ახლო ხანში.

◆ საბჭოს მუშაობა. თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა გამოსცეს საბჭოს მუშაობის ანგარიში.

მიწსახკომში

◆ მესაქონლეობის კურსები. მიწსახკომმა წყალტუბოში გახსნა ორკვირიანი მესაქონლეობის კურსები.

◆ თუთის ხის გაშენება. გომის თემში 4 ჰექტარის სივრცეზე მიწსახკომმა გააშენა თუთის ხის სანერგე.

◆ სატყეო კულტურა. მიწსახკომმა შეადგინა საქართველოს ტყეებში კულტურული მეურნეობის წარმოების გეგმა, რომლის მიხედვით იწარმოებს ახალი ტყეების გაშენება და ძველი ტყეების დაცვა.

◆ „სასოფლო მეურნეობა". გამოვიდა მიწსახკომის ჟურნალი „სასოფლო მეურნეობა" № 5—6.

კრებები და მოხსენებები

◆ სამეცნიერო მუშაკთა კრება. 17 იანვარს, დღის 1 საათზე სახ. უნივერსიტეტის შენობაში შესდგება სამეცნიერო მუშაკთა საერთო კრება რესპუბლიკანურ კონფერენციაზე დელეგატების ასარჩევად.

◆ აკადემიკოს ვ. მ. ბეხტერევის ხსოვნის აღსანიშნავად 16 იანვარს, საღამოს 7 საათზე საქ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საფსიქოლოგიო საზოგადოების საგანგებო კრება. მოხსენებებს წაიკითხავენ: დოცენტ პროფ. ანფიმოვი, პროფ. მ. ასათიანი და პროფ. ხვ. უფლისიძე.

◆ თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი. ორშაბათს, 16 იანვარს, დილის 10 საათზე საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის შენობაში (ქალაუბნის ქ. № 7) დანიშნულია საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი. საბჭოს წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ სასოფლო-სამეურნეო ხაზ-ბაზში (ჯორჯიაშვილის ქ. № 5) დღეს, დილის 11 საათზე ამხ. ვ. ცაგარელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები საქართველოში".

◆ განათლების მუშაკთა სახლში ორშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 8 საათზე გ. გოგუაძე წაიკითხავს მოხსენებას: „საბჭოთა პედაგოგიკის ძირითადი პრინციპები".

ჩაუბარებელი დეპეშები

ჯულფიდან—რაიკოვს, სახერედან—მიროტაძეს, ქუთაისიდან—ავსაჯანიშვილს, ჭიათურიდან—მესამე ლეგიონს, ხონიდან ბერბიჭაშვილს, ახალციხიდან—გოლდეიტს, ბაქოდან—კონიაშვილს, სიღნაღიდან—სარქისოვს, ფაბრიჩინიდან—ლივეიჩს.

ფეხბურთი

„დინამო—ბ"—„დინამო—ა"

დღეს, 15 იანვარს, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება საინტერესო შეჯიბრი „დინამო-პიონერების" და „დინამო—მეორეს" შორის.

„დინამო—მეორემ" შემოდგომის სეზონის პირველობა აიღო პირველი კატეგორიის გუნდების შორის.

შეჯიბრი დაიწყება დღის 12 საათზე.

ჯილდოების დარიგება

დღეს, 15 იანვარს, დილის 11 საათზე ამიერკავკასიის ქვეითა ჯარის სკოლის შენობაში მოხდება ჯილდოების დარიგება იმ მსროლელთათვის რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს სასროლო შეჯიბრში.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი"-ს 1928 წლის 13 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ქონების ამორტიზაცია ადგილობრივ აღმასკომების მეურნეობაში", უკანასკნელ სვეტში მოყვანილი დებულების მე-2 მუხლი უნდა იყოს ასე: „ყველა საამორტიზაციო ანარიცხებიდან შესდგება ერთიანი საამორტიზაციო ფონდი, რომელიც იმყოფება ადგილობრივი აღმასკომის სრულ განკარგულებაში; გამონაკლისს შეადგენს წინასწარი სარეზერვო ანგარიშზე მყოფი წარმოებანი, რომელთა საამორტიზაციო ანარიცხები რჩება სულ მათ განკარგულებაში".

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„არწივთა აჯანყება"

ახალი ოპერა „არწივთა აჯანყება", რომელიც დიდის ყურადღებით მოვისმინეთ ა.-წ. იანვრის 13, მუსიკალურ მხრივ წარმოადგენს ფრიად საინტერესო შემოქმედებას. ვინაიდან ჩაითვლება იმ ახალ მიმართულების სერიოზულ ნიმუშად მუსიკაში, რომელიც ეძებს გზებს მუსიკალურ ზეგავლენის გასაფართოებლად და მის გადასატანად შეზღუდულ აკუსტიურ ნიადაგიდან საერთო ფსიქოლოგიურ ფართო ნიადაგზე. ამ მიმართულების აზრით, ყოველი შეგრძნება შესდგება მრავალ დამოუკიდებელ მოვლენათა შეფარდებისაგან ჩვენ ფსიქიკაში, ე. ი. წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დასკვნას კომპლექსიურ შეგრძნებიდან, რომელიც ყოვლად დამოუკიდებელია ამ კომპლექსში შესულ ცალკე მოვლენათა ხასიათისაგან, ზომიერებისაგან და სხვ. მხატვრული ინიციატივა ახასიათებს ამ ცალკე დამოუკიდებელ ნაწილებს ფსიქოლოგიური კომპლექსისას, დამოუკიდებელ ბგერათა საშუალებით, საბოლოო ტონალობა კი და ზომიერება (მუსიკალური ფორმა) ბგერათა კომპლექსისა უნდა დამუშავდეს მსმენელთა ფსიქიკაში.

ამ მიმართულების წარმომადგენლებს ახასიათებს კლასიკოსების მიერ დამუშავებულ მწყობრი ჰარმონიის და მუსიკალურ ზომიერების (ფორმის) მეტი თუ ნაკლები უარყოფა. თავისი შემოქმედების ხასიათით „არწივთა აჯანყების" ავტორი, პაშჩენკო, ეჭვს გარეშეა ეკუთვნის ზემოხსენებულ მიმართულების მემარცხენე ჯგუფს. რომელშიც დღეს შედიან ახალი კომპოზიტორები: კშენეკი, ოპპორეგერი, შენბერგი, მილო და სხვ.

თუ რამდენად მიზანშეწონილია და მეცნიერულად საფუძვლიანია ეს მიმართულება, ამას ჩვენ შევეხებით ცალკე წერილში. დღეს კი პაშჩენკოს ინდივიდუალური შემოქმედების შესახებ ვიტყვით შემდეგს: პაშჩენკო სერიოზული და განვითარებული მუსიკოსია. აღჭურვილი ფართო მუსიკალური განზრახვებით, მის შემოქმედებას ახასიათებს როგორც დიდი ცოდნა ინსტრუმენტალობისა, ისე დიდი გაბედულობაც ინსტრუმენტალობის სფეროში. მაგალითად,—მოხმარება ინსტრუმენტების სპილენძის ჯგუფისა (საყვირები, ვალტორნები და სხვა) უმაღლეს და ძნელ დიაპაზონში. შესანიშნავად სარგებლობს იგი ორკესტრის სხვადასხვა ჯგუფების ტემბრის (ელფერის) კონტრასტებით. მეტადრე შესავალში (უვერტიურა) და ოპერის მესამე მოქმედებაში, სადაც ჩელოების ნაზი ხმა შეზავებულია დასაკრავ ტუბის უდაბლო დიაპაზონთან და საკვირველი მელოდიური დახვეწილობით შეერთებული ხის ჯგუფთან (გობოი), ქმნის უსაზღვრო მინდორის შესანიშნავ შთაბეჭდილებას. ძალიან კარგად არის დამუშავებული მუსიკალური შინაარსი ხლოპუშას როლისა და საერთოთ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ გუნდები და მასიური სცენები.

მაგრამ ამასთან აღნიშნული უნდა იქნეს, რომ დინამიური განვითარება ოპერაში გამოიხატება უცნაურად: არ არის შეგნება მისი, რომ დინამიკა დამყარებულია არა უსაზღვრო ხმაურობაზე, არამედ კონტრასტებზე ძლიერ და სუსტ ხარისხოვან ადგილების შუა. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ, როდესაც ინსტრუმენტების სიმძლავრე მიზანშეუწონლად და თავიდანვე გამოყენებულია, კომპოზიტორი იძულებულია დინამიკის გაზრდის ასანიშნავად მიმართოს დალაბანდებს, სპილენძის თეფშებს, აღმასრულებელთა ყვირილს და საერთოდ ყველა ფრიად გამაძღარ მაურებელს, მაგრამ არა მუსიკალურ საშუალებებს. მეორე ნაკლი გამოიხატება მუსიკალურ თემების სიღარიბეში და მელოდიკის უცნაურობასა და უხამობაში. გამოურკვეველია, გამომდინარეობენ ეს გარემოებანი ავტორის მუსიკალურ მიმართულებიდან, თუ პირად ნიჭიდან.

მომღერლებისათვის ფრიად ძნელად არის დამუშავებული ოპერის ვოკალური მხარე: ყველა სასიმღერო პათეტიური ადგილები თავიდანვე იწყებიან ხმის უმაღლეს დიაპაზონში და მომღერალს არა აქვს არავითარი საშუალება არც ხმის გაფართოებისა, არც მუსიკალურ გემოვნების გამოჩენისა. სრულიად დამახასიათებლად ჩაითვლება შინაარსი მე-2 და მე-3 მოქმედებაში, ხოლო არ არის დამახასიათებელი პროლოგი, რომელიც უნდა იყოს მთელი მუსიკალური განვითარების დამახასიათებელი. და პირველ მოქმედებაში, სადაც სრულიად არ არის გამოხატული ეპოქური დედოფლის დროისებური ფუფუნება და მედიდურობა.

მიუხედავათ ვოკალურ მხარის სიძნელისა, მენხიაშვილმა თავი იჩინა პუგაჩოვის სცენიური როლის შესანიშნავი შესრულებით, მე-3 და მე-4 მოქმედებებში კი სრულიად გაიტაცა მაყურებლის ყურთა სმენა. ძალიან კარგი და ტიპიური იყო აგრანოვსკი ხლოპუშას როლში. მშვენივრად ჩაატარეს თავისი როლები ხლოვინსკაიამ (ლიზა) და პანტელეევამ (უსტინია). გრეჩინოვის მიერ ამ ოპერის დადგმაში, ფრიად აღსანიშნავია დადგმა მე-2 მოქმედებისა—პუგაჩოვის მეომართა საოცარი და თავშეუკავებელი ქეიფი ცეკვითური, რომელიც სტოვებს ძლიერ შთაბეჭდილებას.

აღსანიშნავად ლოტბარობდა ოპერას ნიჭიერი ა. მელიქ-ფაშაევი: მიუხედავათ იმისა, რომ ოპერის სტრუქტურა წარმოადგენს ლოტბარისათვის დიდ სიძნელეს, მელიქ-ფაშაევმა ნათლად დაგვიმტკიცა როგორც თავისი სრული მომზადება, ისე მხატვრული ერუდიცია.

ბიგორი.

თეატრები თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრაში არსებობს 32 სახალხო თეატრი (სოფლისა და თემის).

ხსენებულ სასოფლო თეატრთაგან განსაკუთრებით კარგად მუშაობს საგარეჯოს თეატრი. დრამატიული წრე ჩამოყალიბებულია ადგილობრივ ძალებისაგან. რეპერტუარი შერჩეულია სოფლის ცხოვრების ამსახველი პიესებიდან. გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს თეატრისადმი. თემის პოლიტგანის საბჭომ შარშან საგარეჯოს თეატრს გადაუხადა მისი არსებობის 50 წლის იუბილე. ამ გარემოებამ უფრო გამოაცოცხლა დრამატიულ წრის მუშაობა. ყოველკვირეულად იდგმებოდა წარმოდგენები. იმართებოდა საღამოები და საჯარო ლიტერატურული გასამართლებები.

გასული წლის განმავლობაში საგარეჯოს თეატრის დრამწრემ დადგა 43 წარმოდგენა. შემოსავლის ნაწილი მოხმარდა თეატრის საჭიროებას, ნაწილი კი სხვადასხვა ორგანიზაციებს (პიონერებს, რემესებს და ღარიბ მოწაფეებს დახმარების სახით).

საერთოდ, სათეატრო მუშაობა მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. ზოგიერთ სოფლებში —მარტყოფში, ნორიოში, ყარაიაზში, წავკისში, თელეთში და სხ. თვით გლეხები კისრულობენ თეატრის მოწყობისათვის საჭირო ხარჯებს.

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს კოლექტივი ამზადებს და 25 იანვარს დასდგამს ა. სვანიძის „შეთქმულებს"; დადგმა რეჟ. დავით კობახიძის.

შემდგომ პრემიერად წავა ახალი ორიგინალური დრამა: „ალმასხლები". რომლის დასადგმელად სწარმოებს წინასწარი მუშაობა.

ქართველი მომღერალი ქალი ვენაში

ვენის ერთ-ერთ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს ქართველი ქალი თინათინ გოცირიძე. ამას წინად მას მონაწილეობა მიუღია ვენის საოპერო თეატრში გამართულ კონცერტში. ამ კონცერტის და კერძოთ მისი გამოსვლის შესახებ შემდეგს სწერს ვენის თეატრალურ-მუსიკალური ჟურნალი „სცენა" (1927 წ. 10 ნოემბერი, № 157, წერილი „ამომავალი ვარსკვლავები"):

„ახალგაზრდა მომღერალ ქალთა შორის ყურადღება მიიპყრო კავკასიურ ტიპის შავგრემანმა ქალმა. როგორც ჩანს იგი ახლა იწყებს მომღერლის კარიერას. მას აქვს მშვენიერი კოლორატურული ხმა. ვენაში ჩამოსვლამდე იგი სწავლობდა თავის სამშობლოში. ვენაში ჩამოვიდა მუსიკალური განათლების მიღების მიზნით. მისი გვარი—თინათინ გოცირიძე დღის დღეობით უცნობია საზოგადოებისათვის. მისი ხმის იშვიათი ღირსება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მისი სახელი შეიძლება ისე ცნობილი იქნეს, როგორც რაბინდრანატ თაგორისა".

დისკუსია კინო - სურათზე — „კანონის მიხედვით".

რეჟ. კულეშოვის მიერ დადგმულ კინო-სურათ „კანონის მიხედვით"-ის საჯარო განხილვამ დამსწრეთა შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაყურებელთა ნაწილი სურათს სრულიად მოეწონებოდა და მოითხოვდა მის მოხსნას, ნაწილი კი იცავდა მას. ამის გამო, საქართ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს უფრო ვრცელი დისკუსია ხსენებულ კინო-სურათზე. დისკუსია შესდგება ტრამვაის მუშათა კლუბში—ორშაბათს, 16 იანვარს.

ხელოვნების ქრონიკა

„მხიარული ნიანგი"

თბილისში დაარსდა მინიატიურის და ესტრადის ახალი თეატრი „მხიარული ნიანგი"-ს სახელწოდებით. თეატრი მოთავსებულია ყოფ. მუსიკ-ჰოლის შენობაში.

თეატრის დასი შედგარია ყოფ. თემინაურის და ლენინგრადის თეატრის „ლ. ლაურა"-ს მსახიობებისაგან. თეატრის ხელმძღვანელია ლენინგრადის საესტრადო მსახიობი ვლ. ლენსკი.

— კონსერვატორიის დარბაზში დღეს გაიმართება ვერა დუხოვსკაიას და ბიხტერის მეორე კონცერტი.

— „გარდატეხა", მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება პრემიერა „გარდატეხა".

— ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო ბათომში გამოცემული ახალგაზრდა პროლეტ. მწერალის ვ. მახარაძის წიგნი „იოლდაში".

სასამართლო

ა. პოპოვის საქმე

— ეს ქალი რაღაც ძალიან შემოჩვეია ჩვენს პოპოვს... საქმე ისაა, რომ ანდრიო განსაკუთრებულ თავაზიანობას მაინც და მაინც არ იჩენს სხვა მუშტრებისადმი, ხოლო როგორც კი ეს ქალი ჩვენ წარუდგენს, ჯვარასავით დატრიალდება და თვალის დახამხამებაში კოხტად შეხვეულ საქონელს ღიმილით მიაწვდის ხოლმე. აქ რაღაც ამბავია,—ლაპარაკობდა წითელ დროშოსანი არმიის კოოპერატიული მაღაზიის (№ 1) ერთ-ერთი ნოქარი სხვა თანამშრომლის გასაგონად.

— კაცო, თქვენ ხუმრობთ და აქ მე ეჭვი მებადება... ხომ არაფერს „აცოლებს ხელს" ჩვენი პოპოვი... კომბში ეტყობა, რაღაც ორიდი ყალთაბანდი კაცი უნდა იყოს, ჩაილაპარაკა კონტროლიორმა.

გავიდა ცოტა ხანი და უცნობი ქალი კვლავ შევიდა კოოპერატივში და ისევ პოპოვისკენ გაეშურა. პოპოვმაც მაშინვე გაუხსნა საქონელი და ქალი გაისტუმრა.

— თანამშრომლებმა ქალს თვალი გააყოლეს და გაკვირვებული დარჩნენ, როცა ქალმა კარის მიახლოვებისას ფეხის ნაბიჯს აუჩქარა.

— აქ „რაღაც ამბავია",—კვლავ ჩაილაპარაკა იმავე ნოქარმა.

— მე თქვენ დაგანახვებთ, რა ამბავიც არის აქ.., კიდევ მოვა ის ქალი და ვნახოთ.. ერთი კონტროლი თუ არ გაუკეთე, ისე ვერ მოვისვენებ, — გაიფიქრა თავისთვის კონტროლიორმა.

მეორე თუ მესამე დღეს ქალი ისევ ესტუმრა კოოპერატივს.

ქალმა მისცა ორი ჩეკი: ერთი — 2 მანეთიანი და მეორე 16 კაპიკიანი და ორივე ჩეკი გადასცა ნოქარს—ანდრია პოპოვს.

უკანასკნელმაც ავტომატიური სისწრაფით შეხვეული საქონელი ხელში მისცა ქალს. ქალი გაექანა კარებისაკენ.

— მოითმინეთ, ხომ არაფერი დაგავიწყდათ ან ხომ არაფერი დაგაკლოთ ნოქარმა სიჩქარის გამო,—აჩერებს ქალს კონტროლიორი.

ქალს ფერი ეცვალა.

კონტროლიორმა დინჯათ გახსნა შეკვრა. მოატანინა პოპოვს ჩეკი, რომლითაც საქონელი იყო გაცემული. საბაკალეიო განყოფილებიდან 16 კაპეიკიანი ჩეკით გაცემული აღმოჩნდა 8 მანეთის საქონელი.

— კიდევ კარგი, რომ გასინჯეთ თორემ ხომ დავიღუპებოდით არეული მაქვს ქალა ამდენი მუშტრებისაგან, — დაასწრო პოპოვმა, ვითომ არაფერიო და განაგრძო მუშაობა.

კონტროლიორმა გამოუძახა მილიციელს, მილიციელმა დააპატიმრა ანდრია პოპოვიც და მისი ხშირი მუშტარი მანდილოსანიც, რომელიც აღმოჩნდა სოფიო კავალიოვა.

გამომძიებელთან პოპოვმა ილაპარაკა თავისი „შეცდომებზე".

— მართალია ქურდულად გაგვქონდა კოოპერატივიდან საქონელი, მაგრამ სულ ხუთჯერ თუ ექვსჯერ ჰქონდა ადგილი ასეთ შემთხვევას, მეტი რომ მომაწერონ უსამართლობა იქნება, — სთქვა პოპოვმა.

დაინიშნა რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა 3.218 მანეთი — დანაკლისი, რომელიც თანასწორად გაუყვიათ ანდრია პოპოვს და სოფიო კავალიოვას.

საქმე გუშინ გაარჩია სამაზრო სასამართლომ. პოპოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, კავალიოვას — 3 წლით.

ამნისტიის ძალით მსჯავრდადებულთ სასჯელი გაუნახევრდათ.

დავა შვილების შესახებ

— 11 წელი ვიცხოვრე ჩემს ქმართან. ამ თერთმეტი წლის განმავლობაში ჩემი ქმარი ფხიზელი არ მინახავს. მუდამ დღე მთვრალი მოდიოდა და მაყენებდა შეურაცხყოფას. ვიტანდი ყოველგვარ დამცირებას, მაგრამ როცა ქმრის გონს მოსვლას იმედი არ დაადგა, გავშორდი. თუმცა შორს არ წავსულვარ, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება იქვე გვერდით მეორე ოთახში. ერთ ოთახში ის ცხოვრობს, მეორეში მე. ჩვენ გვყავს სამი ვაჟი: ერთი — 10 წლის, მეორე — 8 წლის და მესამე — 2 წლის. სულ სამი თვეა, რაც ქმარს მოვცილდი და წამოვიყვანე ჩემთან ბავშვები.

ქმარმა ძალით წამართვა უფროსი შვილები და გადაიყვანა თავის ოთახში. „დედა თქვენი მოკვდა, მისიანი თუ ვინმე დაინახოთ, ჯოხით გამოკიდეთო", — ეუბნება შვილებს.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ბავშვების მდგომარეობას და იხსნათ ისინი ლოთი მამის გამხრწნელ გავლენისაგან. მომვლელი ბავშვებს არავინ ჰყავს. თვითონ წავა და მთელი დღე სახლში არ არის. ღამე მოვა ღვინით გალეშილი და უყვირის ბავშვებს.

ასეთი თხოვნით მიმართა ბარბალე მჭედლიშვილმა მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებას.

განყოფილებამ გაგზავნა წარმომადგენელი საქმის გამოსარკვევად.

გამოირკვა, რომ **ვლადიმერ მჭედლიშვილი**, მართლაც ღვინის სმის მეტს არაფერს აკეთებს. ბავშვები მიტოვებულია უპატრონოდ.

მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებამ საჭიროდ სცნო ბავშვების გადაყვანა დედასთან, ან საბავშვო ბაღში, სანამ სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას.

დედამ სასამართლოსაც მიმართა ასეთივე განცხადებით.

მანამდე მცირეწლოვანთა დაცვის განყოფილებამ საჭიროდ სცნო საქმის ასე მოგვარება: ბავშვები ღამე იძინებენ დედასთან, ხოლო დღისით მამის ოთახში გადადიან.

საქმის გარჩევა დაიწყო გუშინ თბილისის პირველი უბნის სასამართლოში.

დედა მოითხოვს ბავშვების მისთვის მიკუთვნებას, სარჩოს მიცემას თვიურად 90 მანეთის რაოდენობით და ამისათვის ყადაღის დადებას მჭედლიშვილის საკუთარი სახლის შემოსავალზე. ქალი უმთავრესად ქმრის ლოთობაზე სჩივის.

— უკაცრავად, მე ლოთი არ გახლავარ! ღვინოს მართალია ვსვამ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადმე ქეიფში მოვხვდი,- განმარტავს ვლადიმერ მჭედლიშვილი და ითხოვს დამატებითი მოწმეების გამოძახებას.

სასამართლომ საქმის გარჩევა გადასდო დამატებითი მოწმეების გამოძახებამდე. საქმის გარჩევა განახლდება 25 იანვარს.

მანამდე ყადაღა აქვს დადებული მჭედლიშვილის სახლის შემოსავალს.

ვერ.

ტყის გაშენება თბილისის გარშემო

15 წლის შემდეგ თბილისი ტყეში მოექცევა

თბილისის აღმასკომმა თბილისის გარშემო ტყეების გაშენება დაიწყო 1922 წლიდან. დღემდე დამუშავებული და შემოკავებული იქნა 250 დესეტინა მიწა სოლოლაკის ხევიდან კუსტბამდე ფუნიკულიორის მიდამოების გადაღმით. 250 დესეტინიდან უკვე დათესილია 150 დესეტინა მიწა. მთაწმინდის კალთებზე ტყე უკვე ამოსულია.

ამას გარდა ტყის გასაშენებლად დამუშავებული და დათესილი იქნა სუნეების ხევის არეში 150 დესეტინა მიწა.

აღნიშნულ ადგილებში უმთავრესად დათესილია მუხის, იფნის, ჰერამის, შავი რცხილის, აკაკის, ღვიის, თრიმლის, თუთობის და ელდარის ფიჭვის თესლები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ელდარის ფიჭვის გაშენებას, ვინაიდან ელდარის ფიჭვი ხიადავს ყველა ჯიშის ხეზე უფრო ამაგრებს და ამავე დროს მოსპობს გაზზე დამდგარი.

ამჟამად ელდარის ფიჭვის ტყე დარჩენილია მარტო ელდარის მიდამოებში, სადაც ტყის სივრცე შეადგენს 30 დესეტინას. მსოფლიოში დიდი ხანია ამ ჯიშის ხე მოისპო.

წელს ტყის გაშენება დაიწყება მტკვრის მარჯვენა მხარის მიდამოებზე და ავლაბრის რაიონში. სატყეო სექციის გეგმით გაიზრახება ორის 5-10 წლის განმავლობაში თბილისის მიდამოებში ტყე გაშენებული იქნას 1000 დესეტინამდე, რაც სავსებით საკმარისი იქნება, რომ ქალაქი ტყეში მოექცეს.

თბილისის გარშემო ტყეების გასაშენებლად სულ დაიხარჯება 300.000 მანეთი. დღემდე დახარჯულია 100.000 მანეთი.

სატყეო სექციის აზრით 15 წლის შემდეგ ქალაქის გარშემო მდებარე მიდამოები სავსებით დაფარული იქნება ტყით.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ საღამოს იოდით თავი მოიწამლა ილარიონ ალექსანდრეს ძე ნინოშვილმა (ბელინსკის ქ. № 9).

მოქ. ნინოშვილი სიკვდილს გადაარჩინეს; თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

აფერისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტი გიორგი გრიგოლის ძე ხელაშვილი.

სადურგლო სახელოსნოს გაქურდვა

გუშინ დღისით გაქურდეს სადურგლო სახელოსნო (ს. ორჯონიკიძის ქ. № 85). წაიღეს 60 მანეთის ხელსაწყოები.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი საოჯახო ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 12.

თვითმკვლელობა

გუშინ დილით სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა სამკერვალო სახელოსნოში (ბრძანებლის ხიდი № 4) იპოვეს რევოლვერის ტყვიით მოკლული ალექსანდრე დავითის ძე ჯანყარაშვილის გვამი.

სახელოსნოში ნახეს ნაგანის სისტემის რევოლვერი, რომლიდანაც ერთი ტყვია გასროლილი იყო.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობა

ქუთაისში შესდგა ლტოლვილ მთიელ ებრაელთა კრება, რომელმაც მოისმინა შაულოვის, კავკასკის და სხვების მოხსენება მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის შესახებ; კრებამ დროულად სცნო მიწის ნაკვეთების გამოყოფა მშრომელ ებრაელთათვის და აუცილებლად აღიარა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების („ოზეტ") განყოფილების დაარსება ქუთაისში.

ამ მიზნით გამოყოფილი იქნა საინიციატივო ბიურო, რომელშიაც შევიდნენ: ხადანაიტოვი, აშირი, შაულოვი ემანუელი, პაშა კავკასკი (ხოლანიაშვილი), შაგაევი, ხანუხოვი და მიხეილ-პეისახოვი.

საინიციატივო ბიურომ დაიწყო მუშაობა საორგანიზაციო მუშაობას „ოზეტ"-ის განყოფილების დასაარსებლად ქუთაისში.

„ოზეტ"-ის ქუთაისის განყოფილების ჩამოსაყალიბებლად და საქართველოს „ოზეტ"-ის ცენტრალურ გამგეობის რეგისტრაციაში გასატარებლად კრებამ გამოჰყო პაშა კავკასკი და ეფრემ პეისახოვი, რომლებსაც დაევალათ ამ მუშაობის ჩატარება თბილისში.

სახ. უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის 10 წლის თავისათვის

სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად გადასწყვიტა დაბეჭდოს საიუბილეო კრებული ქართულ და რუსულ ენაზე, ხოლო საერთო მიმოხილვის მოკლე შინაარსი გადაითარგმნება ფრანგულ, გერმანულ, თათრულ და სომხურ ენებზე. საიუბილეო კრებულში მოთავსებული იქნება სახ. უნივერსიტეტის გამგეობის, უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის, გარდაცვალებულ პროფესორების, მეცნიერულ თანამშრომლების ჯგუფების (ფაკულტეტობრივ) სტუდენტთა აღმასბიუროს და უნივერსიტეტის ყველა შენობების სურათები.

იუბილესთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა მიმართა განათლების სახალხო კომისარიატს, რათა დაჩქარებულ იქნას პროფ. პ. მელიქიშვილის ძეგლის დადგმა უნივერსიტეტში.

სტუდენტთა ჩასახლება ახალ ბინებში

სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიურომ ყოფ. სემინარიის შენობაში ჩაასახლა 120 უბინაო სტუდენტი. ამ მოკლე ხანში აღმასბიუროს განზრახული აქვს ჩაასახლოს ახალ ბინებში კიდევ რამოდენიმე უბინაო სტუდენტი.

კავშირი სომხეთთან

სომხეთის უნივერსიტეტთან მტკიცე კავშირის დასამყარებლად სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა მოაწყოს მოხსენებები ერევნის უნივერსიტეტში თბილისის უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ და მოიწვიოს მომხსენებლები ერევნიდან სომხეთის უნივერსიტეტზე მოხსენებების გასაკეთებლად.

რკინის გზებზე

თბილისის დეპოს მუშაობის გასაუმჯობესებლად

ამ.-კავკ. რკ. გზ. პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტთან არსებობს სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს თბილისის დეპოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კომისიამ წინასწარ გამოიკვლია დეპოს მუშაობა. გამოკვლევის დროს აღნიშნულია მთელი რიგი მიღწევები. დეპოს შემდგომი მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, კომისიამ საჭიროდ სცნო დეპოში ახალ ლიანდაგების დაგება და ჩიხების გაგრძელება. ამ მიზნისათვის გადატანილ უნდა იქნეს ცეცხლის მქრობელთა რაზმის შენობა ახალ ადგილზე.

დეპოში ორთქლმავლების გაჩერების შესამცირებლად, უკანასკნელების მიერ წყალის აღება უნდა სწარმოებდეს რამოდენიმე ადგილას. კომისიამ საჭიროდ სცნო მეორე გიდრავლიური კოლონის მოწყობა და სახარგო ბაქანთან წინად არსებულ გიდრავლიურ კოლონის აღდგენა.

კომისიის მიერ შემუშავებულია პრაქტიკული ზომები დეპოს მუშათა შორის დისციპლინის ასამაღლებლად.

ახალი მარშრუტი

გზათა კომისარიატის წინადადებით ჩრდილო-კავკასიის რკინის გზები ა.-კ. რკინის გზებს გადასცემენ ერთ სამარშრუტო მატარებელს, რომელიც შესდგება 30 ამერიკულ დიდ ცისტერნებისაგან. ცისტერნები მოწყობილია ავტომატიურ მუხრუჭებით.

თანამდებობათა გადასინჯვა

ა.-კ. რკ. გზებზე დაწყებულია მუშაობა თანამდებობათა გადასინჯვისათვის. ამ მუშაობის მიზანია ტეხნიკურ ძალთა ჩაბმა ტრანსპორტის მუშაობაში.

ჭადრაკი

თბილისის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მთავარი ყურადღება მესამე ტურში მიიპყრო პარტიამ ებრალიძე—საროკინი. (ფრანგული).

საროკინმა ფრანგული დაცვის წინააღმდეგ აირჩია თანამედროვე ვარიანტი, შუა თამაშში მოუგო ხარისხი და გადაიყვანა პარტია გაცვლის საშუალებით თამაშის უკანასკნელ სტადიაში, შემდეგ საროკინმა მიზანშეწონილად უკანვე შესწირა ხარისხი, რის შემდეგ პარტია ყაიმით უნდა გათავებულიყო, მაგრამ ებრალიძემ თავის მხრივ ვერ შეამჩნია თამაშის სწორი გაგრძელების საშუალება, რითაც მისცა საროკინს შესაძლებლობა გაეყვანა თავის პაიკი ლაზიერად. მიუხედავად ამისა საროკინმა ვერ შეამჩნია მოპირდაპირის მიერ დაგებული მახე და იძულებული შეიქმნა გაეკეთებია პატი (ყაიმი).

კასპარიანი—გოგლიძე (პოლანდიური პარტია) გოგლიძემ დებიუტშივე დაუშვა შეცდომით სვლა ლაზიერით, რომელიც კარგად გამოიყენა მოპირდაპირემ და მე-18-ე სვლაზე მოუგო ხარისხი.

კასპარიანმა სწორი თამაშით არ მისცა შავებს არავითარი შანსები და მოიგო პარტია.

მარტიროსოვ - კარლინსკი (ლაზიერების პაიკების დებიუტი) მარტიროსოვმა დებიუტში მიიღო უპირატესობა მდგომარეობაში, ამის შემდეგ დაპირა ღრმა კომბინაცია და უყურადღებობის გამო დაკარგა მხედარი. შავებისათვის ზედმეტი ფიგურით მოგება არ წარმოადგენდა არავითარ სიძნელეს.

ტალეაკო-დანილოვი (კარო-კანის დასაწყისი)

დანილოვმა დებიუტშივე მოისურვა თავისებურობა და გააკეთა როქი ლაზიერის მხარისაკენ (უკეთ რომ ვსთქვათ, წაგების მხრისაკენ), მოყვა საშამათო იერიშში და მე-25 სვლაზე დანებდა.

მალუნცევ-ტარაიან (სიცილიური თამაში)

ხანგრძლივი თამაშის შემდეგ, როდესაც პარტია გადავიდა ენდშპილში, ტარაიანმა შესთავაზა მალუნცევს ყაიმი, რაზედაც უკანასკნელმა უარი განაცხადა, მაგრამ რამოდენიმე სვლის შემდეგ ეს უარი სანანებლად გაუხდა, რადგან დაკარგა მხედარი და წააგო პარტია.

აღსანიშნავია ამ ტურნირში მოუფიქრებელი სვლების ხშირი შემთხვევა. ეს აიხსნება იმით, რომ მონაწილენი არ არიან ჯეროვნად წინასწარ ნავარჯიშები.

ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს საჭადრაკო სექციამ და უფრო ხშირად მოაწყოს პირველი კატეგორიის შეჯიბრებები.

მდგომარეობა მესამე ტურის შემდეგ: ტალეაკო+3, მარტიროსოვი, ებრალიძე, კასპარიანი+2, გოგლიძე, ტარაიანი, კარლინსკი+1, საროკინი+½, დანილოვი+0.

შემდეგი ტური დანიშნულია სამშაბათისათვის.

ვ. გოგლიძე.

ორშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე
მუშათა თეატრში (ჟორესის ქ.) შესდგება
თბ. მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების
საბჭოს მეთექვსმეტე პლენუმი
სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად.
დღის წესრიგი:
1. სახალხო განათლების მუშაობის ანგარიში.
2. მიმდინარე საკითხები.
ნ. 483 თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

მეცნიერება და ტეხნიკა

შაბიამანის წარმოება

შაბიამანი, რომელსაც ჩვეულებრივათ ვენახის წამლად ხმარობენ, გოგირდმჟავა სპილენძია. ის შესდგება 40 პროცენტი სპილენძისაგან, 20 პროცენტი გოგირდისაგან და 40 პროცენტი მჟავბადისაგან. ასეთია წმინდა გოგირდმჟავა სპილენძი. ჩვეულებრივ შაბიამანს თან ახლავს წყალი. თვითეულ მოლეკულა გოგირდმჟავა სპილენძს უწევს ხუთი მოლეკულა წყალი წონით რომ შევადაროთ წყალის რაოდენობა 36 პროცენტი გამოვა. შაბიამანი რომ ნელ-ნელა გავათბოთ, ისე რომ ტემპერატურა ორას გრადუსამდე ავიყვანოთ, ის წყალს დაკარგავს. ამავე დროს ლურჯი ფერი თეთრ ფერად შეიცვლება. განელების დროს თუ წყალს მოვაშორებთ თეთრი ფერი დარჩება. წყალი თუ დავასხით, მაშინვე თეთრი ფერი ლურჯათ შეიცვლება. აქედან ცხადია, რომ უწყლო თეთრი შაბიამნის საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ, რაიმე ნივთიერებას წყალი ურევია თუ არა. ამ გზას მიმართავენ ხოლმე მაგალითად როცა უნდათ გაიგონ წმინდა სპირტს წყალი ურევია თუ არა.

სპილენძის რაოდენობა ჩვეულებრივ შაბიამანში ოცდახუთ პროცენტს უდრის. უკეთ რომ ვსთქვათ ერთი ფუთი წმინდა სპილენძი ოთხ ფუთ შაბიამანს მოგვცემს.

შაბიამნის მისაღებათ წვრილათ დაჭრილ სპილენძს მაგარ (კონცენტრიულ) გოგირდმჟავაში აცხელებენ ამ გზით მიღებულ გოგირდმჟავა სპილენძს წყალში „აკრისტალებენ". ეს მეთოდი ძვირია. წარმოების დროს ნაწილი გოგირდის მჟავისა იკარგება. შედარებით უფრო ხელსაყრელია, განზავებულ 50 პროცენტიან გოგირდის მჟავაში სპილენძის გახსნა. მაგრამ საერთოდ უკვე მზა სპილენძის შაბიამნათ გადამუშავება იშვიათად არის ხელსაყრელი. ჯერ სპილენძის მადანი სპილენძათ უნდა გადაამუშაონ, შემდეგ აქედან გოგირდმჟავა სპილენძი მიიღონ. უმჯობესია თვით სპილენძის მადნის გადამუშავება უშუალოთ შაბიამნათ. [illegible] ასეც ხდება.

[illegible], რა თქმა უნდა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მადანთან გვაქვს საქმე. მეორეს მხრით, მადანს ბევრი გარეშე არა სასურველი ნივთიერებანი ურევია: რკინა, სილა, თიხა, მიშიაკი და სხვ.

ხანდახან თითონ გოგირდმჟავა სპილენძი მოიპოვება ხოლმე მადნის სახით. მისი გადამუშავება ადვილი საქმეა. მას გახსნიან თბილ (განზავებულ) გოგირდის მჟავაში და დაკრისტალებენ ხოლმე. დაკრისტალების პროცესი შემდეგში გამოიხატება: გოგირდმჟავა სპილენძი (ისე როგორც ბევრი სხვა ნივთიერებანი) ადვილათ იხსნება ცხელ წყალში როდესაც ხსნარი განელდება. გამოიყოფა შაბიამნის კრისტალები. ხდება დაკრისტალება. შემდეგ ამ კრისტალებს გაწურვის (გაფილტვრის) საშუალებით წყალს მოაცილებენ და მზა პროდუქტს მიიღებენ.

უფრო რთულია წარმოების საქმე, როდესაც სპილენძის მადანი გოგირდიან ან სპილენძის ჟანგის სახით მოიპოვება. ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში ჯერ მადანს ღუმელებში გაახურებენ ხოლმე. სპილენძის მადანი სპილენძის ჟანგათ იქცევა, მიშიაკი დაიწვის და აორთქლდება, რკინა იქცევა რკინის ჟანგათ. სპილენძის ჟანგი ადვილათ იხსნება თბილ გოგირდის მჟავაში. გამომწვარი რკინის ჟანგი კი არ იხსნება. არ იხსნება აგრეთვე სილა და გამომწვარი თიხა. ამრიგათ წმინდა გოგირდმჟავა სპილენძის (შაბიამნის) მიღება შეიძლება.

თვით სპილენძის გადამუშავების პროცესის დროს რჩება ხოლმე „შლაკი" და სპილენძის ჟანგი. ესენიც გოგირდმჟავა სპილენძათ გადამუშავდებიან ხოლმე.

საქართველოში ცოტათ თუ ბევრად შესწავლილი სპილენძის მადნის ბუდობი მოიპოვება ჯვედორაკის ხეობაში. ეს მადანი ალბათ სპილენძათ გადამუშავდება. თვით სპილენძის წარმოებას შეიძლება დაუკავშირდეს გოგირდმჟავა სპილენძის წარმოებაც. ეს იმდენათ, რამდენათაც მას ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინტერესები მოითხოვენ.

რამოდენიმე თვის წინათ ს. მ. უ. ს-ის სამთო განყოფილებიდან ცენტრალურმა ლაბორატორიამ მიიღო თელავის მაზრიდან ჩამოტანილი სპილენძის მადნის ნიმუში, რომელიც ეგრედწოდებულ მალახიტს წარმოადგენს. ეს არის ნახშირმჟავა სპილენძი, რომელსაც გოგირდმჟავა სპილენძიც ურევია. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ მადანში 14 პროცენტამდე წმინდა სპილენძია. მას, როგორც ჩვეულებრივათ მადანს, ურევია რკინა, სილა. თიხა და სხვ.

ლაბორატორიამ გააკეთა საცდელათ რამოდენიმე კილოგრამი შაბიამანი. ეს შაბიამანი ხარისხით ისეთივეა, როგორც კარგი ხარისხის—უცხოეთიდან შემოტანილი შაბიამანი. ეხლა ცდები უფრო დიდი მასშტაბით მეორდება.

მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იმ მადნიდან, რომლის ნიმუშიც ლაბორატორიამ მიიღო, შაბიამნის წარმოება შესაძლებელია. საჭიროა ვრცელი მადნის ბუდობის შესწავლა. ერთის მხრივ გამოსარკვევია მარაგის რაოდენობა. მეორეს მხრით სხვადასხვა ადგილებიდან ნიმუშების აღება და უკანასკნელთა ანალიზი, იქნებ მარაგი არ არის იმდენათ დიდი, რომ დიდი ქარხნის აგება მიზან შეწონილი იყოს. ან იქნებ მადანი არ არის ყველგან ისეთი ხარისხის, როგორც ნიმუში.

თუ საკითხის შესწავლამ ყველა კითხვებზე დადებითი პასუხი მოგვცა. შაბიამნის წარმოების საკითხი საქართველოში ახლო მომავლის საქმე იქნება. ამ შემთხვევაში ჩვენ მივაწოდებთ სასოფლო მეურნეობას პირველი მოთხოვნილების საგანს უფრო იაფ ფასებში. ვიდრე უცხოეთიდან შემოტანილი. ამავე დროს საიმპორტო საქონლის, (რომელზედაც ვალიუტა იხარჯება) შემოტანა ზედმეტი გახდება.

რამდენიმე სიტყვა შაბიამნის ხარისხზე. გამოუცდელ ხალხს გონია, რომ გარეგნულ შეხედულებით (კრისტალების სიდიდის და სხვა მიხედვით) შეიძლება შაბიამნის ხარისხის გაგება. ეს არ არის სწორი.

შაბიამანი (გოგირდმჟავა სპილენძი) კარგია. თუ მას რკინა, მიშიაკი და სხვ. რამე არ ურევია. ამის გაგება კი შეიძლება მარტო ლაბორატორიაში. არ არსებობს ისეთი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია სთქვას, თუ რამდენი პროცენტი რკინა ურევია შაბიამანს. ამიტომ ყველა საქმის მცოდნე პირები ვალდებული არიან შეებრძოლონ იმ ჩვეულებას, როცა შაბიამანი შეხედვით ფასდება. ასეთმა „შეფასებამ" მეცნიერულ გამოკვლევას უნდა დაუთმოს ადგილი.

ალ. დევდარიანი.

მკურნალობის ახალი მეთოდები საზღვარგარეთ

საუბარი ექ. შავერდოვთან

პარიზიდან დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი ექიმი შავერდოვი, რომელიც ამ თექვსმეტი თვის წინ გაემგზავრა საზღვარ-გარეთ სამედიცინო - სასანიტარო საქმის შესასწავლად.

ჩატარებულ მუშაობის შედეგების შესახებ ექ. შავერდოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

მე უმთავრესად მუშაობა მომიხდა საფრანგეთში. გარდა ვიწრო სპეციალობისა—უროლოგიისა, ჩემი ყურადღება მიიპყრო უმთავრესად სავადმყოფოების ჰიგიენის, საკურორტო საქმის დაყენების, სიფილისთან; ჭლექთან და კიბოს ავადმყოფობასთან ბრძოლის საქმემ. ყველა ეს საკითხები მოქცეულია საფრანგეთის მედიცინის ყურადღების ცენტრში.

ჰიგიენის თვალსაზრისით საფრანგეთის სავადმყოფოები და ამბულატორიები უფრო დაბლა დგანან, ვინემ ჩვენი. მკურნალობის მეცნიერულად დაყენების თვალსაზრისით კი იქ დიდი მიღწევებია.

საფრანგეთში აღსანიშნავია მეტად საინტერესო მიმართულება სიფილისთან ბრძოლის საქმეში, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ამ სენთან ბრძოლის ყველა იმ მეთოდებისაგან, რომლებიც არსებობენ სხვა დანარჩენ ქვეყნებში, კერძოდ ჩვენშიც. ეს მეთოდი ცნობილია „სპერილიმეტრიის" სახელწოდებით და მის საფუძველზე შენდება ეხლა ათეული დისპანსერები, პროფილაქტიური ინსტიტუტი და სხვა. ამ მიმართულებას ახასიათებს სენთან ბრძოლის საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება და მას მეთაურობენ ისეთი ავტორიტეტული მეცნიერები, როგორიცაა პროფ. რუ (პასტერის ინსტიტუტის დირექტორი) პროფ. ვერნი. ამ მიმართულებას მხარს უჭერს საფრანგეთის მთავრობაც.

ჩემის აზრით, ამ მეთოდის გადმონერგვა ჩვენშიაც აუცილებელია. სიფილისთან ბრძოლის პროფილაქტიურ დისპანსერისათვის მე ზოგი მოვიტანე საჭირო მოწყობილობანი. ამასთან ერთად ჩამოტანილია სათანადო ლაბორატორიუმები: თბილისის და ერევნის უნივერსიტეტებისა და თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებისათვის.

ჭლექთან ბრძოლის საქმეში წამლით მკურნალობა თითქმის უკუგდებულია. სენის მკურნალობის უმთავრეს საშუალებად ითვლება: განსაკუთრებული რეჟიმი ავადმყოფებისათვის, ჰაერი, დიეტა და მკურნალობა პნევმოტორაქსით (ორგანიზმში ჰაერის ხელოვნურად შეშვება); ავადმყოფების 60 პროცენტს უკეთებენ პნევმოტორაქსს. სანატორიუმებში შემოღებულია მკაცრი რეჟიმი, რომელსაც ემორჩილებიან ყველა ავადმყოფები. თითეულ ავადმყოფისათვის სანატორიუმში ყოფნის ვადა დაწესებულია საშუალოდ ერთი წელიწადი. საშუალოდ ავადმყოფს აძლევენ 3000 კალორია პროდუქტს და დამატებით კიდევ—450 კალორიას. ჩვენს სანატორიუმებში-კი აძლევიან 5—6 ათასამდე კალორიას.

ასეთი მეთოდით ბრძოლა ჭლექთან საზღვარ-გარეთ დიდებით შედეგებს იძლევა და მისი გადმონერგვა ჩვენშიც უთუოდ მიზანშეწონილი იქნება.

ორმაგ ვარსკვლავების წარმოშობა

ორმაგ ვარსკვლავების წარმოშობის საკითხი მუდამ საიდუმლოებით იყო მოცული ასტრონომებისათვის. მხოლოდ რამოდენიმე წლის წინად ინგლისელმა ჯინსმა და სხვებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ ორმაგი ვარსკვლავები წარმოიშვენ დიდი გაზისებური ვარსკვლავის გაყოფის გამო.

ახლა ეს აზრი ბრწყინვალედ დადასტურდა. კიეველ ასტრონომის პროფ. ს. ჩირნის გამოკვლევით, ვარსკვლავი „ბეტა" ჩანგის კრებულში ოდესღაც იყო ერთგვარი ვარსკვლავი, ახლა კი—იგი ორმაგი ვარსკვლავია. საინტერესო ის არის, რომ მისი ორმაგობის დანახვა არ შეიძლება არავითარ ტელესკოპში, არამედ შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ სპექტროსკოპიული გზით. „ორი ვარსკვლავი", რომლებიც შეადგენენ ჩანგის კრებულის „ბეტა" ვარსკვლავს. ჯერ კიდევ ძლიერ ახლოა ერთმანეთისაგან, ისინი თითქმის ეხებიან ერთმანეთს, მაგრამ მანძილი მათ შორის თანდათანობით იზრდება. ისე, რომ რამოდენიმე მილიონი წლის შემდეგ ეს ვარსკვლავი ორი იქნება არა მარტო სპექტროსკოპებით გამოკვლევის დროს, არამედ ტელესკოპებშიც.

ჩანგის კრებულის „ბეტა" ვარსკვლავი—დიდი ხნიდან ცნობილი ცვალებადი ვარსკვლავია (იცვლის სინათლის სიძლიერეს), მისი სინათლის სიძლიერის გამოცვლის სრული პერიოდი უდრის 12 დღეს და 22 საათს. ამ პერიოდის თანდათანობითი გადიდებით 1.784 წლიდან (როცა აღმოაჩინეს მისი ცვალებადობა) დღემდე, გამოარკვიეს ჩანგის კრებულის „ბეტა" ვარსკვლავების დაშორება ერთმანეთისაგან. პროფ. ჩირნიმ დაამტკიცა, რომ პერიოდის და მაშასადამე ვარსკვლავებს შორის მანძილის გადიდება სავსებით აიხსნება მიმზიდველობის თეორიით.

საჰაერო მუხრუჭები ჰაეროპლანზე

ინგლისის სამხედრო უწყება ამჟამად აწარმოებს გამოცდას ერთი გამომგონებლის მიერ აეროპლანების დასამუხრუჭებლად შემუშავებულ სისტემისას, რომელიც მდგომარეობს პროპელერის ბრუნვის მიმართულების შეცვლაში. დამუხრუჭება ჰაერში შესაძლებლად ხდის მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ის მანძილი, რომელიც საჭიროა აეროპლანის დასაშვებად მიწაზე. ამ გამოგონების ერთად-ერთ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ საჭირო ხდება ზოგიერთი ცვლილებების შეტანა აეროპლანისა და პროპელერის კონსტრუქციაში.

სინათლის სისწრაფე

საფრანგეთის ასტრონომიული საზოგადოების ოფიციალურ ჟურნალ „ასტრონომია"-ში ამ რამდენიმე ხნის წინად დაიბეჭდა მეცნიერ დე-ბრეის საინტერესო გამოკვლევა.

მიღებულათ ითვლება შეხედულება, რომ სინათლის სისწრაფე, საშუალოთ, 300.000 კილომეტრს უდრის წამში, მაგრამ ეს ციფრი, რასაკვირველია, დაახლოებითია. ასტრონომიაში, ფიზიკაში და მეცნიერების სხვა დარგებში, სადაც მნიშვნელობა აქვს სინათლის სისწრაფის განსაზღვრას, არა ერთხელ უცდიათ გამოერკვიათ სინათლის ნამდვილი სისწრაფე.

ამ ცდების დროს უკანასკნელი 75 წლის განმავლობაში მიღებული ციფრების შედარების შემდეგ, დე-ბრეი იმ დასკვნამდი მივიდა, რომ სინათლის სისწრაფე თანდათანობით კლებულობს, საშუალოდ, 4 კილომეტრით წელიწადში. ასე მაგალითად, სინათლის სისწრაფე უდრიდა: 1849 წ.—313.000 კილომეტრს (წამში), 1855 წ.—305.650; 1871 წ.—300.400; 1885 წ.—299.940; 1902 წ.—299.895; 1906 წ.—299.880; 1924 წ. 299.802 და 1926 წ.—299.796 კილომეტრს.

სინათლის სისწრაფე 1926 წლისათვის გამოარკვია ამერიკელმა მეცნიერმა **მაიკელსონმა**. მაგრამ დებრეი დარწმუნებულია, რომ სინათლის სისწრაფის უკანასკნელი გამორკვევა, რაზეც ამჟამად მუშაობს მაიკელსონი, უფრო ნაკლებ ციფრს მისცემს მეცნიერებას.

დღემდი თვლიდნენ, რომ სინათლის სისწრაფის ცვლა შეუძლებელია, რომ ეს არის ერთ-ერთი უცვლელი მსოფლიო ოდენობა. დე-ბრეის გამოკვლევებმა შეარყიეს ეს შეხედულება და ამჟამად მეცნიერების წინაშე დგება ახალი ამოცანა— გამოარკვიონ, თუ რით აიხსნება სინათლის სისწრაფის შემცირება.

უძველესი ობსერვატორია

ძველი ხალხის—მაიას (მაიები ცხოვრობდენ ამერიკაში, იუკატანის ნახევარ კუნძულზე) იპოვეს მსოფლიოში უძველესი ობსერვატორია. დაცულია კოშკი, საიდანაც თვალყურს ადევნებდენ მნათობებს და მიხვეულ-მოხვეული კიბე. რომლითაც ადიოდენ კოშკში. წარწერები, რომლებიც ეხება მზისა და მთვარის დაბნელებას, მზის წელიწადის ხანგრძლივობას და სხვა. მოწმობენ ასტრონომიის უმაღლეს განვითარებას უძველეს ქვეყანაში.

ავტომობილი საწოლებით

შეერთებული შტატების ერთ-ერთმა საავტომობილო ფირმამ ბაზარზე გამოუშვა ახალი ტიპის ავტომობილი, რომელშიც საჯდომები წარმოადგენენ მოსაკეც საწოლს. ახალი ტიპის ავტომობილს დიდი წარმატება აქვს ტურისტებს შორის. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ღამით დასასვენებლად გაჩერების დროს, მოგზაურები გაშლიან მოსაკეც საწოლს და ისვენებენ თავისუფლად.

წყალქვეშა გვირაბი

იაპონელი ინჟინერები აშენებენ უდიდეს წყალქვეშა გვირაბს—15 კილომეტრის სიგრძეზე. ეს გვირაბი შეაერთებს ქ. მოჯისა და კიმონოსეკის, რომელთა შორის მიმოსვლა ამჟამად სწარმოებს გემების და ბარჟების საშუალებით. ინჟინერების გამოანგარიშებით, გვირაბის გაყვანა სახელმწიფოს მისცემს 500.000 დოლლარის ეკონომიას. გვირაბი მზად იქნება 4 წლის შემდეგ.

მუხრუჭის გამოსაცდელი ხელსაწყო

საავტომობილო მიმოსვლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ავტომობილის მუხრუჭის მდგომარეობა განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, ევროპაში ავტომობილის თითეული პატრონი მოვალედ სთვლის თავის თავს შეიძინოს ავტომობილის მუხრუჭის გამოსაცდელი ხელსაწყო, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოჩნდა ბაზარზე, ეს ხელსაწყო მეტად მარტივია და მოხერხებული. იგი წარმოადგენს დახრილ მილს, რომელშიც მოძრაობს ფოლადის ბურთულა. ავტომობილის დამუხრუჭების დროს. ინერციის ზეგავლენით ბურთულა მილში აიწევს განსაზღვრულ სიმაღლეზე, რაც შეადგენს მუხრუჭის მოქმედების უნარიანობის საზომს.

30.000 მიწის ძვრა წელიწადში

აფრიკელ გეოლოგ პროფ. ვილსონის გამოკვლევით, დედამიწაზე ყოველწლიურად ადგილი აქვს 30.000 მიწისძვრას, რომელთაგან მხოლოდ სამოცია ძლიერი და 30 კატასტროფული. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ევროპისა და ამერიკის სეისმოგრაფიულმა სადგურებმა აღნიშნეს არაჩვეულებრივი სიძლიერის მიწისძვრა, რომლის ცენტრი მდებარეობდა ოკეანეს ფსკერზე, სადღაც ალიასკის ნახევარ-კუნძულის მახლობლად. ამ მიწისძვრამ, რომელიც მოხდა უდაბნო-ადგილას, თითქმის არ გამოიწვევია არავითარი ნგრევა. ამავე დროს კი, შედარებით სუსტ მიწისძვრებს, შეუძლიათ კატასტროფა გამოიწვიონ დასახლებულ ადგილებში ყველაზე მეტ მსხვერპლს იძლევა მიწისძვრები, რომლებსაც ადგილი აქვთ ღამით და ზამთრობით.

ავადმყოფობის გამორკვევა თვალების მიხედვით

შვედ ექიმების გამოკვლევით, თვალის მდგომარეობის გამორკვევა შესაძლებლად ხდის მთელი ორგანიზმის მდგომარეობის გამორკვევას. შვედმა ექიმებმა გამოიგონეს ხელსაწყობილობა, რომლის საშუალებით არკვევენ თვალის მდგომარეობას და შემდეგ თვალის ნერვებში მომხდარ ცვლილებების მიხედვით არკვევენ, თუ რით არის ავათ ესა თუ ის პირი.

შავი ოქრო

ოქროს, რომელსაც პოულობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში, აქვს სხვადასხვა და ამათუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ფერი. ასე მაგ., ურალის ოქროს აქვს „მოწითალო" ფერი, კალიფორნიისას—„ყვითელი" ცნობილია „ცისფერი", „თეთრი" და სხვ. ფერის ოქრო. ამ რამდენიმე ხნის წინათ ავსტრალიის მაღაროებში იპოვეს „შავი ოქრო". მიწიდან ამოღების დროს ოქროს აქვს თეთრი ფერი, რამოდენიმე საათის შემდეგ კი—ჰაერზე —ოქრო შავდება. გეოლოგები ამ საინტერესო მოვლენას ხსნიან იმით, რომ ოქრო შეიცავს ვისმუტის ზოგიერთი მარილების ნარევს, რომლებიც ჰაერში სწრაფად ჟანგდებიან და აცვლიან ფერს.

ახალი საფეიქრო მცენარე

კალიფორნიაში (შეერთ. შტატები) დაიწყეს მოყვანა ახალი საფეიქრო მცენარის, რომელსაც ბამბის დიდ მეტოქედ თვლიან. სამშობლო ამ მცენარესი, რომელსაც „რამის" უწოდებენ, არის ეგვიპტე. მცენარე უძლებს მკაცრ ჰავას და მშვენიერ ნედლეულს იძლევა საფეიქრო მრეწველობისათვის. „რამი", შესაფერი გადამუშავების შემდეგ, უფრო მაგარ მასალას იძლევა, ვიდრე ბამბა. საინტერესოა, რომ „რამი" მეორეთ არის აღმოჩენილი პირველად „რამით" სარგებლობდენ ჯერ კიდევ ფარაონების დროს. ეგვიპტეში წარმოებული გათხრების დროს იპოვეს „რამიდან" დამზადებულ მატერიებში გამოხვეული მუმიები.

მსუბუქი ლითონი

ამ რამდენიმე ხნის წინად აღმოაჩინეს მეტად ეკონომიური (ხელსაყრელი) წესი ლითონ ბერილიუმის დასამზადებლად. ბერილიუმს მრავალი მეტად ძვირფასი თვისებები ახასიათებს. იგი 30 პროცენტით უფრო იაფია, ვიდრე ალიუმინი, უკანასკნელზე 4 ჯერ უფრო ელასტიურია და 60 პროცენტით უფრო მაგარია.

ხელოვნური კოკაინი

გერმანიაში ლაბორატორიული გზით მიიღეს სინთეთიური კოკაინი. ხელოვნურ კოკაინს ამზადებენ კაუჩუკის მრეწველობაში მორჩენილ უვარგის ნედლეულიდან. ბერლინის საავადმყოფოებში უკვე შემოიღეს ხელოვნური კოკაინის ხმარება და ადვილი შესაძლებელია, რომ იგი ახლოხანში სრულიად განდევნის ბუნებრივს.

აპარატი წყალზე დახმარების აღმოსაჩენად

სურათზე ნაჩვენებია ლუი დე-ელია, რომელიც ლოს-ანჟელოსში (შეერთებული შტატები) საჯაროდ სინჯავს მის მიერ წყალში დახმარების აღმოსაჩენად გამოგონებულ აპარატს. ეს აპარატი გაკეთებულია რეზინიდან, მისი ზედა ნაწილი კი—ალიუმინიდან. აპარატის ზედა (ალიუმინის) ნაწილს აქვს თოთხმეტი სარქველი, რომლებიც უშვებენ ჰაერს, მაგრამ არ უშვებენ წყალს. აპარატი იწონის სულ 9 კილოგრამს.

ბიბლიოგრაფია

„ქართული მწერლობა“. № 11—12 ნოემბერი—დეკემბერი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი

ჟურნ. „ქართული მწერლობის“ ეს უკანასკნელი ნომერი იხსნება სტეფან ცვაიგის მინიატურით „კაპიტან სკოტტ“. ადამიანის ტიტანიური ბრძოლა სტიქიის დასაპყრობად, რომელიც მთელი საუკუნოებს გასწვრივ სწარმოებდა, გამარჯვებით დაგვირგვინდა. პარალელურად ტეხნიკის განვითარებისა შესაძლებელი შეიქნა სპეციალური აპარატებით პოლიუსზე გადაფრენა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ტრაგიული ეპიზოდი აღწერილი აქვს გერმანელ მწერალ ცვაიგს თავის მინიატურაში.

მინიატურა თარგმნილია გრ. რობაქიძის მიერ.

თარგმანი კარგად არის შესრულებული. მხოლოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრ. რობაქიძე ხმარობს მთელ რიგ მოძველებულ ქართულ სიტყვებს, როგორიცაა მაგ. „გარნა“ და სხვა, რომლებიც ამძიმებს სტილს.

სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „ქინკა“ უფერულ ხაზებშია გაშლილი. მწერალმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო საკუთარი თემის მიგნება; ავტორის ემჩნევა იდეური ჩამორჩენილობა, რასაც მომავალში უნდა მიაქციოს ყურადღება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ალექსანდრე ქუთათელის** „გვალვა“, მოთხრობიდან სჩანს, რომ ავტორი ზედმიწევნით იცნობს, მთელ თავის ნიუანსებში, ცხოვრების იმ არეს, რომელსაც აღგვიწერს. და რაც მთავარია ეს ის, რომ დაჭერილია ყოველი დამახასიათებელი დეტალი.

მთავარ მომქმედ პირად აღებულია მთელი მასა-კოლექტივი, რომელიც გატაცებულია რელიგიური ფანატიზმით და ჯერ კიდევ სჯერა „ხატის“ სასწაულის. ავტორი ამის მიზეზს სწორად ხედავს მაშინდელ სოც.-პოლიტიკურ პირობებში. მოთხრობა „გვალვა“ დაწერილია მასის პსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.

ნიკოლო მიწიშვილი აგრძელებს „ეპოპეია-ში“ თავის თავგადასავალს, როცა იგი საქართველოდან ბოსფორისაკენ გაემგზავრა. ამ ნაწარმოების საბოლოო შეფასება ნაადრევია, ვინაიდან იგი სავსებით არ არის ჯერ გამოქვეყნებული ხოლო, იმ „ფრაგმენტების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც „ქართულ მწერლობაშია“ გამოქვეყნებული, უნდა ვთქვათ, რომ იგი უფრო სუსტად დაწერილ მემუარების შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე „ეპოპეია“-სი.

პოეზიის განყოფილება იხსნება **ჩაჩანას** ლექსებით. ჩაჩანა ემყარება ხალხურ შემოქმედებას და ამიტომ არის მდიდარი მისი პოეტური ლექსიკონი მხატვრული სახეებით და მეტაფორებით.

გასაოცარი ლირიზმით არის დაწერილი ლექსი მიძღვნილი „ვაჟა-ფშაველას“ ხსოვნისადმი.

სიკვდილი აღარ მახსოვდა
წუხელ ძმა ვნახე მომჩქარე
ცხენით აფხუმოს მოვიდა
გამოეგება საწყალი.

მონოტონურია **ვარლამ რუხაძის** ლექსი „საუბარი მიწასთან“. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს მდიდარი თემა აუღია, რაიც მხატვრულ დამუშავების დიდ შესაძლებლობას იძლეოდა, თემა მაინც ვერ დაუძლევია. ალბად ეს აღემატებოდა მის პოეტურ შესაძლებლობას.

აღსანიშნავია **ტიციან ტაბიძის** ლექსი ციკლიდან: „მოსკოვი“. მოსკოვი დღეს ახალი თემაა პოეტისათვის. იგი სიმბოლოა განთავისუფლებული კაცობრიობის.

კრემლის კარიბჭეებთან რუსეთის მუშათა კლასმა საბოლოოდ შეანგრია რეაქციონური რუსეთის ხერხემალი. ამ ასპექტში უნდა გადატყდეს „თანამგზავრი“ პოეტის განცდათა მდინარეობა. 1926 წელში დაწერილ ლექსში კი, ტ. ტაბიძეს აგონდება შეხვედრები მოსკოვში მხოლოდ კ. ბალმონტთან, რომელიც როგორც „ქრისტე მიყვება ამ ქარს“.

და სტოის ყვავი-. ყვავი ყვანჩალა
ლექსებით ასე რომ მოეფერე:

ამ „ქარმა“ ბევრი „ყვავი ყვანჩალა“ გადარეკა მოსკოვიდან. ზოგს კი მიაღწია ფრთებზე და ამიტომ „სტოის ყვავი“.

„მე რუსთაველის მომაქვს დედანი“ ამბობს პოეტი. ეს მისია მისთვის მეტად მძიმე აღმოჩენილა და ამიტომ მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ „შუბლზე ცივი ოფლი გადმოსდის“.

არ არის მართალი ავტორის განცხადება ფუტურისტების შესახებ. რუსეთში ფუტურისტები დაუახლოვდნენ რევოლიუციას. მათი შემოქმედება რევოლიუციის ნიშნის ქვეშ წარიმართა. რუსეთის ფუტურიზმმა ჩვენ მოგვცა ისეთი დიდი პოეტი, როგორიცაა მაიაკოვსკი. ქართულმა ფუტურიზმმაც ამ გზით სიარული აპირებს. ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც უფრო „ლაზღანდარობს“ ის ხალხი, რომელთაც კიდევ შერჩათ „ძველი სინდისი“. ლექსი ფორმალურად კარგადაა შესრულებული. დაჭერილია ლირიული ტონი, განსაკუთრებით რუსულ თქმებში.

შემდეგ მიდის **ვ. გაფრინდაშვილის** ლექსი „შემოდგომა“. ამ ლექსის ავტორი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა დეკადენტურ ბურუსისაგან. პოეტის შემოქმედება უეჭველად აქაც პატოლოგიურია, რაიც შემდეგ სტრიქონებიდან სჩანს:

მოდის ზამთარი დონ-ხოზეს დანით
ეს შემოდგომა არის მეძავი.

ან კიდევ:

კაცი და ქალი მტერები დღემდე.

გაუგებარია, რატომ არის „კაცი და ქალი მტერები დღემდე“.

„ჩვენ გაზაფხული გვიყვარდა ყველას“ ამბობს პოეტი. მაგრამ, პოეტის ეს გაზაფხულისადმი სიყვარული დაჩრდილულია „ცივი ქარების ირონიით“. თუ პუშკინის შემოქმედებითი გენია ფრთებს შლიდა შემოდგომის „მწუხრ“ დღეებში, ვ. გაფრინდაშვილის „გენიამ“ არც „გაზაფხულში“ იჩეირა. საბედისწეროდ აღმოჩნდა მისთვის „ზამთარი დონ-ხოზეს დანით“.

იდეოლოგიურად გადაგვარებულ „ცისფერ ყანწებს“ ჭეშმარიტად დაადგა „ზამთრის“ პერიოდი. ისინი უკვე ამოიწურენ და ისვრიან უტყვით ვაზნებს. ასეთი უტყვი გასროლაა ლექსი „შემოდგომა“.

ილო მოსაშვილის ლექსში „უცნობთან“ არის მეტად პრიმიტიული თქმები:

გულში სისხლია, ტანში მარტის ავდარი
მოდის. რა საჭიროა იმის მტკიცება, რომ „გულში სისხლია“.

კეთილი იყოს ეს გაცნობა, ორივე ლოთის
მინდა ანთებულს შეგეჯიბრო, მინდა გავართო!
მასხური ქალი ჭიქებს გვივსებს „ნაფარეულით“.

ავტორს რატომღაც მაინცა და მაინც სურს „ლოთის“ რეპუტაცია დაიმსახუროს, რასაც არ ურჩევთ მას. მოსაშვილი საერთოდ კარგ მხატვრულ სახეებს იძლეოდა; ხსენებული ლექსი კი ერთგვარი გადახრაა ბოჰემისაკენ.

ს. წეველმა, სათანადოთ ვერ შესძლო „ნასაკირალის სერების“ ამღერება. შედარებით გამართულია პირველი ტაეპი.

გალმა-გამოღმა ტევრები,
გადაკეცილი შარები,
გულები—ნასტევრები,
გულები უშიშარები...

ეს ლექსი მაინც სტოვებს იმედის შთაბეჭდილებას.

ჟურნალში აღსანიშნავია სიტყვიერების განყოფილება და სხვადასხვა წერილები.

დ. ზ—ძე.

„საქ. ეკონომისტი“

გამოვიდა ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“-ის მორიგი მე-12 ნომერი. შინაარსი: **ა. ჰუმბურიძე**—ნედლეულის პრობლემა, **ი ნარხია**—საქართველოს ნედლეულის ბალანსი და ექსპორტი, ნ. კოოპერაციის როლი ნედლეულის დამზადებაში, **ვლ. ცაგარელი**—ჩვენი სასოფლო კოლექტიური მეურნეობა, **ვ. გოგილაძე**—მიწათმოწყობის ორი საკითხი, **ს. ქვარიანი**— მელიორაცია ძველ საქართველოში, **ირ. მიქელაძე**—საქართველოს მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა, **პროფ. ხ. კუკლ-კრაევსკი**—ელექტროფიკაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში, **ს. გოდაბრელიძე**—შრომის ნაყოფიერება და ხელფასის დინამიკა, **შ. გომართელი**—თბილისის აღმასკომის მუშაობა, **ვალ. გამყრელიძე**—ხორცის მოხმარება ქუთაისში, **აკ. კალაძე**—მარქსისტული მეთოდის გაგებისათვის. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ადგილობრივი საკავშირო და უცხოეთის ინფორმაცია და ბიბლიოგრაფია.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 81.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივლისის 2-ის თარიღისა და ას-100 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ, (კან. კ. 1924 წ. № 2, მუხ. 1) გაუქმებულ იქნეს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ. თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. სექტემბრის 5.

დებულება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ

1. იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის რასაც კურორტზე სანიტარული მდგომარეობის დასაცავათ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გამოსცემს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ“ 1923 წლის თებერვლის 3-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-9 მუხლის თანახმად—დამნაშავეს შეიძლება ადმინისტრატიული წესით დაედოს ერთ-ერთი შემდეგი გადასახდელი:

ა) ფულადი ჯარიმა ას მანეთამდე
ბ) იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე
გ) დატუსაღება ერთ თვემდე.

2. ოქმს სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ შეადგენს სასანიტარო ექიმი ან კურორტის დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი; ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი, სასანიტარო კომისიის ყველა ის წევრი, ვინც დარღვევის აღმოჩენას დაესწრო სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და მოწმეები, უკეთუ ეს უკანასკნელნი იქნებიან.

უკეთუ დამრღვევი იუარებს ოქმზე ხელის მოწერას, ეს გარემოება და უარის მოტივი აღინიშნება ოქმში.

3. ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება სათანადო საკურორტო სამმართველოში კურორტის დირექტორს, რომელიც გადასწყვეტს საკითხს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

შენიშვნა 1: უკეთუ ოქმიდან სჩანს, რომ სავალდებულო დადგენილების დარღვევასთან სდევდა ისეთი ქმედობა, რაც სასამართლო წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე გაეგზავნება შესაფერ პროკურორს ან პროკურორის თანაშემწეს სათანადო წარმართვისათვის.

შენიშვნა 2: უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო მსახური, რომელიც არმიაში მსახურობს, ოქმი გაეგზავნება სათანადო ჯარის უფროსს; ეს უკანასკნელი მუშათა და გლეხთა წითელ არმიის სადისციპლინო წესდების მიხედვით მიიღებს სადისციპლინო ზეგავლენის საჭირო ღონისძიებას, რასაც საკურორტო სამმართველოს აცნობებს.

შენიშვნა 3. უკეთუ სავალდებულო დადგენილების დარღვევის საქმეს, ვიდრე იგი ადმინისტრატიული წესით გადაწყდებოდეს, სასამართლო მიიღებს განსახილველად, დამნაშავეებს იმავე ქმედობისათვის ადმინისტრატიული გადასახდელი აღარ დაედება.

4. დადგენილების გამოტანა ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების დარღვევისა, ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე უნდა მოისპოს.

5. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ წერილობითი უნდა იყოს.

დადგენილებაში აღინიშნება: დადგენილების გამოტანის დრო, თანამდებობის პირი, რომელმაც დადგენილება გამოიტანა, სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ვინაობა, რა სავალდებულო დადგენილება იყო დარღვეული, დარღვევის დრო, მოქმედება, რაშიც გამოიხატა დარღვევა, და დადებული ადმინისტრატიული გადასახდელი.

დადგენილება ხელმოწერილ უნდა იქნეს კურორტის დირექტორის მიერ.

შენიშვნა: ის ქმედობა, რომელიც დამრღვევს ბრალად ედება, სავსებით უნდა შეეფერებოდეს იმ სავალდებულო დადგენილებაში გათვალისწინებულ ქმედობას, რაც აღნიშნულია დარღვევის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში.

6. გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილება უნდა გამოეცხადოს იმ პირს, რომელსაც გადასახდელი დაედო; მასვე უნდა გამოეცხადოს აგრეთვე გასაჩივრების წესი და ვადა.

7. იმ პირს, ვისაც გადასახდელი დაედო, შეუძლიან, შვიდი დღის განმავლობაში დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა: სთხოვოს კურორტის დირექტორს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა ან გაასაჩივროს ეს დებულება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.

საჩივარი შეიტანება სათანადო საკურორტო სამმართველოს მეშვეობით, ხოლო ეს უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში წარადგენს ამ საჩივარს მთლად საქმიანურთ კუთვნილებისამებრ.

საჩივრის შეტანა ან თხოვნა დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეაჩერებს გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების ასრულებას.

8. უკანონოდ დადებული გადასახდელი გაუქმებულ ან შეცვლილ უნდა იქნეს.

9. დადგენილებას ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ შეასრულებს მილიცია.

10. დადგენილება ადმინისტრატიული წესით გადასახდელის შესახებ შესრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან; უკეთუ დადგენილება აღნიშნულ ვადაზე არ იქნება ასრულებული, იგი ძალას ჰკარგავს.

შენიშვნა 1: დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ კანონიერ ძალაში შესულად ჩაითვლება იმ ვადის გასვლისთანავე, რაც დაწესებულია გასაჩივრებისათვის. უკეთუ თხოვნა დადგენილების გადასინჯვის შესახებ ან საჩივარი შეტანილი არ ყოფილა; ხოლო, უკეთუ თხოვნა ან საჩივარი შეტანილია - მისი უშედეგოთ დატოვებისთანავე.

შენიშვნა 2: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

11. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დადებული ფულადი ჯარიმა შედის საკურორტო სამმართველოს შემოსავლის სახით კურორტის სასანიტარო საგიგიენო საჭიროებათა ფონდში; ის პირნი, ვისაც გადასახდელი დადებული აქვს იძულებითი მუშაობის სახით, შეასრულებენ ამ მუშაობას კურორტის სანიტარულად კეთილმოწყობისათვის.

ფიზკულტურა

საკავშირო სპარტაკიადა

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, მოსკოვში შესდგა საკავშირო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომისია ამხ. **ენუქიძის, მიხაილოვის და ბუცენკოს** თავმჯდომარეობით.

თანახმად კომისიის მიერ შემუშავებულ წესისა, საკავშირო სპარტაკიადის საზამთრო ნაწილი უნდა ჩატარდეს თებერვლის შუა რიცხვებში—ნორვეგიაში, ხოლო საზაფხულო ნაწილი—მოსკოვში.

მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის რამდენიმე ასეული ფიზკულტურელი.

საკავშირო სპარტაკიადის მოწყობის მიზანია —საბჭოთა კავშირის მშრომელთა საფიზკულტურო მიღწევებისა და საბჭოთა ფიზკულტურის კლასობრივ-რევოლიუციონური სახის დემონსტრაცია.

საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის ყველა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, პროფკავშირები, სასწავლებლები, პიონერები და წითელი არმია. სპარტაკიადის საზეიმო გახსნას ერთდროულად იდღესასწაულებენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკები.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე—2-დან 8 თებერვლამდე მოსკოვში ჩატარდება შინაური საზამთრო სპორტიული დღესასწაული, რომლის შემდეგ საბჭოთა ფიზკულტურელები გაემგზავრებიან ნორვეგიაში.

სპარტაკიადის საპორტო შეჯიბრში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებს 3500 ფიზკულტურელი, უცხოეთიდან კი—600.

რადიო-გადაცემა

კვირა, 15 იანვარი

დღეს, 15 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი — ქართულ და რუსულ ენებზე; საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე; წითელი არმიის პოლიტმმართველობის მოხსენება: წითელი გვარდია — რუსულ ენაზე, იგივე მოხსენება — ქართულ ენაზე, მოხსენება — რა სთქვა მე-15 პარტყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ — სომხურ ენაზე; სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა — ქართულ და რუსულ ენებზე; ობსერვატორიის ცნობები — რუსულ და ქართულ ენებზე; ვ. დუხოვსკაიას და მ. ბიხტერის კონცერტის ტრანსლიაცია; ტეხნიკური კონსულტაცია; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — ქართულ და რუსულ ენებზე; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა; პასუხები რადიო - მოყვარულთა წერილებზე.

ორშაბათი, 16 იანვარი

ჯანსახკომის მოხსენება: კბილების და პირის მოვლა — ქართულ ენაზე; სოფლის ახალგაზრდობა და რელიგია — ქართულ ენაზე; წითელი არმიის პოლიტმმართველობის მოხსენება წითელ გვარდიაზე — სომხურ ენაზე; საუბარი რდაიო- ტეხნიკაზე — რუსულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი რუსულ ენაზე; როგორ უპასუხა მუშათა კლასმა ტროცკისტული ოპოზიციის გამოსვლაზე; ობსერვატორიის ცნობები — ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე; კონცერტი ანდა ტრანსლიაცია; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

იურიდიული დახმარება

ივლიტა ჭინჭარაძეს

კ ი თ ხ ვ ა

შეგვიძლიათ თუ არა 1923 წელში გასესხებული ფული მოვთხოვოთ მოვალეს ოქროს კურსზე.

პ ა ს უ ხ ი

ძველი ვალი შეგიძლიათ მოთხოვოთ ჩერვონცებით, რადგანაც ოქროს მანეთი გათანაბრებულ იქნა 1923 წელში ჩერვონეცის მანეთთან.

ვანო სანიკიძეს

კ ი თ ხ ვ ა

მამას დედისათვის უნდა ეძლია სარჩოს (ალიმენტის) სახით ჯამაგირის 1-მეოთხედი თანახმად სასამართლოში მომხდარი მორიგებისა, მაგრამ მან თავისი ვალდებულება არ შეასრულა პირნათლად და არის წინანდელი დროის გადაუხდელი ვალი, როგორ უნდა იქნეს ანაზღაურებული ეს ვალი.

პ ა ს უ ხ ი

თქვენ უნდა წარადგინოთ აღმასრულებელი ფურცელი სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით იმ მაზრაღმასკომში, საიდანაც თქვენი მამა ჯამაგირს იღებს. ვალის ანაზღაურება მოსამსახურის ჯამაგირიდან შეიძლება ჯამაგირის 50 პროც-ის ფარგლებში, ასე რომ დედას შეუძლიან ძველი ვალი აღნიშნულ ფარგლებში აინაზღაუროს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

შრომის ბირჟამ ამ დღეებში მიიღო საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საშუამავლო ბიუროსაგან მოთხოვნილება მედიცინის მუშაკებზე. შემდეგ ადგილებიდან: **ვიშნევოლოცკის** ჯანმრთელობის განყოფილებიდან: ექიმი 3 წლის სტაჟით და 6 ბებია ქალი. **რჟევსკის** სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებიდან: 3 ექიმი და ერთი ექიმი ქირურგი. **ონეჟსკიდან:** 3 ექიმი (ადმინისტრატიული ცოდნით). **ვოლგიდან:** 3 ექიმი და ერთი ფარმაცევტი. **მასლოვსკიდან:** 10 ბებია-ქალი. **ვისოკონოვის** საავადმყოფოდან— საჭიროა ექიმი - თერაპევტი. **ჩრდილოეთ-კავკასიის** რკ. გზებზე — 4 ექიმი. **აზერბეიჯანში:** სანიტარული ინსპექტორი. **ორლოვის** გუბერნიიდან: 2 სანიტარული ექიმი **ივანოვო-ვოზნესენსკის** გუბერნიიდან: ერთი ექიმი. **ტულის** გუბერნიიდან: თერთმეტი ექიმი.

აღნიშნულ ადგილებზე მომუშავე ექიმებს და სხვა მედ. პერსონალს მიეცემა საგზაო ხარჯები, ბინა, განათება და გათბობა.

დაწვრილებით პირობებთან გასაცნობათ მსურველებმა უნდა მიმართონ შრომის ბირჟის მედ. სექციაში ამხ. გოგეშვილს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში სამშაბათს, 17 იანვარს თათბირზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

დღის 12 საათზე: გ. რუხაძე, პისეცკი, იმედაძე, ა. გედევანიშვილი, თუმანიანი, სობეცკი, ზოტნიკი, ვ. კანდელაკი და ორლოვი.

დღის 2 საათზე: დ. კანდელაკი, ლისოვსკი, შაფერდოვი, მარიამ ორახელაშვილი, ასრიპეკოვი, პიტოევი, ნაჯაფაევი, ქაცარავა და ბუდილევი.

ორშაბათს, 16 იანვარს, დღის 1 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **სვანიძის** კაბინეთში შესდგება თათბირი კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის წინასწარ შედეგების საკითხის შესახებ.

თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ფანცულაია, მზარეულაშვილი, ტერ-ვართანოვი, მორჩილაძე, გუდავაძე, ბედელაძე, ფარალიშვილი, კუდრიავცევი, მაჩაიძე ხვედელიძე, გოზალოვა (მელ. კავ.) თავდგირიძე (კომ. მუშ. კავშ.) ავიტესოკი (გემო-კვების კავშ.) ნიკიტინი, ათოევი, კაჯარაშვილი (მკერავთა კავშ.) მატინიანი (ფეიქართა კავშ.) არაქელოვი (ქიმიკოსთა კავშ.) ავაქოვი, პევცოვი, დათუნოვი, გარინი, ერისთავი, ივანოვ-კავკასკი, ასრიევი, მარიამიძე, ჰელიძე (შრომის სახ. კომის.) და მოსესოვი (ტყავზე მომუშ. კავშ.).

საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკა სთხოვს ამხ. დავით ჰანტურიას, ქრისტეფორე ვახტანგიშვილს, კონსტანტინე ნადირაიას, კარქაურს და მიხეილ გოგიევს აუცილებლად გამოცხადდენ ორშაბათს, 16 იანვარს საღამოს 5 საათზე საკანტროლო კომისიის სხდომაზე საორგანიზაციო განყოფილების ოთახში.

ლენრაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს, 16 იანვარს, დღის 3 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალთა ორგანიზაციების თათბირი.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე დღეს, 15 იანვარს, დილის 11 საათზე. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს უჯრედიდან: ამხ. პლატონ ჩიქოვანი, ალექსანდრე დარჩია, ამბერკი ჭოხონელიძე, შალვა წულაია, ვლადიმერ ბახტაძე, ივანე სულხანიშვილი, ანა მაისურაძე, იოსებ პეტროსიანი, ვალენტინ ცომაია და ანა ხობუა. მეორე რაიონიდან: გიორგი ყიფიანი. მეთხე რაიონიდან: ვლადიმერ ბარათელია და ნიკოლოზ მითონიძე ამ. კავკ. კომ. უნივერს. რაფიელ მირზაბეკოვი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო - გამნაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შალვა სარდიონის ძე პაღრაძეს გამოცხადდეს ორშაბათს, 16 იანვარს თბილისის კომიტეტის საალრ. განმ. გან-ბაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 11).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება უჯრედებში მეთხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დასამუშავებლად გზავნის შემდეგ ამხანაგებს: აფციაური, გ. ელისაბედაშვილი (ცენტრ. კომის.) სულვა თოდრია, სნეგირევი, აკ. ჭყონია, პავერმანი, ბუკრეევი, ხვედელიძე (საქ. პროფსაბჭო), ფანცულაია (მბეჭდავთა კავშ.) ფ. ივანოვი, მირზაბეკიანი (მუშათა და გლეხთა ინსპ.), რახმანი („რაბოჩაია პრავდა“), პისეცკი, სტეპან აკოპოვი (თბილ. აღმასკ.) ლაზარევი (ცეკა) შეფტელი (ამ. კავ. პროფსაბჭო), სურხატიანი, აივაზიანი, პადოლსკი (ამ. კ. პროფსაბჭო), ავეტისოვი (გემო-კვების კავშ.), აგამალოვი (ამ. კავკ. ფინსახკომი), პოლოსოვი, სტეპ. პოლიაკოვი („მხედარი“), ოსეპჩუკი, ერგოშენკო („ხლებოპროდუქტ“), მელიქ-დადაევი (საქბანკი), საბლინი („საქართველოს ჩაი“), კარკლინი, მარკაროვი (ამ. კავ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია), ხაჩიევი, კუხალეიშვილი („ზაკმასტორგ“), კალატოზოვი (სასოფლო-სამეურ. ბანკი), თარხანოვი, ნასიძე, არაბ-ოღლი, ტატოევი, ვარლამ მესხი, მ. მგალობლიშვილი ილ. მამულია, აკაკი ქავთარაძე, ლიტვიშკოვი, საყვარელიძე, ადამაძე, კ. კაკაბაძე, მელიქაძე (სახ. პოლიტ-სამმართ.) სტეპანოვი (სახკომსაბჭო), ორჯონიკიძე (საბ. სავ. მოსამს. კავშ), იონოვი, ანგელჩუკი, შიოია (სახ. პოლიტ-სამმართ.), ბაგიროვი, რახი, ალაგარიანი (ამ. კავკ. კომ. უნივერს.), მაქსიმენკო, სტეპანოვი (ამ. კავკ. სახ. დაზღვ.), დ. ცხაკაია (გზათა სახ. კომის.) კუპრავა (სახბანკი). გოდერძიშვილი (სახელმწიფო ბანკი), ეგიკოვი, აგრბა, ბუხნიკაშვილი (ცენტრ. საკონტრ. კომის.), მალანია, მიქელაძე, ერშოვი, გორიაჩევი, გულბისი, შტაპა (სახ. პოლიტ-სამმართველო); იურჩენკო, ფიშერი, კალნიცკი, ლივშიცი, სუხორუკოვი, ჩაუსკი, გობეჩია, იაგნეტინსკი, შტიკოვი, მარგოლინი, დავიდოვი (ამ. კავ. ფინსახკომი), ვალიკი, ალადაძე, სელოვი და პაპინსკი.

დასახელებულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ საინსტრუქციო თათბირზე, რომელიც შესდგება ორშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე სახალხო კავშირის კლუბის შენობაში (ლენინის ქუჩა № 3).

გულდათუთქულნი და მარად ცრემლ შეუშრობელნი მამა გრიგოლ, დები: კლეოპატრა, ცირუ, ლიდა ძმა მამია შავდიები სიძე იასონ კონსტანტინეს ძე ფოჩხუა თავისი შვილით-გვრით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს უსაყვარლესი და მარად დაუვიწყარი სტუდენტი

ბიჭიკო გრიგოლის ძე შავდიას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში იანვრის 17-ს დილით სამშაბათს. (ე)

მეუღლე სონა რაფიელის ასული, შვილები—შალვა, დათიკო, თამარი, თინა და ქეთო, დები—ანა, მართა და ლიდა, რძლები—ნინა და ანტონინა, სიძე სავლე დევდარიანი და პატარა შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ტრიფონ რომანოზის-ძე
თაბუკაშვილის

გარდაცვალების ორი წლის თავზე კვირას, 15 იანვარს, დღის 12 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2—2 ნ. 476

გულდათუთქულნი ცოლი სატია, მშობლები: მიხეილი და დარიკო, ძმა ვანო, რძალი კალინკა, ძმისწულები, ჯულეტა, უშანგი და მიშა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

დათიკო გორდაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 იანვარს სოფ. კუხში. 1102

სრულიად საქართველოს მონადირეთა კავშირის ცენტრალური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცენტრალური საბჭოს წევრის

სიმონ კოლესნიკოვის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 15 იანვარს, ამიერკავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შენობიდან დღის 12 საათზე—პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დასაკრძალავად.



ა. ი. რიკოვი და გ. მ. კრჟიჟანოვსკი—დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (მე-15 პარტყრილობის მასალები) გვ. 164, ფასი—50 კაპ.

ი. სტალინი—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტიკური ანგარიში (მოხსენება კომპარტიის მე-15 ყრილობაზე). ფასი —40 კაპ.

ავგუსტი—პარტია და ოპოზიცია. ფასი —50 კაპ.

429 ნ.
25—9

სახელმწიფო ოპერა

დღეს, კვირას, 15 იანვარს დილით **დემონი**
მონაწ.: **მარკოვა, ხუმაროვა, კულაგინი, ქარცივაძე, ლუბენცოვი, დემიანენკო.**
დირიჟორობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი. დასაწ. 12½ საათზე.

საღამოთი ზ. დოლიძის ორიგინალური ქართული ოპერა
ლეილა მონაწ. **კრასნიცკაია, ბლანკმანი, ქუმსიაშვილი, კრუზო, ვენაძე, შარაშიძე.**
დირიჟორი ა. შ. მელიქ ფაშაევი.

ოთხშაბათს 18-ს **არჩივების აჯანყება**

ნ. 481 1—1

რიონჰესის ჰიდრო-ელსადგურის
სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 20 იანვარს
დანიშნულია **შეჯიბრება**
სილა-ხრეშის დამზადებაზე

ქ. ქუთაისში საგუბრის საალმშენებლო რაიონში დაახლოვებით 7.000 კ. მ. ხრეშისა და 4.000 კ. მ. სილისა. სამუშაოს შესრულების ვადა არის 2 ნახ. თვე

დამზადებული სილა-ხრეშის ღირებულება დაახლოვესით 25 000 მან. წერილობითი კონდიციების გაცნობა ზემოდ აღნიშნულ სამუშევრებზე შეიძლება რიონჰესის მთავარ სამმართველოში (ქ. თბილისი, პუშკინის ქუჩა № 4) ყოველ დღე 10—13 საათამდე.

ვისაც სურს დაწვრილებით გაეცნოს, ადგილობრივ, ქ. ქუთაისის მახლობელ კარიერებში სილა-ხრეშის დამზადებას, ასეთი ცნობის მიღება შეუძლია რიონჰესის მთავარ სამუშაოთა მწარმოებლის ანგარანში ქ. ქუთაისში. იმ პირთ და ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ განცხადება დაწესებული თეთრა ნიმუშზე დახურულ კონვერტებში წარწერით „რიონჰესის მთავარ ინჟენერს 20 იანვრის კონკურენციისათვის“, რომელ დღესაც 2 ნახ. საათზე მოხდება რიონჰესის მთავარ სამმართველოში კონვერტების ამოღება შეჯიბრების ყუთიდან და მათი გახსნა, რის შემდეგ მსურველთათვის იოხდება ღია შეჯიბრება.

განცხადებასთან ერთად დართულ უნდა იქნას ქვითარი, რომ რიონჰესის სამმართველოში შეტანილია საწინდარი 500 მან., რომელი თანხაც სამუშაოს დარჩენის შემდეგ შევსებული უნდა იქნეს 10 პროც. აღებულ სამუშაოს ღირებულებისა.

ის ორგანიზაციები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან წინასწარ შესატან საწინდარისაგან, განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ შესაფერ მოწმობას.

რიონჰესის მთავარი სამმართველო

2—1 ნ. 471

ორშაბათიდან 16 იანვრიდან

კინო-თეატრებში
აპოლო, არფასტო, სოლეი
საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი

„მთის კანონი“

დადგმა რეჟ. მ. მიხინის
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი
სცენარი ი. აბაიანი

მთავარ როლებში: (ცნობილი სურათის „აზრეკ ზუეის“ გმირები) მოსახელოვანი არტისტები ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ნ. სანოვი, ნ. ვაჩნაძე, ა. ხვითიცვილი, ბარაკალი.

ნ. 482

აპოლო	სოლეი	არფასტო	დარბაზი
პარიზის ახალი სურათი „კულისებში“ მთავარ როლში: **მარჩელა ალბანი** და **ვერნერ კრაუს**	მხატვრული ფილმი „ბელვედერის ჩრდილები“ (ნილბი ახდილია)	მსოფლიო ფილმი „ს პ ი დ“ 5 და 6 სერია ერთად. დღის სეანსის დასაწყისი 12 ს. და 1 ნახ. საათზე. საღამოს 6 საათზე.	საინტ. კინო-რომანი **12-ის კლუბის ავანტიურისტები** ორ სერიათ—ორივე სერია ერთად

ანონსი: **ორშაბათიდან კინო-თეატრებში აფრასტო, აპოლო, სოლეი „მთის კანონი“**

საჯარო ვაჭრობა

ამა წლის იანვრის 15 დილის 10 საათზე ცეკავშირი ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას (ცეკავშირის ცენტრო საწყობ., შეშის ქ. № 1)
რომელზედაც გაყიდული იქნება სხვადასხვა საგალანტერეო, საბაკალეო და რკინა-კავეული საქონელი.

3—1 ნ. 463

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—

ე ქ ი მ ი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—11

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი** (**ან ქვითარის №-რი**), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა.**

გაზ. **„კომუნისტ“-ზე**
მიიღება ხელისმოწერა
გალის მაზრაში და კალ. ოჩემჩირეში
კ ო ნ ტ რ ა გ ე ნ ტ
კონსტ. კილასონიასთან

473 3—1

ამიერ-კავკასიის რქ. გზების მცველ რაზმის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 16 იანვარს სამმართველოს შენობაში, ამოს ქ. (ყოფილ ქსენიას ქ.) № 5 შესდგება

საჯარო ვაჭრობა

მცველი რაზმის მეთაურთა შემადგენლობისათვის ხრომის ჩექმების შეკერვაზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება რაზმის სამმართველოში 14 და 15 იანვარს, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ა.-კ. რ. მც. გზელი რაზმის სამმართველო.

ნ. 478 2—1

ექიმი **მ ე ბ რ ა ბ ი ა ნ ც ი**

ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. ოონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ე ქ ი მ ი
პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ № 3. (ყ. მელიკ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ქ.ბაქოდან დაბრუნდა და მსგავსათ წ:რსულ წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.)

მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე

ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი კუთხიდ.: ალექსის ქ. № 5), 9—12 ს. 2—5 საათ. ყოველ დღე

3—1—1082

НОВЫЕ КНИГИ:
Л. ФРИДЛЯНД
ЗА ЗАКРЫТОЙ ДВЕРЬЮ
Записки врача венеролога
Нов. доп. изд. 204 ст. 1 р. 60 к.

ГИПНОЗ
И ЕГО ТЕХНИКА
д-ра **Л. ЛЕВЕНФЕЛЬД**
учение о гипнозе и внушении и его **Практич. применение** 193 стр. 2 р.
ГИПНОТИЧЕСКИЕ ОПЫТЫ
проф. **КРАФФТ ЭБЫНГ**
68 стр. 50 коп.

Книги высылаются налож. платежом. При высылке денег вперед пересылка бесплатная. Заказы адресовать: Ленинград, внутри Гостиного Двора, № 123 | 25, Акц. О-ву Книжной Торговли

ე ქ ი მ ი
იონა გაბრიჩიძე

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

13—1 **გ. მ. მუხაძე.**

ე ქ ი მ ი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე“-ს პირდაპირ ტელ. 12—9

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

ექ. **ს. ი. ვოლოხი**

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80.

25—1

ე ქ ი მ ი
ძ. ხ. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

დაიკარგა საბჭ. და სავაჭ. მუშ. პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 3583 შ. ასათიანის სახელზე, ჩ. გ. 1104

დაიკარგა მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირიდან მოცემული საწევრო წიგნაკი № 26367, დარჩო ყაველოვის სახელზე, ჩ. გ. 1103

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3915 ივანე კანდახჩევია სახელზე, ჩ. გ. 1100

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი გალერიან ძაძამიძის სახელზე, ჩ. გ. 1099

დაიკარგა შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 147 გამოჩენებულის თემის შვიდწლედიდან გაცემული ლუკა თევზაძის სახელზე, ჩ. გ. 1107

დაიკარგა ს. ს. რ. კ. საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფესიონალურ კავშირის საწევრო ბილეთი № 30059 მარიამ გიორგის ასული ქინქლაძის სახელზე, ჩ. გ. 1105

დაიკარგა საავადმყოფოს ფურცელი № 73 მოცემული ლენინგრადის დამხლევე სალაროდან და სანგარიშო წიგნაკი მასლოვა-გაუსმანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 484

დაიკარგა პატენტი № 1764 გაცემული ქუთაისის საფინგანიდან ისაკ შაფათასძე მოშიაშვილის სახელზე, ჩ. გ ნ. 484

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64